გია მურღულია

ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი პრაქტიკულად თემატურია – თითქმის მთლიანად ეძღვნება საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის მთავარ ცნებას, რომელსაც „ახალი სკოლის მოდელს“ უწოდებენ.

რა თქმა უნდა, ეს ცნება ძალიან მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ის ყველა იმ საკითხს მოიცავს, რომელთა გარეშე სიტყვა „სისტემა“ არ არსებობს.

საგანგებო მადლობა უნდა ვუთხრათ იმ ავტორებს, რომლებმაც რეფორმის თანმიმდევრული განვითარების საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება ნათლად ასახეს თავის სტატიებში, რათა ჩვენი ქვეყნის თითოეული სკოლისთვის ეს ინფორმაცია თანაბრად ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

ეს თვალსაჩინოდ მნიშვნელოვანია, რადგან, საპილოტე სკოლების მიღმაც, სარეფორმო აქტივობათა მიმართ ინტერესი, როგორც სკოლებში, ისე მთლიანად საზოგადოებაში, ძალიან მაღალია.

ცხადია, ერთი სხვა სტატიაც, რომელიც „ახალი სკოლის მოდელს“ უშუალოდ თითქოს არ ეხება (დებატების კულტურის დამკვიდრება სკოლაში), ასევე საგანგებოდ მნიშვნელოვანია ჩვენი სასკოლო კულტურის ამაღლებისა და წარმატებული საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.

მოკლედ, „მატარებელი დაიძრა“.

ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სარეფორმო პროცესში მისი ყველა მთავარი მოქმედი პირი გაცნობიერებული პასუხისმგებლობით ჩაერთოს.

სკოლის მართვა
#1, 2020

გამომცემელი – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; გამოცემა მოამზადა საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციამ.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირი კურსანტების ქ. 4,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

მთავარი რედაქტორი:
გია მურღულია

სარედაქციო კოლეგია:

ბერიკა შუკაკიძე
განათლების დოქტორი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

ნატალია ინგოროყვა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო- საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

არჩილ სუმბაძე
ბაქსვუდის სკოლის დირექტორი

ავთანდილ აბდუშელიშვილი
სკოლა „შავნაბადას“ დირექტორი

გიორგი გახელაძე
ევროპული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გიორგი ჭანტურია
კოალიციის „განათლება ყველასათვის“ დირექტორი

კორექტორი:
მაია წიკლაური

დიზაინერი:
ბესიკ დანელია

ISSN 1512-0279

www.tpdc.ge

სკოლის მართვა
№1, 2020

შინაარსი

ახალი სკოლის მოდელი

3 მარიამ ჩიქობავა
„ახალი სკოლის მოდელი“ – მიმდინარე გამოწვევები და მომავლის პერსპექტივები

12 ნინო გურგენიძე
საგანმანათლებლო ლიდერობის განვითარება „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში

19 თამარ ჯაყელი
„ახალი სკოლის მოდელი“ – გზა უკეთესი მომავლისაკენ

31 ია აფთარაშვილი
მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასება

39 ნიკოლოზ სილაგაძე
სასკოლო კურიკულუმი

50 ალექსანდრე ასათიანი
ტექნოლოგიები სწავლა-სწავლების პროცესში

სწავლების მეთოდოლოგია

54 თინათინ ცერცვაძე
„დებატები“ სრულიად სხვა სახით

მარიამ ჩიქობავა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

„ახალი სკოლის მოდელი“ – მიმდინარე გამოწვევები და მომავლის პერსპექტივები

საქართველოს განათლების სისტემის მთავარი დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაკვეთას გამოხატავს, არის „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, რომლის სარეალიზაციოდ შეიქმნა და მუდმივად ვითარდება ეროვნული სასწავლო გეგმა. ავტორი საინტერესოდ წარმოაჩენს „ახალი სკოლის მოდელს“, როგორც ამ გეგმის განხორციელების თანამედროვედ გააზრებულ პროექტს.

„ახალი სკოლის მოდელი“ – ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროექტი

დღესდღეობით საზოგადოება თანხმდება ისეთი დებულებების სიკეთეზე, როგორიცაა ხარისხიანი განათლება, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, მოზარდის 21-ე საუკუნის უნარებით აღჭურვა, დეცენტრალიზებული მართვა და სხვა. თუმცა, განათლების სისტემის მმართველი პირების, სკოლის დირექტორების, კურიკულუმის ექსპერტების, საგნის პედაგოგების, მშობლების, განათლების სპეციალისტების კონკრეტული მოსაზრებები, რასაც განიხილავენ ამ ფრაზების მიღმა, ხშირ შემთხვევაში საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან.

ამდენად, ერთი მხრივ, ფართო საზოგადოება თითქოს ერთიანდება მიზნებთან მიმართებით, მაგრამ, როგორც კი საქმე მიდგება რეალიზების გზებსა და ამოცანებზე, თავს იჩენს არსებითი კონცეპტუალური განსხვავებები.

ეს განსხვავებული ხედვები დიდ გავლენას ახდენს ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მისი დანერგვის პო-

ლიტიკაზე. მაგალითად, პირველი თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში აქცენტი კეთდებოდა გარეგნულ ცვლილებებზე, მკაფიოდ არ იკითხებოდა, რა უნდა მომხდარიყო საკლასო ოთახის დონეზე (სტანდარტებში გაწერილი ყოველწლიურად მისაღწევი უამრავი შედეგი და კიდევ უფრო მეტი ინდიკატორი ამ მხრივ სასკოლო საზოგადოებას ვერ აკვალიანებდა). ეს გარემოება აისახებოდა დანერგვის პროცესზეც. ამ პერიოდში დანერგვის ძირითად ინსტრუმენტებს ცენტრალიზებული ტრენინგები და სახელმძღვანელოები წარმოადგენდა. აქცენტი ნაკლებად კეთდებოდა სწავლების პარადიგმასთან დაკავშირებულ კონცეპტუალურ ცვლილებებზე, ყურადღება გადატანილი იყო გარეგნულ ეფექტებზე, როგორიცაა: სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, სასწავლო პროცესის ადმინისტრირება (მაგალითად, ისტორია-გეოგრაფიის გაერთიანება, ტრიმესტრული სწავლება, ადმინისტრაციულ დოკუმენტებში ინდიკატორების სწორად მითითება, სახელმძღვანელოების არჩევითობა და არა ცენტრალიზებულობა და ა.შ.), რაც ადამიანებს უქმნიდა განცდას, რომ რეფორმის არსი სწორედ ასეთ გარეგნულ ან ადმინისტრაციულ ნიუანსებში იყო.

ამ პროცესებმა რეფორმას არცთუ მცირე ზიანი მიაყენა იმ თვალსაზრისით, რომ ყოველი შემდგომი ცვლილება, სიახლე, ინიციატივა სასკოლო საზოგადოებაში გაუაზრებელი და გაუთავებელი ექსპერიმენტის განცდად აღიქმებოდა და ნეგატიურ განწყობებს ამრავლებდა.

2010 წელს გადამუშავდა ეროვნული სასწავლო გეგმა, რა დროსაც იყო მცდელობა, პასუხი გასცემოდა საზოგადოების მოთხოვნებს და აღმოფხვრილიყო პირველი თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებული ბუნდოვანებები. პირველ რიგში, ეს შეეხო თითოეულ საგანში სასწავლო შინაარსის დაკონკრეტებას. თუმცა ამ პროცესმა მეორე უკიდურესობა გამოიწვია. შინაარსი იმდენად დეტალიზებული იყო, რომ სკოლებისთვის რთული გასაგები გახდა, სად მთავრდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და სად იწყებოდა სკოლების/პედაგოგების შემოქმედებითი თავისუფლება.

შინაარსობრივ საკითხებზე ორიენტირებამ დანერგვის ინსტრუმენტებზეც ჰპოვა ასახვა. მაგალითად, სისტემაში გაჩნდა ახალი ელემენტი, ე.წ. CAT-ის გამოცდები, რომელიც პედაგოგებისთვის მთავარ ორიენტირად იქცა.

თავისი წილი ზიანი განათლების რეფორმას ამანაც მიაყენა. ამგვარმა მიდგომამ, ფაქტობრივად, აღარ დატოვა ადგილი სასწავლო მასალის სიღრმისეული გააზრებისა და შემოქმედებითი თავისუფლებისათვის. პედაგოგებისთვის მთავარი გახდა პროგრამის ანუ საკითხთა ჩამონათვალის ბოლომდე ამოწურვა. აქედან მოდის პედაგოგებისა და მშობლების სამართლიანი უკმაყოფილებაც პროგრამების გადატვირთულობის თაობაზე.

პირველი და მეორე თაობების ესგ-სთან შედარებით, სრულიად განსხვავებული, სხვა ამოცანები დაისახა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში. იმ დროისათვის საზოგადოებამ თანდათან დაინახა რეფორმის პროცესების მოჩვენებითობა და იმ ინსტრუმენტების უსარგებლობა, რაც განათლების სისტემაში გამოიყენებოდა. გაჩნდა სამართლიანი კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ვერ მივდივართ წინ, რატომ ვერ ხდება რეალური ცვლილებები საკლასო ოთახის დონეზე, მიუხედავად უამრავი რესურსისა და ძალისხმევის დახარჯვისა. ამაზე მეტყველებდა ეროვნული და საერთაშორისო შეფასებებიც, რომელშიც ჩანდა, რომ პროგრესი მხოლოდ უმნიშვნელო იყო, ზღვარი კი ქალაქისა და სოფლის, საჯარო და კერძო სკოლების, ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სკოლების საშუალო მაჩვენებელზე ქვემოთ მყოფ და მაღალ საფეხურზე მყოფ მოსწავლეებს შორის იზრდებოდა და ღრმავდებოდა.

განათლების სფეროში ჩართული პირებისთვის, ასევე გადაწყვეტილების მიმღებთათვის ცხადი გახდა, რომ ერთი სახელმძღვანელოს ნაცვლად გრიფირებული ალტერნატიული სახელმძღვანელოები, ცენტრალიზებული ტრენინგები, პროფესიული განვითარების სქემა, საატესტატო გამოცდები... მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებები გახლდათ, რომელიც სისტემის რეფორმაზე მეტად ცალკეული პირების კერძო მოსაზრებებს პასუხობდა.

პრობლემების აღმოსაფხვრელად, პირველ რიგში, მკაფიოდ უნდა თქმულიყო, თუ რას გულისხმობს რეფორმა; რა არის საჭირო მისი საკლასო ოთახის დონეზე რეალიზებისთვის. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ამ კითხვებზე პასუხს წარმოადგენს.

მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში:

1. მკაფიოდ განისაზღვრა სწავლა-სწავლების 5 პრინციპი (რომლებითაც ნათლად განიმარტა – რა არის სასწავლო პროცესში არსობრივი განმასხვავებელი ძველსა და ახალ პარადიგმებს შორის);

2. ნათლად განისაზღვრა მიზანთა იერარქია, რითაც წერტილი დაესვა უსაგნო კამათს განათლების მიზნების შესახებ (ცოდნა თუ უნარები, გამჭოლი კომპეტენციები თუ საგნობრივი შედეგები და ა.შ.);
3. მიზნების მკაფიოდ იერარქიზებამ გამოკვეთა პროგრამის განტვირთვის პრინციპები და შესაძლებლობა (მანამდე ეს მხოლოდ სურვილი და რიტორიკულად ნათქვამი იყო. საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, იწყებოდა დავა საგნებს შორის – მეტი საკითხი მეტ საგაკვეთილო საათს ნიშნავდა, შეზღუდული საათობრივი ბადის პირობებში კი ეს სხვა საგნის ხარჯზე უნდა მომხდარიყო);
4. გამოიკვეთა ნიშა სასკოლო სასწავლო გეგმისთვის/კურიკულუმისთვის; ამით მკაფიო გახდა, რას ნიშნავს დეცენტრალიზაცია რეალურად და პრაქტიკულად (იხ. ნიკო სილაგაძის სტატია ამავე ჟურნალში);

პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროექტს წარმოადგენს. იმპლემენტაციის ტრადიციული მოდელებისგან განსხვავებით, ის ე.წ. „ქოუჩინგის“ ფორმატში სკოლებთან თანამშრომლობას გულისხმობს. ეს არის საკლასო ოთახიდან დაწყებული პროექტი, რომელიც მთლიანი სასკოლო კულტურისა და განათლების სისტემის გარდაქმნას ისახავს მიზნად.

ქვემოთ გაანალიზებულია ის გამოწვევები, რომელიც ამ პროცესს ახლავს. ასევე, საუბარია მომავლის პერსპექტივებზე. აქცენტი კეთდება ახალი სკოლის მოდელისთვის ისეთი ქვაკუთხედი საკითხების წარმოჩენაზე, როგორიცაა:

- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- დეცენტრალიზაცია;
- მხარდაჭერაზე ორიენტირება;
- დიფერენცირებული მიდგომები.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგთა ფართო მონაწილეობა – საკლასო ოთახიდან დაწყებული რეფორმა

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბოლო დრომდე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს მოკლევადიანი ცენტრალიზებული ტრენინგები წარმოადგენდა. თუმცა, ერთი კონკრეტული სკოლის პედაგოგს მეორე სკოლის პედაგოგისგან განსხვავებული საჭიროებები აქვს და ამგვარი მიდგომა მათ საკლასო ოთახში ვერ დააკვალიანებდა. ამდენად, როგორც მოსალოდნელი იყო, ტრენინგების შედეგები ნაკლებად აისახებოდა სწავლა-სწავლების პროცესის პოზიტიურ ცვლილებაზე.

2015-2018 წლებში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების კვალდაკვალ დაიწყო მუშაობა მისი დანერგვის სტრატეგიაზე. დანერგვისთვის საჭირო პირველადი ინსტრუმენტები ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდთან სამმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნა. ხოლო ამ ინსტრუმენტების გამოცდა, განვითარება და სკოლების საჭიროებებზე მორგება ჯერ კიდევ 4 წლის წინ დაიწყო თბილისისა და რეგიონების 15 საპილოტე სკოლაში.

მუდმივად ისმის მთავარი კითხვა – როგორ უნდა მოხდეს დანერგვის იმგვარი მექანიზმების შემუშავება, რომ ყველა სკოლამ დაინახოს თავისი ადგილი, როცა სკოლები თან დაკვალიანდებიან საჭიროებისამებრ - იმისთვის, რომ სწავლა-სწავლების პროცესში დაცული იყოს თანამედროვე პედაგოგიკური პრინციპები და თან შეინარჩუნებენ დამოუკიდებლობას – თავისი კონკრეტული სკოლის შესაძლებლობებიდან და მიზნებიდან გამომდინარე დაგეგმავენ სწავლა-სწავლების პროცესს, შექმნიან სასკოლო კურიკულუმს, ანუ გაკვალავენ ორიგინალურ გზას ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით დასახული მიზნების მისაღწევად.

ამგვარი ფილოსოფიით ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიდგომები მხოლოდ სამინისტროს კაბინეტებში ვერ დაიგეგმება. საკმაოდ დიდი და კომპლექსური გზაა გასავლელი სამინისტროდან კონკრეტული სკოლის საკლასო ოთახამდე; ამიტომ, როგორ დაინერგოს – ეს უნდა თქვან თავად პედაგოგებმა.

გამომდინარე აქედან, „ახალი სკოლის მოდელის“ განვითარებაც ორ ეტაპად დაიგეგმა: პირველი ეტაპი მოიცავს პროექტის დაწყების დღიდან 2020 წლის სექტემბრამდე პერიოდს, რა დროსაც მიმდინარეობდა და გრძელდება სკოლებისა და ცალკეული პედაგოგების მიერ ინსტრუმენტების შექმნა-გამოცდა, მათგან უკუკავშირის მიღება და ამ ინსტრუმენტების დახვეწა-განვითარება (დეტალურად პროცესის მიმდინარეობის შესახებ იხ. ნიკო სილაგაძის სტატია). პრაქტიკულად, დანერგვის ინსტრუმენტების პირველი თანაავტორები 166 სკოლის პედაგოგები არიან. მეორე ეტაპი უკვე ფართო მასშტაბით დანერგვას მოიაზრებს და 2020 წლის სექტემბრიდან დაიწყება. რესურსების განვითარება ამ დროისთვისაც გაგრძელდება, თუმცა – ნაკლები ინტენსივობით.

დანერგვის ინსტრუმენტებზე მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანმა პრობლემამ იჩინა თავი – სკოლები და პედაგოგები ბოლომდე ვერ იჯერებდნენ, რომ ეს იყო საკლასო ოთახიდან დაწყებული რეფორმა; რომ მიმდინარე პროცესი – დანერგვის ინსტრუმენტების შექმნა, გამოცდა, განვითარება – მხოლოდ მათ გამოცდილებას უნდა დაყრდნობოდა. ასეთი ცვლილებების დროს კი მნიშვნელოვანია იმის დანახვა, რომ ეს ინსტრუმენტები დანერგვადი და რეალიზებადია. ამ პროცესში პედაგოგების უშუალო მონაწილეობა და საქმის მათი ხელით კეთება არ გამორიცხავდა შეცდომებს, რაც ნაკლებად კომფორტული იყო მასწავლებლებისთვის. ყველაზე დიდი სირთულე გახლდათ ის, რომ პედაგოგებს ეჩვენებინათ თუნდაც ნახევრად მომზადებული, არასრულყოფილი მასალები, ესაუბრათ დაგეგმვისას გამოვლენილ სირთულეებსა და პრობლემებზე, ნაცვლად იმისა, რომ საჩვენებელი, წინასწარ კარგად მომზადებული გაკვეთილები ჩაეტარებინათ.

„ახალი სკოლის მოდელი“ ყველა სკოლასა და პედაგოგს ეუბნება, რომ სიტყვა „იდეალური“ დროებით უნდა დავივიწყოთ. ამ პროექტის მინიმუმიც და მაქსიმუმიც არის სკოლების მიერ შექმნილი საკუთარი საგნობრივი გეგმები, რომელსაც თავად პედაგოგები გამოცდიან: რაც იმუშავებს – დატოვებენ, რაც არ იმუშავებს კლასში, ნაკლებად ეფექტური იქნება – ამოიღებენ, შეასწორებენ, ათასგვარად გადასინჯავენ, მათ შორის კოლეგებთან ერთად და თავის მოსწავლეებს მოარგებენ. თუ ამგვარი პროცესი თვალსაჩინოა, ეს უკვე წარმატებაა. იდეალური არის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც წლიდან

წლამდე პრაქტიკის საფუძველზე იცვლება და ერგება კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებს.

ანუ „ახალი სკოლის მოდელი“ ეს არის თითოეული სკოლის რეალურ ყოველდღიურ პედაგოგიკურ პრაქტიკაზე დაყრდნობით მომზადებული საგნობრივი კურიკულუმები - თითოეული კონკრეტული სკოლის მოდელი, ერთადერთი, უნიკალური და ორიგინალური.

რეალური დეცენტრალიზაცია ფსევდო-დეცენტრალიზაციის ნაცვლად

სასკოლო კურიკულუმის განსავითარებლად, რა თქმა უნდა, მხოლოდ ორიგინალური სასწავლო პროგრამები არ არის საკმარისი. საჭიროა ავტონომიური სასკოლო გარემო და კულტურა, რომელსაც უნარი შესწევს შეისწავლოს დანერგვის პროცესისთვის აქტუალური ლოკალური პრობლემები და, მის ხელთ არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, ეძებოს გადაჭრის გზები. სკოლის დირექტორი უნდა წარმოადგენდეს სასკოლო საზოგადოების ლიდერს, რომელსაც კარგად ესმის საკლასო ოთახში მიმდინარე პროცესები და ამის გათვალისწინებით გეგმავს სტრატეგიული და ადმინისტრაციული განვითარების საკითხებს.

სკოლების ავტონომიურობა ამჟამად საქართველოს განათლების სისტემის ძლიერი მხარე არ არის. დეცენტრალიზაციის კუთხით პრობლემას ქმნის არა მხოლოდ სკოლების გაუბედაობა და სამინისტროს ხისტი მიდგომები, არამედ სასკოლო საზოგადოების ზედაპირული წარმოდგენები სწავლა-სწავლების თანამედროვე პარადიგმაზე.

მაშასადამე, სამინისტროს უპირველესი ამოცანაა, დანერგვის ინსტრუმენტების გამოყენებით, სკოლებამდე მიიტანოს განათლების რეფორმის არსი (კერძოდ, რა არის ხარისხიანი განათლება, ყველა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი, დემოკრატიული სკოლა და ა.შ.) და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დაამკვიდროს ამ საკითხებთან მიმართებით საკუთარი საჭიროებების კვლევის კულტურა. იმისთვის, რომ სისტემა მართვის უფრო მეტად დეცენტრალიზებულ მოდელზე გადავიდეს, როგორიც არის, მაგალითად, ესტონეთში, ფინეთში, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი გამოცდილება დაგროვდეს რეგიონულ და სასკოლო დონეებზე. ავტონომიური სკოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუ მას მკაფიო ხედვა ექნება – როგორი უნდა იყოს მიზნებამდე მისასვლელი მისი გზა. ამავე დროს, სკოლა არ უნდა იყოს ორიენტირებული ცალკეულ ინიციატივიან მასწავლებლებზე და უნდა იმოქმედოს, როგორც ერთიანმა გუნდმა.

გარკვეული პირობითობით შეიძლება ითქვას, რომ სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა 15 საპილოტე სკოლაში და შემდეგ უკვე თბილისის N150 და დამატებით 165 სკოლის დაწყებითი საფეხურის ყველა პედაგოგთან (დაახლოებით 4 ათასი პედაგოგი) ერთად ჩაატარა ის სამუშაოები, რომელსაც სხვა ქვეყნებში უნივერსიტეტები და კვლევითი დამოუკიდებელი ორგანიზაციები ახორციელებენ.

პირველ ეტაპზე სამინისტრომ საპილოტე სკოლებში მიავლინა მხარდამჭერი ჯგუფები. თითოეული ჯგუფი შედგებოდა: კურიკულუმის ექსპერტის, მისი ასისტენტის, ტექნოლოგიების ექსპერტისა და ლიდერობის სპეციალისტისგან. ეს პირები ყოველდღიური ქოუჩინგის რეჟიმში მუშაობდნენ დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან და დახმარებას უწევდნენ მათ, როგორ გაეაზრებინათ ერთ სისტემად პედაგოგების საუკეთესო გამოცდილება და საკლასო პრაქტიკა, როგორ წარემართათ პედაგოგების მხრიდან დაგეგმვის პროცესები გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულად. საპილოტე სკოლებში მთელმა შემოქმედებითმა პროცესებმა გადაინაცვლა საკლასო დონეზე. ჩამოყალიბება დაიწყო პრაქტიკამ, როდესაც სწორედ შინაარსობრივი პრობლემების გათვალისწინებით იწყებოდა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თუკი პირველი და მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმები ადმინისტრატორების ხელში, ხშირ შემთხვევაში, მართვის, ზეგავლენისა და ზეწოლის საშუალებას წარმოადგენდა, მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასკოლო კურიკულუმები თანდათან ყალიბდება ინსტრუმენტად, რომელიც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ბერკეტებს შინაარსობრივი პროცესების განვითარების სამსახურში აყენებს.

მაგალითად შეიძლება გამოდგეს **საათობრივი ბადის** აგებასთან და **მოსწავლეთა შეფასებასთან** დაკავშირებული საკითხები.

ა. თუკი სკოლას შეუძლია თავისი ორიგინალური კურიკულუმი შექმნას, ცხადია, მას დასჭირდება სასკოლო კურიკულუმზე მორგებული საათობრივი ბადე. ეროვნულ სასწავლო გეგმაში 2019-2020 სასწავლო წლიდან განსხვავებული საათობრივი ბადეებია შეთავაზებული. ყველა სკოლას აქვს შესაძლებლობა, ისეთი ბადე შეიმუშაოს, როგორიც მისი კონკრეტული კლასის მოსწავლეებს სჭირდება და შეესაბამება.

ბ. ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებისა და სასკოლო კურიკულუმის განვითარების კვალდაკვალ, საჭიროა მოსწავლეთა შეფასების სისტემაში დიფერენცირებული მიდგომების შემოტანა. მაგალითად, ვისაც საკლასო შეფასების არსებული სისტემა მოსწონს და მორგებული აქვს, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ გაყვეს ამ გაკვალულ გზას, მაგრამ უფრო შემოქმედებით სკოლებსა და პედაგოგებს მეტი თავისუფლება უნდა მიეცეთ. ასევე, არცთუ სამართლიანია, რომ წლიური ქულა საშუალო არითმეტიკულის ხარჯზე გამოითვლება. რაკი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა საფეხურებრივ სტანდარტს სთავაზობს სკოლებს, რომელშიც ცენტრალური ადგილი ცნებების სიღრმისეულ გააზრებას უჭირავს, მოსწავლემ პირველი თემა თუ გამოტოვა, მეორე და მესამე თემაში შეიძლება იმდენად კარგად გაიაზროს და დაამუშაოს საგნობრივი ცნებები, რომ სტანდარტით დასახულ მიზნებზე გავიდეს. რაც მთავარია, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა თავისი დანერგვის ინსტრუმენტებით დგას კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე, რომლითაც პროცესი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც შედეგი. ამ პარადიგმის მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესი იმგვარია, რომ მოსწავლემ პედაგოგის მხარდაჭერა უნდა იგრძნოს, შეცდომების დაშვების არ უნდა შეეშინდეს და უნდა ჰქონდეს პედაგოგის ნდობა და იმედი, რომ სირთულეთა დაძლევის გზებს ერთად იპოვიან. თუ გვინდა, რომ რეალურად ამგვარად წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი და ის იყოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული, ყოველდღიური ნიშნებით შეფასების, განსაკუთრებით კი საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით შეფასების ადგილი აღარ რჩება.

კონტროლი VS მხარდაჭერა

ვერსად, ვერც „ახალი სკოლის მოდელის“ დამტკიცებულ პროექტში, ვერც დამხმარე დოკუმენტებში ვერ ნახავთ სიტყვას „კონტროლი“. მთავარი ფილოსოფია, რაზეც დანერგვის მთელი ეს სისტემა დგას, არის მხარდაჭერა განვითარებისთვის.

პირველი ეტაპის 65 სკოლასთან საკმაოდ დიდი სამუშაო ჩატარდა იმისთვის, რომ სკოლების ლიდერებს ანუ დირექტორებს ღიად ელაპარაკათ პრობლემებზე. წლების მანძილზე სკოლებსა და სამინისტროს შორის აიგო ვერტიკალურ და ხისტ მმართველობაზე დაფუძნებული ურთიერთობის სისტემა: სამინისტრო დირექტივებს აძლევს რესურსცენტრებს, რესურსცენტრი – სკოლის ხელმძღვანელებს, სკოლის დირექცია – პედაგოგებს, პედაგოგები – მოსწავლეებს.

პროექტის დაწყებისთანავე გადაწყდა ურთიერთობის სრულიად განსხვავებული ფორმატის ჩამოყალიბება. სამინისტრო და სკოლა უნდა ყოფილიყო ერთმანეთის ცოდნის შემავსებელი და გამოცდილების ურთიერთგამზიარებელი.

ყველაზე რთული ამ პროცესში იყო და არის ნდობის გაჩენა. ეს ნდობა, სამწუხაროდ, დღეს დაკარგულია – სკოლა სამინისტროს უყურებს, როგორც დირექტივების გამცემს და, შეუსრულებლობის შემთხვევაში – დამსჯელ ორგანოს.

საჭიროა, მკაცრი იერარქიიდან ჰორიზონტალურ ურთიერთობებზე გადასვლა, რომლის ფარგლებშიც, სამინისტროს ექსპერტები სკოლებთან, მასწავლებლებთან ერთად გეგმავენ, ცდიან, ავითარებენ სწავლა-სწავლების პროცესის ინსტრუმენტებს.

ამ მხრივ, რადიკალური ცვლილებების განსახორციელებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შეიცვალოს ურთიერთობის საგანი – თუკი სამინისტროსა და სკოლებს შორის ურთიერთობისა და განხილვის სფერო კვლავაც ინდიკატორებად გაწერილი ადმინისტრაციული ტიპის დოკუმენტები იქნება, მაშინ რადიკალური მენტალური ცვლილებებიც არ არის საკმარისი. საჭიროა ურთიერთობის საგანი გახდეს სფეროები, რომელიც სკოლაში ცოცხალ პროცესებს, სკოლის განვითარებას მიჰყვება (სასკოლო კურიკულუმი), ანუ საჭიროა, სისტემის ორიენტირება მოხდეს განვითარებად პროცესებზე და არა დამდგარ შედეგებზე.

ამ ტიპის საკითხებზე თანამშრომლობის პრეცედენტის შექმნას ემსახურებოდა მხარდამჭერი ჯგუფების გაჩენა სკოლებში. ჯგუფის სახელწოდებაც შემთხვევით არაა შერჩეული. ჯგუფში შემავალი ექსპერტები სკოლებს ეგულებოდათ მხარდამჭერებად, გამოწვევების გამზიარებლებად და არა დირექტივების გამცემებად.

მუდმივმოქმედი საკონსულტაციო სისტემის ჩამოყალიბება – 15 კაციანი რეგიონული ჯგუფები

სკოლასა და სამინისტროს შორის, დასჯა-წახალისების ნაცვლად, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბება, მხარდაჭერასა და ზრუნვაზე ორიენტირებული ბერკეტების გაჩენა პროექტ „ახალი სკოლის მოდელის“ დიდ მიღწევას წარმოადგენს, თუმცა პრობლემაა ამგვარი მიდგომებით საქართველოს ყველა სკოლის დაფარვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2020-2021 სასწავლო წლიდან პროექტის მეორე დიდი ეტაპი დაიწყება, როცა პილოტირებიდან პროექტი დანერგვის ეტაპზე გადავა და პროცესიც უფრო მასშტაბურ ხასიათს შეიძენს. თითო სკოლაზე მიბმული ოთხკაციანი მხარდამჭერი ჯგუფის ნაცვლად, დაგეგმილია საგნობრივი და სხვა ექსპერტებისგან შემდგარი 15 კაციანი ჯგუფების ამოქმედება რეგიონული პრინციპით. ამ ჯგუფში შევლენ: 1. ქართული ენისა და ლიტერატურის ექსპერტი; 2. მათემატიკის ექსპერტი; 3. ისტორიის ექსპერტი; 4. გეოგრაფიის ექსპერტი; 5. სამოქალაქო განათლების ექსპერტი; 6. ფიზიკის ექსპერტი; 7. ქიმიის ექსპერტი; 8. ბიოლოგიის ექსპერტი; 9. ხელოვნების ექსპერტი; 10. მუსიკის ექსპერტი; 11. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტი; 12. ტექნოლოგიების ექსპერტი; 13. ინგლისური ენის ექსპერტი; 14. დაწყებითი განათლების ექსპერტი; 15. ინკლუზიური განათლების ექსპერტი. ამ ექსპერტთაგან დამატებით ერთი შეითავსებს ასევე ლიდერობის კომპონენტსაც.

დაახლოებით ასეთი განაწილება იქნება რეგიონების მიხედვით:

თითო რეგიონულ საგნობრივ ჯგუფს ეტაპობრივად მიემაგრება სკოლების გარკვეული რაოდენობა, რომელთა პედაგოგებთანაც ისინი ინტენსიურ რეჟიმში იმუშავებენ ერთი სემესტრის განმალობაში. ხოლო რეგიონულ საგნობრივ ექსპერტებთან მუდმივ კოორდინაციაში იქნება ეროვნული სასწავლო გეგმების გუნდის საგნობრივი ექსპერტი. სქემატურად რომ წარმოვიდგინოთ მთელი ეს სისტემა იმუშავებს შემდეგნაირად:

დანერგვის პროექტის მართვა



სხვადასხვა სკოლა – სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერა

თუკი საგნობრივი ექსპერტები პროექტში ჩართული ყველა სკოლისთვის გაწევენ კონსულტაციებს, სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში მყოფ სხვადასხვა ზომის სკოლას, დახმარების თვალსაზრისით, განსხვავებული ინტენსივობით დასჭირდება მხარდაჭერა.

მცირეკონტინგენტიან სკოლებს, რომლებშიც მოსწავლეთა რაოდენობა ჯამურად არ აღემატება 200-ს, დამატებით ასისტენტი მიემაგრება, რომელიც მუდმივად ადგილზე იქნება და კოორდინირებას გაუწევს სხვადასხვა საგნის პედაგოგების მიერ საგნობრივი სასწავლო გეგმების შედგენას. ასეთი მცირე ზომის სკოლები ძირითადად მაღალმთიან ადგილებშია. ეს ნიშნავს, რომ რეგიონულ საგნობრივ ექსპერტებთან ხშირი ფიზიკური კომუნიკაცია გაჭირდება. ამიტომ ადგილზე მყოფი ასისტენტი უზრუნველყოფს ყველა კითხვისა თუ პრობლემური საკითხის თავმოყრას და მიტანას რეგიონის შესაბამისი საგნის ექსპერტთან/ექსპერტებთან. საჭიროების შემთხვევაში კი, დანიშნავს საკონსულტაციო შეხვედრებს.

განსხვავებული მუშაობის რეჟიმი იქნება იმ სკოლებთან, რომლებშიც 200-დან 1000-მდე მოსწავლეა. აქ ადგილზე, სკოლის ბაზაზევე დირექტორის მიერ გამოიყოფა კადრი – ეს შეიძლება იყოს მოადგილე სასწავლო დარგში ან, შესაძლოა, ახალი ადმინისტრაციული თანამდებობაც გაჩნდეს. ეს პირი კოორდინაციას გაუწევს მასწავლებელთა მუშაობას საგნობრივი კურიკულუმების შექმნისას. კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდება რეგიონულ საგნობრივ ექსპერტებს, მოიწვევს, დაგეგმავს საგნობრივ სამუშაო შეხვედრებს და ა.შ.

რაც შეეხება 1000-ზე მეტ მოსწავლიან სკოლებს, მათი რაოდენობა ჯამურად არცთუ ისე დიდია. მით უმეტეს, რომ სკოლების ჩართვა ამ პროექტში ეტაპობრივად ხდება. ამიტომ დიდ სკოლებში უშუალოდ რეგიონული საგნობრივი ექსპერტები იმუშავებენ პედაგოგებთან ინტენსიურ რეჟიმში.

1-200

1 ასისტენტი, რომელიც კოორდინაციაშია რეგიონის საგნობრივ ექსპერტებთან და რომელიც კოორდინაციას უწევს სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესს

200-1000

1 ადგილობრივი კადრი, დირექტორის ნდობით აღჭურვილი, რომელიც კოორდინაციას უწევს სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესს

1000-ზე მეტი

14 საგნობრივი ექსპერტი, რომელიც კოორდინაციას უწევს სასკოლო კურიკულუმის შექმნისა და განვითარების პროცესს

პირველ ეტაპზე ექსპერტთა 23 ჯგუფი იქნება. ჯგუფების დაკომპლექტება 2020 წლის გაზაფხულზე დაიწყება. გამოცხადდება კონკურსი ყველა საგნის ექსპერტთათვის და შერჩეული პირები გაივლიან ინტენსიურ მომზადებას. გადამზადების პროცესში თავად შექმნიან იმ ტიპის პროდუქტს თავის საგანში, რომელზეც შემდგომში მათი სამოქმედო არეალის სკოლების პედაგოგებთან ერთად იმუშავებენ.

პირველ ეტაპზე ეს საგნობრივი ჯგუფები „ახალი სკოლის მოდელის" პროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტდებიან. შემდგომ პერიოდში ისინი უკვე რესურსცენტრის თანამშრომლები გახდებიან. თითო ჯგუფი 2-3 რესურსცენტრს დაფარავს.

რა ელის პროექტს

დაგეგმილია, რომ „ახალი სკოლის მოდელი" 2024 წლამდე ყველა სკოლას დაფარავს, მათ შორის არაქართულენოვან სკოლებსაც. არაქართულენოვანი სკოლების ჩართვა უკვე 2020 წლის სექტემბრიდან დაიწყება პილოტირების რეჟიმში.

პროექტის მასშტაბურობისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი დაფინანსება. 5 წლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია პროექტის განვითარების ჩარჩო-გეგმა. მიმდინარეობს შეხვედრები სხვადასხვა დონეზე, მათ შორის პარლამენტის განათლების კომიტეტის წევრებთან, განათლების სპეციალისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და დონორ ორგანიზაციებთან.

შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა ხდება, როგორც ქვედა – სასკოლო/საკლასო დონეზე, ისე – ზედა, სისტემის მმართველების დონეზე და ჰორიზონტალურ-საზოგადოებრივი ჯგუფების დონეზეც.

„ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, ფართო ჩართულობას და საზოგადოების ინფორმირებას და, მეორე მხრივ - განათლების სისტემაში სხვადასხვა ინტერვენციის ერთ სტრატეგიად გამთლიანებას.

დღესდღეობით მიღწევაა ის, რომ განათლების სისტემაში ყველა პროექტი, იქნება ეს სსიპ-ების მიერ განხორციელებული თუ საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული, მჭიდრო კავშირში უნდა იყოს „ახალი სკოლის მოდელთან".

სწორედ ამიტომ USAID-ს 7 მილიონიანი გრანტის პროექტის განმახორციელებელ ჯგუფთან უკვე არა ერთი შეხვედრა შედგა და ერთობლივად დაიგეგმა, თურა ტიპის მხარდაჭერას გაუწევენ ისინი სკოლებს.

ასევე, შეხვედრები იყო მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთანაც და მათი ინტერვენციებიც ამ პროექტის კიდევ უფრო მეტად გაძლიერება-გაფართოებაზე იქნება მიმართული.

რაც მთავარია, თავად სისტემის შიგნით ყველა სხვა მიმართულება მჭიდროდ დაუკავშირდება და გაითვალისწინებს „ახალი სკოლის მოდელს". სწორედ ამიტომ, ზოგადი განათლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმისთვის 12 მიმართულებით იქმნება თემატური ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტდება განათლების სფეროში ჩართული დაინტერესებული პირებით. აღნიშნული ჯგუფები იმუშავებენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სკოლების ავტონომიურობის ზრდა, უსაფრთხო, მზრუნველი და ჰარმონიული გარემო, პედაგოგების პროფესიული ზრდა და ერთმანეთთან თანამშრომლობა, სახელფასო პოლიტიკა, სკოლის, როგორც სოციალურ-კულტურული სივრცის განვითარება, არაფორმალური განათლების დაახლოება ფორმალურ განათლებასთან, ჰოლისტური და დიფერენცირებული მიდგომები სკოლებისადმი, ზოგადი განათლების ბმა სკოლამდელ და უმაღლეს განათლებასთან, „ახალი სკოლის მოდელის" დაკავშირება საუნივერსიტეტო პროგრამებთან და სხვა.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ამის წყალობით განათლების რეფორმა სულ უფრო მეტად ხდება ეროვნული პროექტი. საქმე ისაა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა და მისი დანერგვის პოლიტიკა წარმოადგენს ერთგვარ კონტრაქტს პოლიტიკოსებს, ექსპერტებსა და ფართო საზოგადოებას შორის. ეს პროცესები გასაგები უნდა იყოს თითოეული მხარისთვის. პოლიტიკოსებმა მასში ქვეყნის პრიორიტეტები უნდა დაინახონ, ექსპერტებმა – თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, ფართო საზოგადოებამ კი – მათი შვილებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემის შესაძლებლობა. ასეთი კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში, რეფორმა გახდება შეუქცევადი პროცესი და აღარ იქნება დამოკიდებული პოლიტიკური კლიმატის ცვალებადობაზე.



ნინო გურგენიძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის ხელმძღვანელი

საგანმანათლებლო ლიდერობის განვითარება „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში

სტატიის ავტორი მკითხველს სთავაზობს უპასუხოს ორ არსებით კითხვას:

1. **რა ახალ გამოწვევებს გულისხმობს, „ახალი სკოლის მოდელის“ საფუძველზე, განათლების რეფორმირების პროცესი საქართველოში?**
2. **როგორ უნდა უპასუხოს ამ გამოწვევებს თანამედროვე საგანმანათლებლო ლიდერმა – სკოლის მენეჯერმა?**

თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყარო რთულ გამოწვევებს უყენებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას. სოციალურ-ეკონომიკურმა გარემოებებმა და ტექნოლოგიურმა განვითარებამ ხელი შეუწყო ინფორმაციისა და ცოდნის მიღების შესაძლებლობებისა და ხელმისაწვდომობის ზრდას. გლობალური ქსელის განვითარებამ კი არცერთი სფერო დატოვა ადამიანისთვის დაფარული და მიუწვდომელი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია თუ ვიტყვით, რომ სკოლა ცოდნისა და ინფორმაციის მიღების ერთადერთ წყაროს აღარ წარმოადგენს. აღარც თანამედროვე მოსწავლეა ის, ვინც მასწავლებლის კითხვებს გაუაზრებლად უპასუხებს; პირიქით, ბავშვი შესაძლოა იმაზე მეტი ინფორმაციით, გამოცდილებითა და უნარებით მოდის სკოლაში, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. სწორედ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით სვამს კითხვებს, რომელზე პასუხიც სკოლაში, კლასში და ზოგადად, სასკოლო გარემოში უნდა მიიღოს. ეს ლოგიკა თავისთავად გულისხმობს მოსწავლის სასწავლო პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალად გარდაქმნას ანუ თანამედროვე მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და მისი საზოგა-

დოებაში პასუხისმგებელ მოქალაქედ რეალიზება უნდა იყოს სასწავლო პროცესის მთავარი ფოკუსი და მიმართულების განმსაზღვრელი.

მთავარი კითხვები ასეთია: რამდენად ახერხებს სკოლა და სასკოლო საზოგადოება, მოერგოს ამ ცვლილებას (shift) და ადაპტირდეს იმ აზრთან, რომ მოსწავლე აღარ არის „კონტეინერი", რომელიც ცოდნითა და ინფორმაციით უნდა შევავსოთ, გავავსოთ და, თუ განსაკუთრებული „კონტეინერი" შეგვხვდა, გადავავსოთ კიდეც. რა შეიცვლება რიგით გაკვეთილზე, თუ მოსწავლეს თანამშრომლად და თანასწორად ვაქცევთ, ხოლო, ასაკის მიუხედავად, მის გამოცდილებასა და უნარებს ჯერ ვაღიარებთ, შემდეგ ბაზად გამოვიყენებთ და ახალ ცოდნას დავაშენებთ, მისივე პოტენციალისა და რესურსის გაძლიერების გზით? უფრო ფართო პრიზმაში თუ განვიხილავთ ამ საკითხს, როგორი გარემო უნდა შეიქმნას სკოლაში, იმისთვის რომ მასწავლებელმა და მოსწავლეებმა შეძლონ ერთმანეთის რესურსის ეფექტური გამოყენება?

ამ სტატიაში, განვიხილავთ მიმდინარე განათლების რეფორმის მხარდამჭერ პროექტს „ახალი სკოლის მოდელი", როგორც ზემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხს, კერძოდ, კი საგანმანათლებლო ლიდერობის განვითარების კომპონენტს.

რას წარმოადგენს „ახალი სკოლის მოდელი" და საქართველოს რეალობაში განათლების რა გამოწვევებს უპასუხებს ის?!

ქართული სკოლის გამოწვევები

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმის ფარგლებში, ჩამოყალიბდა პროექტი „ახალი სკოლის მოდელი", რომელიც საჯარო სკოლებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, თანამშრომლობითი გარემოს შექმნასა და გაზიარებული მართვის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს პირველი წამოწყება არ არის ამ მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. უახლოეს წარსულში, სწორედ ამ მიზნებს ემსახურებოდა „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტიც". პროექტი 3 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და ციკლურ, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ ტრენინგ-კურსებს სთავაზობდა მასწავლებლებსა და დირექტორებს. კიდევ უფრო ადრე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ასეთივე საინტერესო პროექტი ჰქონდა – „შვიდკაცა", რომელიც სკოლის ბაზაზე პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას გულისხმობდა. ამ პროექტის ფარგლებში ტრენერი მუშაობდა კათედრის ხელმძღვანელებისგან შემდგარ 7-კაციან გუნდთან სწავლების მეთოდიკაზე, ხოლო შემდეგ მიღებული ცოდნა თუ გამოცდილება კასკადურად ინერგებოდა სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ არცთუისე მცირე რესურსი ჩაიდო, იქნება ეს ადამიანური, ინტელექტუალური თუ ფინანსური, მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების მიმართულებით, გამოწვევები კვლავ გამოწვევებად რჩება. 2018 წლის PISA-ს კვლევა ისევ მოწმობს, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა მხოლოდ მცირედ გააუმჯობესეს კითხვის უნარი 2009 წლის კვლევის შედეგთან შედარებით, ხოლო 2015 წლისას თუ შევადარებთ, შედეგი გაუარესდა კიდეც. იგივე დინამიკით ვითარდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მათემატიკის ცოდნის ტენდენციებიც. მასწავლებლებისთვის საგნობრივი სტანდარტი კვლავ ზედმეტი თავსატეხია, სასკოლო სასწავლო გეგმები არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნა მხოლოდ სატრენინგო მასალის ნაწილია და სატრენინგო ოთახის კედლებს არ სცდება. რა თქმა უნდა, ერთეულ მასწავლებლებსა და სკოლებს ვერ გავაერთიანებთ ამ ქუდის ქვეშ. თუმცა, კარგი, მაგრამ იზოლირებული პრაქტიკებიც, თავის მხრივ, თანამშრომლობითი კულტურის ნაკლებობაზე მიუთითებს მასწავლებლებს, სკოლებს, სასკოლო საზოგადოებასა და თემს შორის.

ბოლოდროინდელ პროცესებს დიდ ჩარჩოში თუ გავიაზრებთ, კანონზომიერი დინამიკით ვითარდება სკოლა – ორგანიზაცია და მასწავლებელი, როგორც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი რგოლი. ამ ორის განვითარების ეფექტი კი მოსწავლეზე აისახება, თუკი მოსწავლეს განვიხილავთ, როგორც სამიზნე შედეგს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სკოლა უნდა იყოს გარემო, რომელიც სწავლის გაძლიერებას უწყობს ხელს; მასწავლებელი, უფრო მცირე მასშტაბით, საკლასო ოთახში უნდა ქმნიდეს ასეთივე სწავლის ხელშემწყობ პირობებს. მასშტაბის მიუხედავად, ასეთი

გარემო მრავალშრიანი და კომპლექსურია და ინდივიდების ცოდნის, უნარ-ჩვევების, დამოკიდებულებებისა (კომპეტენციების) და სასკოლო/ორგანიზაციული კულტურის მთლიანობას წარმოადგენს.

ცხადია, რომ წლების განმავლობაში, სხვადასხვა ტიპის პროფესიული განვითარების აქტივობების საშუალებით თუ პრაქტიკული გამოცდილებით დაგროვდა ცოდნა, რომელიც სოლიდურ ბაზას ქმნის მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად. არსებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით, ეს ცოდნა ფუნქციურად უნდა ვაქციოთ და უშუალოდ სკოლის ბაზაზე და საკლასო ოთახში ავამუშაოთ.

პროექტის მიზნები და ამოცანები

პროექტი „ახალი სკოლის მოდელი" ლოგიკური გაგრძელებაა წინარე ეტაპებისა და თავისი არსით კონსტრუქტივისტულ პრინციპებს სრულად იზიარებს. კერძოდ – მთავარია არსებული გამოცდილების საფუძვლად გამოყენება და ზედ ახლის დაშენება. ამ ძირითადი პრინციპის გათვალისწინებით, პროექტი გულისხმობს სკოლებში ისეთი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც მოსწავლეებს 21-ე საუკუნის გამოწვევებთან გასამკლავებლად შესაბამის უნარებს განუვითარებს, როგორიცაა: ანალიტიკური აზროვნება, პასუხისმგებლობა, მოკვლევისა და ანალიზის უნარები. ასევე, ხელს შეუწყობს თანამშრომლობასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული გუნდის შექმნას, რომელიც სკოლის, როგორც მუდმივად მზარდი და განვითარებადი ორგანიზმის, ჩამოყალიბებისთვის იზრუნებს.

ამ მიზნების მისაღწევად, სკოლაში მუშაობს 4 ექსპერტისგან შემდგარი **მხარდამჭერი გუნდი**, რომლის შემადგენლობაში შედიან: სასკოლო სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) განვითარებისა და დანერგვის ექსპერტი და მისი ასისტენტი, საგანმანათლებლო ლიდერობის განვითარების და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ექსპერტები. გუნდისთვის მთავარი ამოცანა სკოლის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობაა, თუმცა, თითოეული ექსპერტი სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს. კერძოდ:

სასკოლო სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) განვითარებისა და დანერგვის ექსპერტი და მისი ასისტენტი რეგულარულად მუშაობენ დაწყებითი განათლების მასწავლებლების გუნდთან, რათა ერთობლივად შეიმუშაონ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასკოლო საგნობრივი კურიკულუმი. ამ პროცესის განსაკუთრებულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებლები მათთვის ჩვეულ გარემოში, კოლეგებთან თანამშრომლობით ქმნიან თემატურ მატრიცებს კონკრეტული კლასის მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. პროცესი საკმაოდ ხმაურიანი და შემოქმედებითია: მასწავლებლები არჩევენ მასალას, ამუშავებენ და ფიქრობენ კომპლექსურ დავალებებზე, რომელიც მათი მოსწავლეების სხვადასხვა მახასიათებლებს მოერგება და საშუალებას მისცემს მათ თანაბრად გამოავლინონ შესაძლებლობები.

ამ პროცესს, მოსწავლეთათვის სახალისოსა და პროდუქტიულს ხდის ტექნოლოგიების გამოყენება დავალებების შესრულებისას. თუმცა, თითოეული ასეთი დავალების თუ გაკვეთილის უკან, მასწავლებლებისა და **ტექნოლოგიების ექსპერტების** მუდმივი შეხვედრები – სწავლისა და გაზიარების პროცესი დგას. ცხადია, ამ პროცესს ორმაგი სარგებელი აქვს:

მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრაციის ხერხებს სწავლობენ, არამედ ივითარებენ კომპიუტერის გამოყენებისა და ქსელში მუშაობის უნარებს.

მეორე მხრივ, მოსწავლეები სწავლობენ ისეთი ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას როგორიცაა საძიებო სისტემები, Microsoft-ის ღრუბლოვანი სერვისები ინფორმაციის მოძიების, შენახვისა და გაზიარების მიზნით.

საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი, განსხვავებით ზემოხსენებული გუნდის წევრებისგან, უშუალო საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვასა და მომზადებაში არ იღებს მონაწილეობას. მისი ძირითადი ფუნქციაა, დაეხმაროს დირექტორსა და ადმინისტრაციულ გუნდს სკოლაში დაგროვებული ცოდნა და გამოცდილება ქმედებაში გადაიტანონ და ცვლილებების დანერგვას შეუწყონ ხელი. ამ გზით ისეთი გარემო უნდა შეიქმნას, რომელიც, თავის მხრივ, განვითარებასა და თანამშრომლობას შეუწყობს ხელს მოსწავლის, მასწავლებლის და ადმინისტრაციის დონეზე.

საგანმანათლებლო ლიდერობის განვითარება „ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში

დიდი ხანი არ არის, რაც თანამედროვე განათლების სფეროში გაჩნდა საგანმანათლებლო ლიდერობის

(Instructional Leadership) ცნება და ბევრი სხვადასხვაგვარი განმარტება შეიძლება მოვიძიოთ მასთან დაკავშირებით. პირველად ეს ტერმინი 80-იან წლებში გამოიკვეთა და სასკოლო პროცესების ეფექტურად წარმართვის აუცილებელ პირობად სკოლის დირექტორის ძლიერ პოზიციას გულისხმობდა. თუმცა, ეტაპობრივად გაჩნდა ისეთი ცნებები, როგორიცაა გადანაწილებული ლიდერობა (distributed leadership), გაზიარებული ლიდერობა (shared leadership) და ტრანსფორმაციული ლიდერობა (transformatinal leadership). ეს ცნებები სკოლის დირექტორს არა როგორც ერთპიროვნულ ხელმძღვანელს, არამედ როგორც საუკეთესო მაგალითის მიმცემსა და თანაგუნდელს განიხილავს, რომელიც უშუალოდ არის ჩართული ადმინისტრაციული საკითხების მართვაში და, ასევე, უძღვება სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ პროცესებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ კრიტიკული სიტყვებია **„ჩართულია“** და **„უძღვება“**, რომელიც ცალსახად გამორიცხავს ერთპიროვნულ მართვას, მაგრამ აძლიერებს ლიდერის კრიტიკულ როლს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მთავარი ფუნქციაა აღზარდოს პასუხისმგებელი, ტოლერანტი და კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქე და ამ ფუნქციის შესასრულებლად შექმნას შესაბამისი „პირობები“. ამისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი პირობა უნდა გამოვყოთ და მათი ურთიერთდამოკიდებულება ვაჩვენოთ:

1. **მასწავლებელი**, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და ინკლუზიური საკლასო გარემოს შექმნაზე, იყენებს სწავლების მრავალფეროვან ხერხებს, რათა მოსწავლეებში შემოქმედებითობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას შეუწყოს ხელი; ასევე, აქტიურად არის ჩაბმული სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში;
2. **სასკოლო გარემო**, რომელშიც მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლის სხვა პერსონალი უსაფრთხოდ და დაფასებულად გრძნობენ თავს; წახალისებულია მასწავლებელთა თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული ურთიერთობები; სიახლეებისა და ცვლილებების მიმღებლობა მაღალია;
3. **საზოგადოებასთან ურთიერთობა**, რომელშიც აქტიურადაა ჩაბმული მშობელი, სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები და ინსტიტუციები; საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობის



უზრუნველყოფა სკოლას მის განუყოფელ ნაწილად აქცევს და საშუალებას აძლევს იოლად ადაპტირდეს სკოლის კედლებს მიღმა მიმდინარე განვითარების ტენდენციებსა და ცვლილებებთან.

შესაძლებელია ეს პირობები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განვიხილოთ? მაგალითად, მასწავლებლები, რომლებიც შემოქმედებით გაკვეთილებს ატარებენ ისეთ გარემოში, სადაც არ აქვთ თანამშრომლობისა და გაზიარების საშუალება? ან წარმოგვიდგენია სკოლა, რომელიც იზოლირებულია გარე სამყაროსგან, ხოლო სასწავლო პროცესი ჯანსაღი და საჭიროებებზე მორგებულია? ან გარემო, რომელშიც ურთიერთობები პატივისცემასა და განვითარებაზეა ორიენტირებული, მაგრამ მასწავლებლები ამ გარემოს ნაწილი არ არიან? ცხადია, ეს „პირობები“ ურთიერთდამოკიდებულია: მასწავლებლები, მათი მუშაობისა და ურთიერთობის მანერა, რა თქმა უნდა, ქმნის გარემოს, ხოლო გარემო, თავის მხრივ, გავლენას ახდენს სასწავლო პროცესის ხარისხსა და ხასიათზე. მთლიანობაში კი ეს ურთიერთქმედება და კავშირები ქმნის სასკოლო კულტურას, რომელიც ბავშვის სრულფასოვან ადამიანად ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელ ფუნქციას იძენს.

რა მექანიზმი უზრუნველყოფს ამ პირობების არსებობასა და ურთიერთქმედებას? საჯარო სკოლის დირექტორის ახალი სტანდარტის მიხედვით, მისი საქმიანობა ოთხი ძირითადი მიმართულებით ვითარდება:

1. საგანმანათლებლო ლიდერობა;
2. სასკოლო პროცესების ადმინისტრირება და ანგარიშვალდებულება;
3. თვითგანვითარება და თანამშრომელთა პროფესიული განვითარება;
4. ადგილობრივ საზოგადოებასთან, ინსტიტუციებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა.

ეს მიმართულებები, თავისთავად, მოიცავს იმ სამი ძირითადი კომპონენტის მართვასა და განვითარებას, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. თუმცა, ისევე, როგორც მასწავლებლის, დირექტორის სტანდარტიც მხოლოდ მისი საქმიანობის ჩარჩოს წარმოადგენს, ამ ჩარჩოს ფარგლებში განსახორციელებლი სამუშაო კი მრავალშრიანი და კომპლექსურია, რადგან სკოლები მათი მახასიათებლების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად: მაღალმთიანი თუ ბარის, დიდი ქალაქისა თუ სოფლის, მცირეკონტინგენტიანი თუ მრავალრიცხოვანი. მახასიათებელი სხვადასხვაგვარია და, შესაბამისად, განსხვავებულია ამ სკოლების საჭიროება თუ განვითარების კურსი.

რა როლი და ფუნქციები აქვს საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტს „ახალი სკოლის მოდელში?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეტაპისთვის დაგროვდა ცოდნა, რომელიც მიზანმიმართულ და საჭიროებაზე მორგებულ ქმედებად უნდა ვაქციოთ. სწორედ ამიტომ, „ახალის სკოლის მოდელში“ საგანმანათლებლო ლიდერობის მიმართულების განვითარება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც მასწავლებელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. ისევ ზემოხსენებული ურთიერთქმედებისა და კავშირის აუცილებლობას თუ დავეყრდნობით, სწორედ ამ ორი კომპონენტის თანხვედრა ქმნის სასურველი გარემოს ჩამოყალიბების საფუძველს.

შესაბამისად, საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტთა მთავარ ამოცანას წარმოადგენს – რეკომენდაცია გაუწიონ და დაეხმარონ სკოლის დირექტორსა და ადმინისტრაციულ გუნდს:

- სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის საკითხებში გაზარდონ მასწავლებელთა ჩართულობა, მეორე მხრივ კი, დირექტორი თავად გახდეს სწავლა-სწავლების პროცესის უშუალო თანამონაწილე;
- განავითარონ სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაცია; შეიმუშაონ და დანერგონ მასთან კომუნიკაციის სტრატეგიები;
- დაგეგმონ და ასახონ სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული აქტივობები.

საგანმანათლებლო ლიდერობის განვითარების ექსპერტის თანამშრომლობა დირექტორთან და ადმინისტრაციულ გუნდთან თავსმოხვეული ვერ იქნება,



რადგან საკუთარი სკოლის „შიდა სამზარეულო“ ამ სკოლის პერსონალზე უკეთ არავინ იცის. ამიტომ პირველი ნაბიჯი ყოველთვის საჭიროებების კვლევასა და პრიორიტეტების გამოკვეთას გულისხმობს. შემდგომი კი, იმ გუნდის ფორმირებას, რომელიც კონკრეტული მიმართულებით იმუშავებს. იმის მიხედვით, თუ რა დინამიკით ვითარდება სამუშაო პროცესი, ჯგუფის წევრები და მათი რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ან რამდენიმე სამუშაო ჯგუფად დაიყოს. როგორც წესი, ამ ჯგუფებს ადმინისტრაციის წარმომადგენლები და კათედრის ხელმძღვანელები ქმნიან, თუმცა მასწავლებელს, რომელსაც სურვილი აქვს ადმინისტრაციული პროცესების მონაწილე გახდეს, შეუძლია თამამად შეუერთდეს მათ. მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ კი იწყება დაგეგმვისა და განხორციელების ფაზები.

ლიდერობის ექსპერტთა მუშაობის ჩარჩო და რეგულარობა ყველასთვის საერთოა, თუმცა, სკოლის ხასიათიდან გამომდინარე, ცვალებადია მათი და სკოლის გუნდების მუშაობის შინაარსი და სტილი.

სკოლის მართვის რესურსები და ინსტრუმენტები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა მცირე კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საპილოტე პერიოდში გამოკვეთილი გამოწვევების იდენტიფიცირებას. პროექტში ჩართული დირექტორებისა და ლიდერობის ექსპერტების გამოკითხვისა და ფოკუს-ჯგუფების შესაწავლის შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა: 1.

რესურსებისა და ინსტრუმენტების სიმცირე; 2. ჩართულ სკოლებს შორის პრაქტიკის გაზიარებისა და თანამშრომლობის შესაძლებლობა როგორც დირექტორების, ასევე ლიდერობის ექსპერტების დონეზე.

იმისათვის, რომ სკოლის მართვისთვის საჭირო რესურსები და ინსტრუმენტები მიზანმიმართული და საჭიროებაზე მორგებული ყოფილიყო, ექსპერტებისგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა, ეროვნული სასწავლო გეგმის სიღრმისეული შესწავლისა და საპილოტე პერიოდში დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე, შვიდი მიმართულება გამოკვეთა:

- არაფორმალური განათლების დაგეგმვა და მართვა;
- ინკლუზიური განათლების დაგეგმვა და მართვა;
- კონფლიქტების მართვა;
- მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების დადგენა და მართვა;
- საკლასო შეფასება;
- შემაჯამებელი დავალებები.

თითოეული მიმართულებისთვის შეიქმნა ელექტრონული საქაღალდე, რომელშიც განთავსდა ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა: საჭიროების კვლევისთვის საჭირო კითხვარები და ფოკუს-ჯგუფების სადისკუსიო გეგმები, მონიტორინგისა და პროცესის შეფასებისთვის საჭირო „ჩექლისტები“ და ანალიზის ფორმები, ასევე, საკითხავი მასალა და მზა პრეზენტაციები.

მნიშვნელოვანი გახდა სკოლაში იდენტიფიცირებული გამოწვევების რაიმე ფორმატში მოქცევა, რათა სამუშაო პროცესი ორგანიზებული და მიზანზე ორიენტირებული ყოფილიყო. ამიტომ შერჩეული მიმართულება პროექტის ჩარჩოში მოექცა. ერთი მხრივ, ეს ფორმატი საშუალებას აძლევდა ლიდერობის ექსპერტსა და სასკოლო გუნდს სხვადასხვა პერსპექტივაში დაენახათ კონკრეტული მიმართულება, ხოლო, მეორე მხრივ, თანმიმდევრულად დაეგეგმათ მართვის ციკლის ყველა ეტაპი. საბოლოო ჯამში, პროექტის, როგორც მართვის ინსტრუმენტის, გამოყენების საბოლოო შედეგი უნდა იყოს სხვადასხვა მიმართულების ერთ სისტემაში მოქცევა სკოლის საერთო განვითარებისთვის.

ამ ჩარჩოში მრავალფეროვანი მიმართულებები დაიგეგმა. მაგალითად, კლუბებისა და წრეების ჩამოყალიბება მშობლებისა და მოსწავლეებისათვის; ასევე, ბევრ სკოლაში ჩამოყალიბდა ლიდერთა კლუბები, რომლებმაც, თავის მხრივ, სხვადასხვაგვარი აქტივობა დაგეგმეს სკოლის საჭიროების მიხედვით. შეიქმნა მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც შემაჯამებელი დავალებებისა და ინკლუზიური განათლების მიმართულებით გეგმავენ და ახორციელებენ აქტივობებს.

თავისთავად, სხვადასხვა სკოლაში სამუშაოს მიმდინარეობის ხასიათი და ტემპი განსხვავებულია, თუმცა საერთო ნიშანი ყველასთვის ერთია — სასკოლო საზოგადოების მაღალი ინტერესი და ჩართულობა.

გამოწვევები

გასაკვირი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „ახალი სკოლის მოდელის“ დანერგვის პილოტირება ხარვეზებისა და გამოწვევების გარეშე არ წარიმართა. პირველი წინაღობა სასკოლო საზოგადოების ნდობის მოპოვება და პროექტის სარგებლიანობაში მისი დარწმუნება იყო; შემდეგ კი, მისი დაყოლიება — მთლიანად ჩართულიყო მუშაობის პროცესში. თუმცა, ამას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა. მაგალითად, დროის სიმცირე, გადატვირთული გრაფიკი და წინარე გამოცდილება.

„ქოუჩინგის“, როგორც მიდგომის, ერთ-ერთი მთავარი ღირსება საღი და კონსტრუქციული კომუნიკაციის დამყარებაა, რაც ნდობის მოპოვებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. არანაკლებ მნიშვნელოვანია კონტექსტისა და ადამიანური ფაქტორის განსაზღვრა და გათვალისწინება. კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიისა და ხერხის გამოყენებით, „ახალი სკოლის მოდელის“ ლიდერობის ექსპერტებმა და სასკოლო გუნდებმა პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის ხელსაყრელი გარემო შექმნეს. პირველ რიგში, პროექტის მიზნები და შინაარსი გააცნეს სასკოლო საზოგადოებას; ზოგიერთმა სკოლამ მშობლები უშუალოდ სამუშაო პროცესშიც კი ჩართო. დაწყებითი და საბაზო საფეხურის მასწავლებლების თანამშრომლობამ უფრო მეტად გაზარდა გამოცდილების გაზიარების ინტერესი.

მეორე მხრივ, მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა მხარდამჭერი ჯგუფის ერთ გუნდად ჩამოყალიბება და მისი კონკრეტული მიმართულებების ერთიან სისტემაში მოქცევა. ამასთან დაკავშირებით, პროექტის მართვის გუნდი რეგულარულად გეგმავს სამუშაო შეხვედრებს ექსპერტებთან; თუმცა უნდა ითქვას, რომ წინ კიდევ ბევრი საქმეა.

თამარ ჯაყელი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველოს ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების ხელმძღვანელი

ახალი სკოლის მოდელი – გზა უკეთესი მომავლისაკენ

ავტორი პრინციპულად მსჯელობს საქართველოში განათლების რეფორმის განხორციელების გზაზე დაშვებულ შეცდომებზე და მკაფიოდ საუბრობს ახლა მიმდინარე საგანმანათლებლო ცვლილებათა ფილოსოფიასა და პერსპექტივაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ უპასუხებს არსებულ გამოწვევებს „ახალი სკოლის მოდელი“.

შესავალი

შთამბეჭდავია ზრდა-განვითარების ის ძლიერი მისწრაფება, რომლითაც გაღივებული თესლი აღმოცენდება ხოლმე მიწის წიაღიდან ჩანასახოვანი შესაძლებლობების გასაშლელად. ჯერ ღივს გამოიტანს, მერე კი, როცა მიწის სიღრმეში გაიდგამს ფესვებს – აღმონაცენს, რომელიც მიწის ზედაპირს ამოჭრის ასაღერებლად და გასაფურჩქნად. ხარობსო, ვამბობთ მცენარეზე, რომელიც დაფესვიანდება და გაფურჩქნის თავის საუკეთესო შესაძლებლობებს... ზუსტად ასე, და უფრო მეტადაც, ხარობს მოზარდი, რომელიც ახალ-ახალი ცოდნის დაუფლების გზით განივითარებს გონებრივ სტრუქტურებს და მათზე დაფუძნებით ააღორძინებს ანუ „გაახარებს“ ჩანასახოვან შესაძლებლობებს. ყველამ კარგად ვიცით (თუმცა ხშირად გვავიწყდება), როგორი დაუოკებელია მოზარდში წინსწრაფვისა და ზრდა-განვითარების ბუნებრივი მოთხოვნილება.

სასკოლო ასაკში მოზარდის ქცევების არსენალში წამყვან ადგილს სწორედ სწავლა იკავებს, რადგანაც

ქცევის ეს სახეობა პასუხობს მოზარდის ძირეულ მოთხოვნილებას – შეიმეცნოს სამყარო და გასაქანი მისცეს მის არსებაში მომწიფებულ და „სამოქმედოდ აღძრულ“ ძალებს (იხ. უზნაძე, 2006). ისმის კითხვა: თუ შემეცნება და ზრდა-განვითარება მოზარდის ის ფუნდამენტური, სასიცოცხლო მოთხოვნილებაა, რომელსაც სწავლა პასუხობს, მაშ რატომ ითრგუნება სწავლის სურვილი სკოლის კედლებში? რატომ გვყავს დემოტივირებული მოსწავლეების არმია, რომლებსაც სწავლა არ უნდათ?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და პრობლემის გადაჭრა უნდა ეტვირთა „მოსწავლეზე ორიენტირებულ“ საგანმანათლებლო რეფორმას, რომელმაც საგანმანათლებლო პროცესის მთავარ ორიენტირად ბავშვი და მისი პიროვნული ძალების განვითარება გამოაცხადა. სამწუხაროდ, მრავალწლიანი საგანმანათლებლო რეფორმების მიუხედავად, სკოლა ვერ გადაიქცა მოსწავლეთა ზრდა-განვითარების სარბიელად.

რატომ ვერ გარდაქმნა სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულმა მრავალწლიანმა რეფორმებმა? რატომ ვერ აქცია იგი მოზარდების ზრდა-განვითარების სარბიელად?

ამ კითხვებზე ერთადერთი პასუხი არსებობს: რეფორმამ ვერ შექმნა მოსწავლეების ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი პირობები სასკოლო სისტემაში. ვნახოთ, რას გულისხმობს ეს ხელშემწყობი პირობები და შემდეგ განვიხილოთ, რატომ ვერ მოხერხდა განათლების ხარისხის ასამაღლებლად აუცილებელი პირობების შექმნა.

კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პარადიგმა

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ კოგნიტურ მეცნიერებათა წყალობით, განათლების მეცნიერებაში დაგროვდა უმნიშვნელოვანესი ცოდნა, რომელიც უკეთესად სწავლისა და სწავლების საშუალებას იძლევა. სწორედ ამ მეცნიერულმა მონაცემებმა განაპირობა კონსტრუქტივისტული პარადიგმის ჩამოყალიბება. ამ პარადიგმას განეკუთვნება სწავლა-სწავლებისა და განვითარების ყველა თეორია, რომელიც აღიარებს ორ უმთავრეს დებულებას:

- მოსწავლე სწავლა-სწავლების სუბიექტია;
- სწავლა ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესია.

კონსტრუქტივისტულ პარადიგმას ხუთი მთავარი პრინციპი განსაზღვრავს. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

პრინციპი 1. სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.

რატომ არის აუცილებელი შინაგანი ძალების გააქტიურება, ანუ შინაგანი მოტივაციის ამაღლება? საქმე ისაა, რომ თუ მოსწავლე ან, გნებავთ, ზრდასრული მიღებულ ინფორმაციას თავის „შინაგან ქურაში“ არ გადაამუშავებს, ის ვერ გადააქცევს ამ ინფორმაციას საკუთარი ცოდნის ორგანულ ნაწილად, ვერ მოახდენს მის ინტეგრირებას თავისი ცოდნის სტრუქტურებში. ზერელე, ზედაპირულად დამახსოვრებული ცოდნა უსარგებლოა, უცხო სხეულივითაა – ის ვერ მონაწილეობს სუბიექტის შემეცნებით პროცესებში. მისი გამოყენების ერთადერთი არეალია ცოდნის „ჩამბარებელი ინსტანციები“ – შეიძლება „მიიტანო“ და ჩააბარო იქ, სადაც ამას ითხოვენ. ზრდა-განვითარებასა და შინაგან გარდაქმნებთან მას საერთო არაფერი აქვს. სწავლაც და სწავლებაც ინფორმაციის ცოდნად გარდაქმნის პროცესს გულისხმობს, რაც დიდ ენერგიას მოითხოვს.

შინაგანი მოტივაციის პრობლემის გასაშუქებლად ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ პერკინსი ნიშანდობლივ ეკონომიკურ მეტაფორას იყენებს – „შემეცნებითი ეკონომიკა“ (პერკინსი, 2007). იგი აღნიშნავს, რომ ეკონომიკის სფეროს მსგავსად, განათლებაში მოქმედი პირებიც რაციონალური აგენტები არიან და ითვალისწინებენ დანახარჯებსა და სარგებელს. **განათლების სფეროში დანახარჯების რიცხვს განეკუთვნება:** *დრო; მობეზრება; რუტინული აქტივობები; ფორმალური და მოჩვენებითი, უსარგებლო საქმიანობები; დამრთგუნველი კონკურენცია; მარცხის, განსჯის შიში, გამოცდილება; დამცირებული მდგომარეობა; უმწეობის განცდა; უპატივცემულობა; არაღიარება.*

საგანმანათლებლო სარგებელთა რიცხვს კი განეკუთვნება: *ღირებული, სარგებლის მომტანი აქტივობები; თვითეფექტიანობის განცდა; წინსვლა; დახელოვნება-დაოსტატების განცდა; კონსტრუქციულ გარემოში მუშაობა; დაფასება და აღიარება გუნდის, სასკოლო თემისა და, ზოგადად, საზოგადოების მიერ;*

როცა დანახარჯი აღემატება სარგებელს, იქ ძალიან დაბალია აქტივობებში ენერგიის ინვესტირების ხარისხი, ანუ დაბალია შინაგანი მოტივაცია. ასეთ ვითარებას პერკინსი დაბალენერგეტიკულ შემეცნებით ეკონომიკას უწოდებს. ამის საპირისპიროდ, იქ, სადაც სარგებელი ანაზღაურებს დანახარჯს, ინვესტირების ხარისხი ანუ შინაგანი მოტივაცია მაღალია—ამას პერკინსი მაღალენერგეტიკულ შემეცნებით ეკონომიკას უწოდებს. ხარისხიანი სწავლა-სწავლება, თითოეულ მოზარდში კომპლექსური აზროვნების განვითარება და სხვა მაღალი რანგის შესაძლებლობების რეალიზება მხოლოდ იმ სისტემაში და იმ საკლასო ოთახშია შესაძლებელი, სადაც მაღალენერგეტიკული შემეცნებითი ეკონომიკაა, ანუ სადაც სარგებელი ანაზღაურებს დანახარჯებს. დაბალენერგეტიკული შემეცნებითი ეკონომიკის პირობებში მოსწავლე სწავლა-სწავლების „ობიექტია". მოსწავლე მაშინ ხდება სწავლა-სწავლების სუბიექტი, როცა ის გულანთებულია, როცა ამ პროცესის აქტიური თანამონაწილეა. ფრანგი მოაზროვნე მონტენი ამბობდა: „მოზარდი ასავსები ჭურჭელი არ არის, ის ასანთები ცეცხლია!" აი, სწორედ ამას გულისხმობს „სუბიექტზე ორიენტირებული" პარადიგმა. შინაგანი აქტიურობის გარეშე ცოდნა ვერ აიგება, რადგანაც ცოდნის სტრუქტურები შინაგანი აქტივობის საფუძველზე იზრდება. ამ მხრივ, ცოდნის განვითარება მცენარის განვითარებას ჰგავს: თუ თვითონ არ გამოიღო კვირტები, გარედან მიმაგრება საქმეს ვერ უშველის.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ წარმატებული რეფორმები გარდაქმნებისა და მასშტაბური ცვლილებების წამყვან მამოძრავებელ ძალად მასწავლებელთა და მოსწავლეთა შინაგან ენერგიას იყენებენ (Fullan, 2011). ეს არის რეფორმის წარმატების გასაღები. შინაგანი მოტივაციის გასაზრდელად, ანუ მაღალენერგეტიკული შემეცნებითი ეკონომიკის შესაქმნელად კი რამდენიმე აუცილებელი პირობაა საჭირო: საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილე თითოეულ სუბიექტს – მოსწავლე იქნება ის, მასწავლებელი თუ დირექტორი, უნდა გაუჩნდეს იმის რეალური განცდა, რომ:

- ღირებულ საქმეს აკეთებს;
- აქვს განუხრელი წინსვლა თავის საქმიანობაში;
- დაფასებულია გუნდისა და სასკოლო საზოგადოების მიერ;
- აქვს თანადგომა და მხარდაჭერა ზემდგომების მხრიდან.

პიროვნებაზე ორიენტირებულმა განათლების რეფორმამ, რომელსაც სურს განათლების ხარისხის ამაღლება, სისტემაში უნდა აამოქმედოს ისეთი მექანიზმები და ინსტრუმენტები, რომელიც ზემოხსენებული პირობების შექმნას შეუწყობს ხელს.

პრინციპი 2. სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

გადამწყვეტ როლს ახალი ცოდნის შეძენაში წინარე ცოდნა თამაშობს. ამაში დაგვარწმუნებს უბრალო მაგალითი: წარმოვიდგინოთ, რომ მხატვარი და არქეოლოგი ერთსა და იმავე პეიზაჟს უყურებენ. უკანა გზაზე დაბრუნებულებს ცალ-ცალკე თუ მოვაყოლებთ, რა ნახეს, სრულიად განსხვავებულ პასუხებს მივიღებთ. საქმე ისაა, რომ ადამიანს ყველა ინფორმაციის „ფოტოკოპირება" არ შეუძლია და ამიტომ იგი იძულებულია, მოახდინოს ინფორმაციის სელექცია. რაზე გაამახვილებს ადამიანი ყურადღებას აღქმულ ობიექტში - პეიზაჟი იქნება ის, მოთხრობა თუ საჯარო გამოსვლა, ეს მისი ცოდნის სტრუქტურებზეა დამოკიდებული. აქედან ჩანს, რომ აღქმული ინფორმაცია ავტომატურად არ „შედის" გონებაში და იქ მნიშვნელობა არ შეაქვს, როგორც ეს წარმოუდგენია ბევრ მასწავლებელს. ინფორმაციის აღსაქმელად ჩვენ ვაღებთ „ცოდნის საცავებს", ჩვენი წინარე ცოდნით ვამუშავებთ მას და ვანიჭებთ მნიშვნელობას. როგორ აღვიქვამთ ინფორმაციას და რა აზრს „ჩავდებთ" მასში, ეს ჩვენს წინარე ცოდნაზეა დამოკიდებული. ამიტომ ხდება, რომ ერთსა და იმავე ინფორმაციაში კონკრეტული ადამიანები სხვადასხვაგვარ მნიშვნელობას დებენ. ადამიანი თავისი წინარე ცოდნის საშუალებით აგებს „შემდგომ" ცოდნას – თვითონ არის საკუთარი ცოდნის მაკონსტრუირებელი. როცა იგნორირებულია წინარე ცოდნა-გამოცდილება, მოსწავლის ცოდნის „საცავები" ვერ იხსნება და იგი მიწოდებულ ინფორმაციაში მნიშვნელობას ვერ დებს. მნიშვნელობას მოკლებული პროცესი კლავს სწავლის სურვილს, აქრობს გულსა და სულს. აი, ესაა ერთ-ერთი მიზეზი დემოტივირებული მოსწავლეების არსებობისა ჩვენს საკლასო ოთახებში და

ერთ-ერთი მიზეზი დემოტივირებული მასწავლებლებისა, რომლებსაც უზარმაზარი ენერგიის ხარჯვა უწევთ ინფორმაციის „ჩასატენად“ დემოტივირებული მოსწავლეების თავებში. ეს ტიპობრივი სურათია იმისა, რაც მასობრივად ხდება ჩვენს საკლასო ოთახებში.

ამ პრინციპის გათვალისწინება გულისხმობს ასევე, სვლას პრაქტიკული გამოცდილებიდან თეორიული ცოდნისაკენ. შემსწავლელი ვერ გააცნობიერებს, იმას, რისი პრაქტიკული გამოცდილებაც არ აქვს. ამიტომ არის მნიშვნელოვანი კეთებით და აღმოჩენებით სწავლა. პრაქტიკული გამოცდილებით მიღებულ მოცემულობათა გასიტყვება მიიყვანს მოსწავლეს თეორიული, არსობრივი ასპექტების გააზრებისა და გაცნობიერებისაკენ. ასე რომ ჯერ პრაქტიკა, შემდეგ – გასიტყვება.

ძალიან ხშირად წინარე ცოდნის პრინციპის გაუთვალისწინებლობა განაპირობებს მოზარდების განვითარების გზის ჩახერგვას. ამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო-სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელდა საგულისხმო ტერმინი, რომელიც უშუალოდ ამ პრინციპს უკავშირდება – „ხმადაკარგული მოსწავლეები“. მოზარდის ხმა მისი წინარე ცოდნაა, ანუ ის ინსტრუმენტი, რომლითაც მას განვითარება შეუძლია. ხმადაკარგული მოსწავლეები ის მოზარდები არიან, რომელთა წინარე ცოდნაც უგულებელყოფილია სასწავლო პროცესში. მათ წართმეული აქვთ ცოდნის შესაძენად და საკუთარი გონებრივი რესურსების გასავითარებლად აუცილებელი ინსტრუმენტი. ასეთი მოსწავლეები მოჯადოებულ წრეში ექცევიან: სულ უფრო მეტად აუარესებენ აკადემიურ მიღწევებს; აკადემიური მიღწევების გაუარესება კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად ამცირებს სწავლის მოტივაციას (Harackiewicz et al., 2002). მოსწავლეს ნეგატიური „აკადემიური მე კონცეფცია“ უყალიბდება. ესაა დასაწყისი იმ გზისა, რომელიც სწავლის ზედა საფეხურებზე მოსწავლეს მიიყვანს უმწეო მდგომარეობამდე – კერძოდ, იმ მდგომარეობამდე, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „შეძენილ უუნარობას“* (learned helplessness) უწოდებენ

(Barth, 2013; , Tardif, 1997; ჯაფარიძე, 2014). – აი, ჩუმი ტრაგედია, რომელიც საკლასო ოთახებში თამაშდება. ვინმეს სცალია ამ მოზარდებისთვის? გვახსენდება ფრანგი მწერლის, დანიელ პენაკის გამონათქვამები ასეთ მოზარდებზე ავტობიოგრაფიული რომანიდან „სკოლის სევდა“: „ბავშვები მომავლის გარეშე... ბავშვები, რომლებისგანაც არასდროს არაფერი გამოვა... წყალწაღებული ბავშვები“. საბედნიეროდ, დანიელ პენაკს გამოუჩნდა მხსნელი, მაგრამ განა რამდენ მოზარდს შეიძლება არგუნოს ბედმა ასეთი მხსნელი?

პრინციპი 3. სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.

გონებაში ცოდნის ორგანიზების ფორმებს აზრობრივ სქემებს უწოდებენ. რაც უფრო ორგანიზებულად და იერარქიზებულად უკავშირდება ერთმანეთს აზრობრივი



სქემები, მით უფრო ძლიერდება სააზროვნო რესურსები და დამახსოვრების უნარები. ურთიერთდაკავშირებული ცოდნის კონსტრუირების ასაგებად მნიშვნელოვანია კომპლექსური, კონტექსტუალიზებული დავალებების (მაგ.: კვლევითი პროექტი, სიმულაცია, ლაბორატორიული სამუშაო, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, რეპორტაჟის მომზადება და სხვ.) შეთავაზება სწავლის პროცესში. ამგვარ დავალებათა შესრულების დროს მოსწავლე ეუფლება ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას, ასევე სააზროვნო პროცესის კომპლექსურად მართვას. ცოდნის გამოყენებას ახერხებს არა ის, ვინც დაქუცმაცებულად დაისწავლის ცოდნათა ცალკეულ კომპონენტებს, არამედ ის, ვინც ახერხებს ცოდნის კომპონენტების ინტერაქტიულად და ინტეგრირებულად გამოყენებას.

პრინციპი 4. სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).

მოსწავლეს შეძენილ ცოდნაზე მეტად ზრდის და ავითარებს სააზროვნო პროცესების გაცნობიერება და მათი ეფექტიანად მართვის სწავლა. სწავლის პროცესზე დაკვირვება, ეფექტიანი სტრატეგიების აღმოჩენა და დაუფლება ზრდის მოსწავლის ქმედუნარიანობას და საშუალებას აძლევს მას, მიზანმიმართულად წარმართოს სწავლის პროცესი, გაუმჯობესოს მიღწევები და დამოუკიდებლად განავითაროს ცოდნა.

პრინციპი 5. სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს (რა ეწოდება?), პროცედურულს (როგორ შევასრულო?) და პირობისეულს (როდის გამოვიყენო?).

დეკლარატიული ცოდნა წესების, განსაზღვრებებისა და თეორიების ზეპირად ცოდნას გულისხმობს, პროცედურული – კონკრეტული ოპერაციების დაუფლებას, პირობისეული ცოდნა კი – საკითხთა არსობრივი ასპექტების წვდომას. არსობრივი ასპექტები უნივერსალურია, თავისუფალია კონკრეტული კონტექსტების მოცემულობისგან. მათი გააზრება, ერთი მხრივ, იძლევა ცოდნის გადატანის (ტრანსფერის) საშუალებას ერთი კონტექსტიდან მეორე-

ში, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს მოვლენებსა და ცნებებს შორის არსებული მიმართებების, კავშირ-დამოკიდებულებების გააზრებას, ანუ მეხსიერებაში ორგანიზებული, იერარქიზებული, ურთიერთდაკავშირებული ცოდნის ჩამოყალიბებას.

რეფორმის მიერ დაშვებული შეცდომები

კონსტრუქტივისტული, ანუ მოსწავლეზე ორიენტირებული პარადიგმის პრინციპების გადასახედიდან თუ გადავავლებთ თვალს აქამდე ჩატარებულ რეფორმებს, ადვილად დავინახავთ დაშვებულ შეცდომებს. აქ აღვნიშნავთ რამდენიმეს:

- **დასჯა-წახალისების მექანიზმები** – პიროვნებაზე და მისი შინაგანი ენერგიების ამაღლებაზე ორიენტირებული მიდგომების ნაცვლად, სისტემურ დონეზე ავამოქმედეთ იძულებაზე, გარე ზეწოლაზე, კონტროლსა და განსჯაზე ორიენტირებული ბერკეტები. მოსწავლეზე ორიენტირებული რეფორმის გაცხადებული გზავნილი იყო „კონსტრუქციული, პოზიტიური გარემოს შექმნა“, მაგრამ ფარული გზავნილი სხვას ამბობდა: ვაკონტროლებ თქვენს შედეგებს და დაგსჯით, თუ ვერ მიაღწევთ იმას, რასაც ჩვენ თქვენგან მოვითხოვთ“. ამ მიდგომის უკან ადვილად ამოიცნობა მექანიცისტური ხედვა, რომელიც ადამიანებს რეფორმის მონაწილე სუბიექტად კი არა, რეფორმის „ობიექტებად“ განიხილავს. ამ ხედვას ჰგონია, რომ შესაძლებელია ადამიანთა გარდაქმნისა და განვითარების პროცესების გარედან მართვა, გარე ზეწოლებით სასურველი შედეგების მიღება. ეს გულუბრყვილო წარმოდგენები ადამიანს გარედან მართულ ობიექტად რომ განიხილავს, უგულებელყოფს სუბიექტს მთელი თავისი კომპლექსურობით, უგულებელყოფს პიროვნებას და მოტივებს, რომელიც მას ამოძრავებს კონკრეტული ქცევების განხორციელებისას. დ. უზნაძისეული „განწყობის თეორია“ გვეუბნება, რომ ქცევა მოთხოვნილების მქონე სუბიექტს უკავშირდება. ქცევათა სახეს განსაზღვრავს არა მისი გარეგნული მხარე – რა მოქმედებებს ვასრულებ, არამედ სუბიექტის მამოძრავებელი მოტივი – რისთვის, რა მიზნით განვახორციელე ეს ქცევა. გარეგან მოტივაციასა და განსჯაზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ ჩვენს სისტემაში მოხმარებითი რანგის ქცევები გააძლიერა და გაამრავლა; მოხმარებით ქცევით აქტებს კი საგანმანათლებლო ღირებულება არ აქვს – ის განვითარებაზე კი არა, აქტუალური მოთხოვნილების (კრიდიტის მიღება, ნიშნის მიღება, დირექტორის ან მასწავლებლისა თუ მშობლის რისხვის არიდება, გამოცდის ჩაბარება) დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. როგორც კი ეს აქტუალური მოთხოვნილება კმაყოფილდება, ქცევითი აქტებიც ღირებულებას კარგავს. ასეთ ვითარებაში განა რა განვითარებაზე შეიძლება ვისაუბროთ? სწორედ ამ მიდგომამ აქცია საგანმანათლებლო აქტივობები „ვალმოსახდელ“ საქმიანობებად. ფორმალურმა, მოჩვენებითმა, უნაყოფო და „ფუტურო“ აქტივობებმა მოიცვა საკლასო ოთახები, სამასწავლებლოები, დირექტორების კაბინეტები, სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურა. აქ ზედმეტია გარდაქმნებსა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე საუბარი. შეიძლება ითქვას, რომ წამყვან ბერკეტებად დასჯა-წახალისების მექანიზმების ამოქმედება იყო ყველაზე დიდი შეცდომა სხვა შეცდომათა შორის, რომელმაც სისტემის სტაგნაცია და, რაც ყველაზე უარესია, სასკოლო-სააღმზრდელო კლიმატის დეგრადირება გამოიწვია. განსჯის, მარცხის, დასჯის, შეურაცხყოფის, დამცირების შიშით შეპყრობილ ზრდასრულებს საკუთარი თავის გადასარჩენად იმდენი საზრუნავი გაუჩნდათ, რომ მოსწავლის განვითარებაზე ზრუნვამ უკანა პლანზე გადაიწია. ეს საკითხი დეტალურად გვაქვს სხვაგან განხილული და აქ აღარ გავშლით (თ. ჯაყელი, 2018).

ასეთ არაკონსტრუქციულ გარემოში რა წინსვლის იმედი უნდა გვქონოდა? რეფორმატორულ გარდაქმნებს ობიექტები კი არა, სუბიექტები ახორციელებენ.

- **სეგმენტირებული, დაქუცმაცებული სასწავლო შინაარსები** – ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში მხედველობის არიდან დაიკარგა გრძელვადიანი მიზნები, ეს კი მოსწავლის განვითარების გზის დაკარგვასაც ნიშნავს. თვითმიზნად იქცა ერთმანეთთან დაუკავშირებელ, დაქუცმაცებულ საკითხთა ურიცხვი რაოდენობის ზერელედ, ზედაპირულად დასწავლა, რაც გონებრივი სტრუქტურების განვითარების ნაცვლად, „უთხელებს ბავშვს ტვინსა, უსუსტებს გონებას

და უუძლურებს ჰაზროვნებასა“ – როგორც აღნიშნავდა სქოლასტიკური სწავლების შეურიგებელი მოწინააღმდეგე იაკობ გოგებაშვილი. ამ მოსაზრების სიმართლე კოგნიტური მეცნიერების კვლევებმა დაადასტურა – ადამიანის გონება სეგმენტირებულად, დაქუცმაცებულად, დანაწევრებულად ვერ ვითარდება. მას მთლიანობითი და კომპლექსური კონტექსტები სჭირდება.

- **დეკონტექსტუალიზებული ინსტრუმენტები** – განათლების სისტემის სხვადასხვა დონეზე სწავლების, შეფასებისა თუ მართვისთვის გამოიყენება უნიფიცირებული ინსტრუმენტები, რომელიც უგულებელყოფს კონკრეტული კონტექსტებისა და კონტექსტუალიზების მნიშვნელობას. ასეთ ინსტრუმენტებს წარმოადგენს უნიფიცირებული გამოცდები თუ ტრენინგები; ეროვნული სასწავლო გეგმის ადმინისტრაციული ნაწილი, რომელიც ყველა სკოლას კონტექსტისგან მოწყვეტილად განიხილავს და უნიფიცირებულ მოთხოვნებს უყენებს; ტერმინებითა და საკითხებით გადატვირთული უნიფიცირებული „პროგრამები“ ანუ სახელმძღვანელოები, რომელიც საკლასო ოთახებში დაჩქარებული ტემპებით, ანუ ზედაპირულად ისწავლება. სად ეჩქარებათ? – დირექტორებისა თუ სხვა ინსტანციების ზეწოლა და დასჯის მუქარა მასწავლებელს მასალის „ამოწურვის წნეხის“ ქვეშ ამყოფებს და აიძულებს, ორიენტირებული იყოს არა მოსწავლეების განვითარებაზე, არამედ საკითხების დიდი მოცულობის დაფარვაზე. აი, როგორი სისტემა შევქმენით – მოჩვენებითი და ყალბი საქმიანობების მაწარმოებელი; სისტემა, რომელშიც მოსწავლეებზე და მათ განვითარებაზე ზრუნვა, ცოდნის კონსტრუირება პრიორიტეტული არ არის. მართლაც, ვის რჩება ამაზე ფიქრისა და ზრუნვის დრო, როცა ამდენი „სერიოზული“ საქმეა გასაკეთებელი? მთავარია, ფორმალურად დაფიქსირდეს, რომ პროგრამა დაიფარა. ამ სიყალბეს ხომ მოზარდებსაც ვასწავლით! რისი მოლოდინი უნდა გვქონდეს? როგორ საზოგადოებას ვაყალიბებთ, ეგრეთ წოდებულ, „სააღმზრდელო“ გარემოში? – მოჩვენებითი აქტივობები, უპასუხისმგებლობა, უნდობლობა, არაჯანსაღი კონკურენცია და გაუტანლობა, უპატივცემულობა, ინდიფერენტულობა სხვისი გასაჭირის მიმართ – აი მაგალითები, რომელიც მოზარდის ფსიქიკაში აღიბეჭდება; აი ჩვენი სკოლების ფარული კურიკულუმი, რომელიც შექმნა გატარებულმა „რეფორმებმა“.

წარუმატებელი რეფორმის საფუძვლები

პირველი და მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, რაც 2006 წლიდან დაიწყო, არსებულისგან სრულიად განსხვავებული საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებასა და მასშტაბური ცვლილებების განხორციელებას მოითხოვდა. შესაბამისად, მასზე მუშაობის პროცესს, რომელიც ჯერ კიდევ 2001 წელს დაიწყო, პარალელურად მოსდევდა განათლების სისტემის გარდაქმნისთვის საჭირო ისეთი მნიშვნელოვანი რეფორმები, როგორიცაა: ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, მართვისა და დაფინანსების განსხვავებული პრინციპების შემოღება, ახალი ტიპის ინსტიტუციების განვითარება, რომლებიც პასუხს აგებდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა-განვითარებაზე, პედაგოგთა გადამზადებაზე, ახალი ტიპის შეფასების სისტემის შექმნა-დანერგვაზე, სახელმძღვანელოების გრიფირების სისტემის შემუშავება-ამოქმედებაზე და სხვა (ამ საკითხებზე იხ.: ჯაყელი, სილაგაძე, 2018).

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო რეფორმასთან ადაპტირება-შეგუების პერიოდი. სამწუხაროდ, ამ პერიოდიდან დღემდე საკვანძო ცნება – „პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი“ – რეფორმატორებმა არსობრივად ვერ გავიაზრეთ. შესაბამისად, ეს ცნება ვერ ვაქციეთ ჩვენი ხედვის, ჩვენი ცოდნის სტრუქტურების ორგანულ ნაწილად. ჩვენს კოგნიტურ სისტემაში მუშაობს ისევ ძველი, ყავლგასული წარმოდგენები, რომელიც ახლით ვერ ჩავანაცვლეთ. ზედაპირულად გაგებული ტერმინი ვერ გასცდა ჩვენი დისკურსის ფარგლებს. ჩვენ ახალი ტერმინოლოგიით შევფუთეთ ძველი წარმოდგენები. მაგრამ ადამიანის საქმიანობას მისი სიტყვები კი არა, ცნობიერების ღრმა შრეებში დამკვიდრებული წარმოდგენები განაგებს. დიახ, ჩვენ ვსაუბრობდით ახალი სიტყვებით, ახალი ტერმინებით, მაგრამ ვმოქმედებდით ძველ წარმოდგენათა მიხედვით. ჩვენს დისკურსსა და ქმედებებს შორის არ იყო თანხვედრა – ვამბობდით ერთს და ვაკეთებდით მეორეს. ვსაუბრობდით პოზიტიურ გარემოზე და ვქმნიდით არაკონსტრუქციულ გარემოს, ვსაუბრობდით პიროვნებაზე ორიენტირებულ პარადიგმაზე და ვქმნიდით „ობიექტზე ორიენტირებულ პარადიგმას“ და მისთ..

წარუმატებელი რეფორმის საფუძვლები, ცხადია, ჩვენს მენტალობაშია საძიებელი. მართლაც, რეფორმა, პირველ რიგში, მენტალობაშია განსახორციელებელი – აქაა სისტემის განახლების საფუძველი.

ჩვენს სისტემაში ჩატარებული კვლევების მონაცემები (ეროვნული თუ საერთაშორისო შეფასებების შედეგები, მეორე თაობის სასწავლო გეგმის რევიზიის დროს ჩატარებული მონიტორინგები დაწყებით და საბაზო საფეხურებზე, ახალი სკოლის ფარგლებში ჩატარებული შეფასებების შედეგები) ცხადყოფს, რომ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ვერ განავითარებს საკუთარ გონებრივ შესაძლებლობებს. მათი ნამუშევრები ადასტურებს სერიოზულ პრობლემებს გაგებასთან, რეფლექსიასა და შემოქმედებით აზროვნებასთან დაკავშირებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სასკოლო სისტემაში ათიათასობით „ხმადაკარგული“ მოზარდია, რომელთა შესაძლებლობები სკოლაში გაუშლელი და დათრგუნული რჩება. ასეთ მოზარდებს, სისავსისა და სილაღის ნაცვლად, არასრულფასოვნების განცდა ეუფლებათ, რაც ზიანს აყენებს მათ ფსიქიკას, მათ სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებას. დათრგუნული, გაუშლელი შესაძლებლობები განაპირობებს აგრესიულ ან დეპრესიულ განწყობებს, რომელთა გამოვლინება, ემოციური აშლილობისა თუ დანაშაულებრივი ქმედების სახით, ძალიან ძვირი უჯდება ოჯახებს და, ზოგადად, საზოგადოებას. როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ ვაცნობიერებთ, რომ აქწყდება ამ მოზარდების მომავალიც და ქვეყნის მომავალიც.

მავანი ფიქრობს, რომ მცირერიცხოვანი ელიტის გაზრდა საკმარისია ქვეყნის ასაღორძინებლად და გასაძლიერებლად. თითოეული „გაუხარელი“ მოზარდი, როგორც აუთვისებელი რესურსი და არასრულფასოვნების განცდით დაზიანებული პიროვნება, ქვეყნისთვის აუნაზღაურებელი დანაკარგის მომტანია როგორც კულტურული, ისე საზოგადოებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით. ქვეყნის აღმშენებლობას საღად მოაზროვნე, მოტივირებული და გულანთებული პიროვნებებისგან შემდგარი საზოგადოება სჭირდება. მცირერიცხოვანი ელიტა ვერაფერს გახდება ასეთი საზოგადოების გარეშე. გონებაგანუვითარებელი, გაუნათლებელი თაობა ქმნის ინერტულ მასას, რომელიც წინ ეღობება, აფერხებს ქვეყნის აღორძინებისა და განვითარების პროცესს.

იმ მძიმე შედეგებს შორის, რომელსაც დღეს ვიმკით ფსიქოპედაგოგიკური თვალსაზრისით კონცეპტუალურად გაუმართავი რეფორმების გამო, უნდა დავასახელოთ ნიჰილისტური განწყობებიც, რომელიც განათლების რეფორმის მიმართ ჩამოყალიბდა სასკოლო საზოგადოებაში. დღეს თითქოს აღარავის სჯერა, რომ შესაძლებელია სასკოლო სისტემის განახლება და სკოლის გარდაქმნა სასკოლო თემისთვის მიმზიდველ სივრცედ, რომელიც თითოეულ მოზარდს მისცემს თვითრეალიზების საშუალებას.

დაბოლოს, კიდევ ერთ საკითხზე გვსურს გავამახვილოთ ყურადღება: პოლიტიკოსებისა და რეფორმატორების ერთი ნაწილი ხსნას მენეჯმენტში ხედავს და ფიქრობს, რომ კარგ „მენეჯერს“ შეუძლია განათლების ხარისხის ამაღლება. იყო პერიოდი, როცა ყველა ვამაყობდით იდეალურად გამართული საგამოცდო სისტემით, მაგრამ რა მოგვცა 15 წლის თავზე ამ იდეალურად გამართულმა მექანიზმმა?! ცხადია, „მენეჯმენტს“ თავისი განუმეორებელი როლი და ადგილი უჭირავს, მაგრამ ის თუ არ დაეფუძნა კონცეპტუალურად გამართულ საგანმანათლებლო ხედვას, მივიღებთ იმ შედეგებს, რაც გვაქვს – წლების მანძილზე მილიონობით დახარჯული ლარი და სტაგნაცია. ახლაც არიან რეფორმატორები, რომლებიც სამსჯავროზე გამოდიან მთავარი სიტყვით: მენეჯმენტი. განათლებაში მთავარი სიტყვა ფსიქოპედაგოგიკას ეკუთვნის. ჯერ ფსიქოპედაგოგიკა, შემდეგ მასზე დაფუძნებული „მენეჯმენტი“. მხოლოდ ფსიქოპედაგოგიკას შეუძლია იმ სასწაულების მოხდენა, რომელსაც მოელის საზოგადოება რეფორმისაგან.

ჩვენ კი ისე მოვედით აქამდე, რომ განათლების რეფორმაში ჩართული ადამიანების დიდ უმრავლობას არ გვაქვს პასუხი გადამწყვეტი მნიშვნელობის ფსიქოპედაგოგიკურ კითხვებზე. ეს კითხვებია:

საკვანძო „რატომ?“ კითხვები:	საკვანძო „როგორ?“ კითხვები:
1. რატომ არის მნიშვნელოვანი სასწავლო პროცესის შინაგან მოტივაციაზე დაფუძნება?	1. როგორ უზრუნველვყოთ შინაგანი მოტივაციის გამოწვევა და გაზრდა?
4. რატომ საუბრობს განათლების მეცნიერება ცოდნის „კონსტრუირებაზე“, აგებაზე? რა კავშირია ცოდნის კონსტრუირებასა და მოსწავლეზე ორიენტირებულობას შორის?	1. როგორ უნდა შევუწყოთ ხელი ცოდნის კონსტრუირებას? როგორ შევუწყოთ ხელი თითოეულ მოსწავლეს საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში?

უნდა გავაცნობიეროთ, რომ ნებისმიერი ინტერვენცია, მექანიზმი, საქმიანობა, რომელიც ამ კითხვებს არ უპასუხებს, საგანმანათლებლო გარდაქმნების საწინააღმდეგოდ იმუშავებს.

როგორ უპასუხებს „ახალის სკოლის მოდელი“ არსებულ გამოწვევებს

პროექტი „ახალი სკოლის მოდელის“ ამბიციაა, რომ საქართველოს ყველა სკოლასა და და საკლასო ოთახში განახორციელოს თვისებრივი, არსობრივი გარდაქმნა და რეალურად შეუწყოს ხელი მთელ სასკოლო სისტემაში მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის დანერგვას.

რას აკეთებს ამისთვის „ახალი სკოლის მოდელი“?

1. **საგანმანათლბელო პრინციპების გამოკვეთა** – იგი გამოამზეურებს საკვანძო ცნების – „პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის“ სიღრმისეულ, არსობრივ ასპექტებს, რათა ხელმისაწვდომი გახადოს იგი ზოგადი განათლების სფეროში მომუშავე ყველა მოთამაშისთვის და ამ გზით ხელი შეუწყოს ყავლგასული მექანიცისტური ხედვიდან მომდინარე წარმოდგენების ჩანაცვლებას განახლებული წარმოდგენებით.
2. **სუბიექტზე ორიენტირება** – ახალი სკოლის მოდელი რეფორმის სუბიექტებად აღიარებს მასწავლებლებს, სკოლის ხელმძღვანელებს, მოსწავლეებს. ამიტომ იგი რეფორმას საგაკვეთილო ოთახიდან იწყებს. ამ პროექტის ფარგლებში განათლების ექსპერტები, მასწავლებლები და დირექტორები ერთიან გუნდს ქმნიან და რეფორმის თანაავტორები არიან.
3. **შინაგანი მოტივაციის გაზრდაზე ორიენტირებული მიდგომები** – დასჯა-წახალისების მექანიზმების ნაცვლად, ახალი სკოლის მოდელი მხარდაჭერის მიდგომებს იყენებს. ახალი სკოლის მთავარი გზავნილია (გაცხადებულიც და ფარულიც): „ურთიერთთანადგომა, გუნდური მუშაობა და ერთმანეთზე ზრუნვა“. პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონტროლის მექანიზმებიც წინსვლის მხარდაჭერასა და ხელშეწყობაზეა ორიენტირებული.
4. **კონტექსტუალიზებული კომპლექსური დავალებები** – ახალი სკოლის მოდელი მოსწავლეებს ცოდნის კონსტრუირებისთვის სთავაზობს მათთვის შინაარსიან, აზრიან, ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებულ კომპლექსურ დავალებებს, რომელიც სარბიელს უხსნის მათ „სამოქმედოდ აღძრულ ძალებს“. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს, რომელიც მათ თვითგამოხატვის, შემეცნებითი და შემოქმედებითი ძალების რეალიზების საშუალებას აძლევს. საკლასო საქმიანობა მათთვის მიმზიდველი და ღირებული ხდება, რის შედეგადაც მატულობს მათი შინაგანი მოტივაცია.
5. **ცნებებზე დაფუძნებული პედაგოგიკის დანერგვა** – პროექტი ცნებებზე დაფუძნებულ პედაგოგიკას ნერგავს. რატომ? იმიტომ, რომ:
   - ადამიანის აზრი ცნებების საშუალებით სწვდება სამყაროს მთლიანობას, შეიმეცნებს საგანთა მნიშვნელობას და მათ მიმართებას სინამდვილის სხვადასხვა ასპექტთან. ადამიანი ცნებებით აზროვნებს; ცნება აზროვნების ინსტრუმენტია და ამ ინსტრუმენტებით უნდა შევაიარაღოთ ჩვენი მოზარდების გონება (უზნაძე, 2006; Vygotski, 2002; Bruner, 2011; Barth, 2013).
   - ცნება უალტერნატივო პედაგოგიკური ინსტრუმენტია დინამიკური და სიღრმისეული ცოდნის კონსტრუირებისათვის. ცნების, როგორც პედაგოგიკური ინსტრუმენტის ეფექტიანობას განაპირობებს მისი სტრუქტურა, რომელიც სასწავლო პროცესში ხუთივე საგანმანათლებლო პრინციპის განხორციელების საშუალებას იძლევა.

ცნების სტრუქტურა სამი ელემენტისაგან შედგება. ეს ელემენტებია:

- ცნების სახელი – მაგ., „ინსტიტუცია“;
- არსებითი თვისებები (მაგ., ადამიანის საჭიროებებზე ზრუნვა);
- ცნების კონკრეტული მაგალითები (მაგ., სახანძრო, პოლიცია, დასუფთავების სამსახური, სკოლა, ბიბლიოთეკა, მუზეუმი და სხვ.).

ცნების სტრუქტურა საშუალებას იძლევა, მოსწავლე ცოდნის კონკრეტული ფორმებიდან მივიყვანოთ ცოდნის განზოგადებულ ფორმამდე (ცნების არსე-

ბით თვისებებამდე). მასწავლებლის მიერ მიწოდებული კონკრეტული მაგალითების (მაგ., სახანძროს, პოლიციის, ბიბლიოთეკის, სკოლის, ბაგა-ბაღის) განხილვისას მოსწავლე აღმოაჩენს იმ თვისებებს, რომელიც ყველა მათგანს ახასიათებს; გამიჯნავს შემთხვევით ანუ არაარსებით თვისებებს არსებითი თვისებებისგან; კონტრასტისთვის განიხილავს კონტრმაგალითებსაც და საბოლოოდ, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და აქტიური შემეცნებითი პროცესების წყალობით, მივა ცნების არსებითი თვისებების გააზრება-გასიტყვებამდე ანუ კონკრეტული ცოდნის განზოგადებამდე.

- ცნება, თავისი მოცულობის ანუ მაგალითების წყალობით, საშუალებას იძლევა, სწავლის პროცესი მოსწავლის წინარე ცოდნაზე დავაფუძნოთ (მეორე პრინციპი – წინარე ცოდნაზე დაფუძნება). მოსწავლეთა გამოწვევა – უცნობი ასპექტების აღმოჩენა კომპლექსური დავალებების საშუალებით, აძლიერებს აღმოჩენისა და ძიების ბუნებრივ წყურვილს, მოსწავლეს საშუალებას აძლევს, საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით გააააქტიუროს შემეცნებითი პროცესები და განავითაროს ახალი ცოდნა (პირველი პრინციპი – შინაგანი ძალების აქტიურობა).
- ცნების არსებითი თვისებების გააზრება ნიშნავს კონტექსტუალიზებული ცოდნის დეკონტექსტუალიზებას. მოსწავლე თავისუფლდება კონკრეტული კონტექსტის ვიწრო მოცემულობებიდან და ახერხებს ცოდნის ტრანსფერს განსხვავებულ კონტექსტში, რადგან არსი კონკრეტული კონტექსტის მიღმაა, არსი უნივერსალურია. ცნება თავად წარმოადგენს ორგანიზებულ იდეას, აზრობრივ კონსტრუქტს და, ბუნებრივია, მისი დაუფლება განაპირობებს აზროვნების სტრუქტურირებას, საკითხთა შორის მიმართებების გააზრებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას (მეოთხე პრინციპი – ცოდნათა ურთიერდაკავშირება და ორგანიზება ხანგრძლივ მეხსიერებაში).
- ცნების არსებითი ნიშან-თვისებების გააზრება აადვილებს დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას. მაგ., ცნების განსაზღვრება გულისხმობს მისი არსებითი თვისებების სიტყვიერად ჩამოყალიბებას. მას შემდეგ, რაც მოსწავლე გაიაზრებს ცნების არსებით თვისებებს, იგი თავისუფლად შეძლებს გააზრებულად ჩამოაყალიბოს და დაიმახსოვროს განსაზღვრება. რაც შეეხება პროცედურულ ცოდნას, ცნების გააზრების შედეგად მოსწავ-

ლეს გაუადვილდება პროცედურული ოპერაციების განხორციელება (მეოთხე პრინციპი – ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა).

- გააზრებული და აქტიური სწავლა-სწავლებისას მასწავლებელს საშუალება ეძლევა, დააკვირვოს მოსწავლეები სწავლის პროცესზე, გააცნობიერებინოს აზროვნების ის მეთოდები და სტრატეგიები, რომელსაც ცოდნამდე მიჰყავს ისინი. ამ მეტაკოგნიტური აქტივობის შედეგად მოსწავლეები აღმოაჩენენ საკუთარ პოტენციალს და სწავლობენ სააზროვნო პროცესების გაცნობიერებულად მართვას, რაც ზრდის მათი სწავლის ქმედუნარიანობას და აუმჯობესებს მიღწევებს (მეხუთე პრინციპი – სწავლის სწავლა).

6. **სასკოლო სასწავლო გეგმების შემუშავება** – სკოლებში მივლენილი მხარდამჭერი ჯგუფები და ექსპერტები კონსტრუქციულ თანამშრომლობით გარემოში ეხმარებიან სკოლებს ისეთი სასკოლო სასწავლო გეგმების შემუშავებაში, რომელიც ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე და ეფუძნება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. უნიფიცირებული და საკითხებით გადატვირთული სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, სკოლის გუნდის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმები ითვალისწინებს კონტექსტის თავისებურებებსა თუ მოსწავლეთა საჭიროებებს და საკითხთა სიღრმისეული სწავლა-სწავლების საშუალებას იძლევა. ამ პროექტის ფარგლებში, გადარბენით სწავლება წარსულს ჩაბარდა. სამიზნე ცნებებიდან გამომდინარე, მასწავლებლები თავად ადგენენ თავისი მოსწავლეების განვითარების გზას – სასკოლო სასწავლო გეგმას რესურსებისა და სახელმძღვანელოების თავისუფალი გამოყენებით. უნიფიცირებული ტრენინგებისგან განსხვავებით, სასწავლო გეგმების შემუშავება-განხორციელებას მასწავლებლები საკუთარი სკოლის კონტექსტში სწავლობენ. პრაქტიკულ და კონტექსტუალიზებულ მუშაობაზე დამყარებული ცოდნა-გამოცდილება მასწავლებლებს ეტაპობრივად მიიყვანს პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პარადიგმის პრინციპების სიღრმისეულ გააზრებასა და გაცნობიერებამდე. ასეთი სასკოლო თემი ნამდვილად შეძლებს ცოდნის მაკონსტრუირებელი სასკოლო გეგმების შემუშავებასა და სასკოლო კლიმატის შექმნას; ასეთი სკოლა კი ნამდვილად შეძლებს განათლების ხარისხის აღორძინებას.

7. **სკოლასთან, როგორც ერთიან გუნდთან თანამშრომლობა** – ახალი სკოლის მოდელი ხელს უწყობს სკოლებში გუნდური მუშაობის კულტურის დამკვიდრებას, თანამშრომლობითი კონსტრუქციული გარემოს ჩამოყალიბებას. თანადგომა, ურთიერთნდობა, კონსტრუქციული გუნდური მუშაობა, მოტივირებული მოსწავლეები, წინსვლისა და საქმეში დახელოვნების განცდა – ესაა ფაქტორები, რომელიც ზრდის სარგებელს და ამცირებს დანახარჯებს, ამაღლებს სკოლის გუნდის წევრების მოტივაციას, საკლასო ოთახის დაბალენერგეტიკულ ეკონომიკას კი გარდაქმნის მაღალენერგეტიკულ ეკონომიკად.

შეჯამებისთვის

ფრანგი ფილოსოფოსი, ედგარ მორინი ამბობს, რომ დასავლეთის კარტეზიანულმა პარადიგმამ, რომელიც კულტურულად აღიბეჭდა ინდივიდთა ცნობიერებაში, ხელი შეუწყო მის სიღრმისეულ შრეებში „გამარტივების პარადიგმის“ ჩამოყალიბებას (Morin, 2000). „გამარტი-

ვების პარადიგმა“ აზროვნებას ანაწევრებს და „ახლომხედველს“ ხდის – მისთვის უხილავია კონტექსტის მნიშვნელობა, ნაწილების კავშირი მთელთან; პრობლემის, რეალობის კომპლექსურობა, მრავალგანზომილებიანობა.

ამ გამარტივების პარადიგმიდან მომდინარეობს ზემოთ აღნიშნული მექანიცისტური ხედვა, რომელიც ჩვენს საგანმანათლებლო რეფორმას დაედო საფუძვლად. ამ ხედვის ნაყოფია განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად შექმნილი წამყვანი ბერკეტები – ზეწოლის ბერკეტები, რომლითაც ვცდილობდით ადამიანთა გარდაქმნას და გვქონდა იმის ილუზია, რომ შესაძლებელია ქცევის ფორმირება პიროვნების შინაგანი მოტივაციის გარეშე. ამ ხედვის ნაყოფია უნიფიცირებული, დეკონტექსტუალიზებული ინსტრუმენტები, დანაწევრებული, დაქუცმაცებული შინაარსები, დეგრადირებული სასკოლო კლიმატი, დემოტივირებულ მასწავლებელთა და მოსწავლეთა „არმიები“.

განათლების სიტემის აღორძინებისა და დინამიკური განვითარების აუცილებლობა მოითხოვდა **„გამარტივებული პარადიგმის“** ჩანაცვლებას „კომპლექსურობის პარადიგმით“ (Morin, 2000), რომელზე დაფუძნებული აზროვნებაც ხედავს კონტექსტის მნიშვნელობას, ნაწილების კავშირს მთელთან და მათ შორის არსებულ მიმართებებს, პრობლემების, რეალობის კომპლექსურობას.

„ახალი სკოლის მოდელი“ სწორედაც რომ პარადიგმული რეფორმაა – იგი ეფუძნება „კომპლექსურობის პარადიგმაზე“ აღმოცენებულ ხედვებს და თეორიებს[1] და სწორედ ამით წარმოადგენს ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის გარდამტეხ ეტაპს, რომელმაც თვისებრივი ცვლილებები უნდა შეიტანოს საკლასო ოთახებში. მეცნიერულად გამართულ ფსიქოპედაგოგიკურ ხედვაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით, მან უნდა შექმნას პირობები იმისთვის, რომ ხმადაკარგულმა მოსწავლეებმა ხმა დაიბრუნონ და გზა გაუხსნას მათ „დატყვევებულ“ შესაძლებლობებს. ახალმა მოდელმა უნდა შექმნას პირობები იმისთვის, რომ თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს გონებაში ცოდნის სტრუქტურების განვითარება-დაფესვიანება, რათა ასაზრდოონ, აღმოაჩინონ და გაახარონ ჩანასახოვანი შესაძლებლობები.

მხოლოდ გონებაგანვითარებული, ლაღი, ჯანსაღი და შინაგანად მოტივირებული პიროვნებებისგან შემდგარი თაობა შეძლებს უკეთესი მომავლის შექმნას. ამიტომ არის ახალი სკოლის მოდელი გზა უკეთესი მომავლისაკენ.

ყველაზე დიდი გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას ახალი სკოლის მოდელი, ესაა განათლების სისტემის – დეპარტამენტების, სსიპების, სასკოლო საზოგადოების – გაერთიანება იმ ხედვის გარშემო, რომელსაც ეფუძნება ზემოხსენებული პროექტი... როგორც იქნა, ამის ნება ნელ-ნელა იკვეთება.

სკოლის მართვა

1 მათ შორის განწყობის თეორიას, რომელიც მთლიანი პიროვნების ფსიქოლოგიაა – პიროვნება სამყაროსთან ურთიერთობს, როგორც ძალთა მთლიანობა. დასანანია, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმა განხორციელდა დ. უზნაძის გვერდის ავლით, რომელმაც „კომპლექსურობის პარადიგმის“ შემოტანით გადატრიალება მოახდინა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში, და ალბათ, ზოგადად, ჩვენს სამეცნიერო კულტურაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Brunner, J. (1996). L'éducation. Entrée dans la culture, Paris: Retz.
2. Barth, B.-M., (2013). É lève chercheur, enseignant médiateur, donner du sens au saviors, Paris: Retz
3. Harackiewicz, J. M., Barron, K. E., Tauer, J. M., & Elliot, A. J. (2002). Predicting success in college: A longitudinal study of achievement goals and ability measures as predictors of interest and performance from freshman year through graduation. *Journal of Educational Psychology*, 94 (3).
4. Morin, E, (2000). Les septs savoir necessaires a l'education du future, Paris, Seuil.
5. Tardif, J. (1997). *Pour un enseignement stratégique*, L'apport de la psychologie cognitive. Montréal: les éditions logiques.
6. Fullan, M. (2011). Choosing the wrong drivers for whole system reform, Center for strategic education.
7. Vygotski, L.(2002). *Pensée et Langage* (F. Sève, trad. 3 eéd.). Paris: La Dispute.
8. უზნაძე, დ. (2005). *ბავშვის ფსიქოლოგია, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია*, თბილისი.
9. უზნაძე, დ. (2006). *ზოგადი ფსიქოლოგია*. თბილისი: საქართველოს მაცნე.
10. პერკინსი დ., (2007). *გონივრული სკოლა*. თბილისი: ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი.
11. ჯაფარიძე მ., (2014). „დასწავლილი უმწეობა“, როგორც ფენომენი, ინტერნეტგაზეთი, http://mastsavlebeli.ge/
12. ჯაყელი თ. (2018). „ რატომ ვერ უმჯობესდება სასკოლო განათლების ხარისხი“.http://liberali.ge/articles/view/ 38222/ratom-ver-umjobesdeba-saskolo-ganatlebis-khariskhi
13. ჯაყელი თ., სილაგაძე ნ., (2018) „კურიკულუმი – პედაგოგიკური პრაქტიკის სრულყოფის საშუალება“, გზამკვლევი შემუშავდა გაეროს ბავშვთა ფონდისა და ესტონეთის ფონდის „ინოვეს“ ერთობლივი პროგრამის „ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა საქართველოს ბავშვებისთვის“ ფარგლებში.

ია აფთარაშვილი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმების ფსიქომეტრიის, ფსიქოანალიზისა და დანერგვის კვლევების კოორდინატორი

მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასება

შეფასების როგორ სისტემას აღიარებს და ამკვიდრებს „ახალი სკოლის მოდელი“? შემოთავაზებული სტატია სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს კითხვას სცემს პასუხს და როგორც სკოლის ხელმძღვანელებს, ისე მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებსაც ბევრ საინტერესო და სასარგებლო თემაზე დააფიქრებს.

როგორი უნდა იყოს შეფასება და რა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს ის?

ცნება „შეფასება“ განათლების სისტემაში ხშირად მხოლოდ ნიშნებსა და ტესტირების პროცესთან ასოცირდება. იგი გაიგივებულია რანჟირებასთან, მაღალი ან დაბალი ნიშნისა და ტესტში წარმატებული ან წარუმატებელი ქულის მიღებასთან. აქედან გამომდინარე, მოსწავლის, მასწავლებლისა თუ მშობლის ერთობლივი ძალისხმევა მიიმართება ნიშნების გაუმჯობესების ან ტესტებზე მუშაობის სპეციფიკის შესწავლისაკენ. ასეთ დროს, შეფასება განიხილება, როგორც სასწავლო პროცესისგან განყენებული „აქტი“, რომლის ერთადერთი მიზანია, „სწავლის შედეგების“ ლეგიტიმაცია. მაღალი შეფასების მიღების ძიებაში გვავიწყდება საკვანძო კითხვების დასმა: რაში ადგება მოსწავლეს ან ნებისმიერ მსწავლელს მისი „სტატუსის“ სხვა მსწავლელთან ან „კრიტერიუმებთან“ მიმართებით განსაზღვრა, ან მიღებული უკუკავშირი, რომელიც არაფერს ეუბნება მას, გარდა იმისა, რომ „დაძლია“ ტესტი ან მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება?

საკმარისია კი ეს იმისათვის, რომ მე, მოსწავლემ, გავაცნობიერო ჩემი ცოდნის დონე, ცვლილება შევიტანო სწავლა-სწავლების პროცესში და ჩემი ეფექტიანობა გავაუმჯობესო? თუ ეს ასე არ არის, მაშინ როგორია ეფექტიანი შეფასება? რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს და როგორ უნდა განვახორციელოთ იგი?

იმისათვის, რომ ამ კითხვებს ვუპასუხოთ, აუცილებელია ერთიანი შეთანხმების მიღწევა, ცნებების – „განათლებისა“ და „სწავლის“ მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

რა არის „განათლება“? – ეს კითხვა ყველა ეპოქაში და დღესაც ძალიან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, რადგან სწორედ „განათლების კონცეფცია“ უდევს საფუძვლად განათლების სისტემებსა და, ზოგადად, სწავლა-სწავლების პროცესებს. ჯერ კიდევ 2006 წელს, როდესაც პირველი ეროვნული სასწავლო გეგმა ამოქმედდა საქართველოში, ჩვენი საზოგადოება შეთანხმდა, რომ განათლება „კულტურის, სულიერი საზრდოს გადაცემის, აღზრდის, განვითარების პროცესია (ჯ. დიუი, 1959). ყოველი ინდივიდი კონკრეტულ მოცემულობასა და გამოცდილების ნაკადში იბადება. განათლება კი, როგორც სახელმწიფოს მიერ მართული პროცესი, ამ ნაკადში ნავიგაციისა და არსობრივი „გამოცდილებების“ წვდომის და მოსწავლის მიერ ამ ცოდნის საკუთარ შემეცნებით იარაღად გარდაქმნის პროცესია. განსაკუთრებით დიდი გამოწვევებით ხასიათდება 21-ე საუკუნე. თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმის თანახმად, 21-ე საუკუნის განათლება, სამყაროში თვითრეალიზაციისა და ადაპტაციისთვის, ჩვენგან ითხოვს კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარს, შემოქმედებითობას, კომუნიკაბელურობას, თანამშრომლობასა და მოქალაქეობრივ ცნობიერებას (Michael Fullan & Sylvia Duckworth, 2017).

როგორც ამ ჩამონათვალიდან იკვეთება, განათლება არ გულისხმობს მოსწავლის მხოლოდ ერთი, შემეცნებითი სფეროს განვითარებას, არამედ ის თავის თავში მოიცავს, ერთი მხრივ, მისი პიროვნული, სოციალური და ემოციური სფეროების განვითარებას და, მეორე მხრივ, მოსწავლის, როგორც საზოგადოების ფორმირებაზე პასუხისმგებელი წევრის ჩამოყალიბებას.

სასწავლო პროცესი კი, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ორიენტირებულია სწორედ მოსწავლის განვითარების სამივე სფეროს მხარდაჭერაზე. ეს ისეთი პროცესია, რომელიც „სწავლის“ და არა „სწავლების“ კონცეფციით იმართება: ამოსავალი წერტილი არის ის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე, რა ასპექტებია მნიშვნელოვანი მისი სწავლის პროცესში, რა ფაქტორები ქმნის მის მოტივაციას და ეფექტიანობას. ამისათვის უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც მოსწავლე შემმეცნებელი, მაძიებელი და შემოქმედია.

თუ ამ ორი ცნების („განათლება“ და „სწავლა“) ჩვენს ხელთ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებში დეკლარირებულ შინაარსს დავეყრდნობით, მაშინ ნათელია, რომ შეფასება უნდა იყოს ორიენტირებული იმავე სამიზნე მიმართულებებზე, რომელზეც განათლებისა და სწავლა-სწავლების პროცესი; უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლი-სადმი ჰოლისტურ მიდგომას; განიხილავდეს მას, როგორც ცნობისმოყვარე, საკუთარი ინტერესების, ხასიათისა და გამოცდილებების მქონე ინდივიდს, რომელსაც სჭირდება მოქმედებისა და უკუკავშირის მრავალფეროვანი არეალი.

XXI საუკუნის უნარები მოსწავლეებისა და საზოგადოებისთვის

© მაიკლ ფულანი
MICHAEL FULLAN

შეფასება, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილი, თუ ის განხორციელებულია ჯეროვნად, აუცილებლად მრავალმხრივი და ყოვლისმომცველია. შეფასების ფოკუსი სხვადასხვა დონეზე შესაძლოა განსხვავდებოდეს, თუმცა მისი ზოგადი კონცეფციის თანახმად, ის აუცილებლად უნდა:

ა) **გვაძლევდეს დიაგნოსტირებისა და მასზე დაფუძნებული უკუკავშირის მიღების საშუალებას:**
რა იცის მოსწავლემ? რა უნდა იცოდეს? რა საჭიროებების წინაშე დგას? როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი?

ბ) **გვაძლევდეს წინსვლის შეფასების შესაძლებლობას:**
როგორ ვითარდება მოსწავლე? როგორია მისი ცოდნის დონე? სწავლა-სწავლების რა მეთოდები და მიდგომები არის ეფექტიანი მისი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის.
რა ტიპის ცვლილებები და აქცენტებია საჭირო სასწავლო პროცესში, რომ დავეხმაროთ მოსწავლეს წინსვლაში?

გ) **დაეხმაროს განათლების მესვეურებს შეიმუშაონ, დახვეწონ და წარმართონ განათლების პოლიტიკა:**
გადამუშავდეს სტანდარტები და მასთან დაკავშრებული დოკუმენტები, შემუშავდეს სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერისა და განვითარების მექანიზმები და სხვა.

სწორედ ამ კონცეფციას ეფუძნება ზოგადი განათლების რეფორმის – „ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში დაგეგმილი შეფასება.

შეფასება ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში

ახალი სკოლის მოდელის თანახმად, ეფუძნება რა იგი მოსწავლისა და სკოლისადმი ჰოლისტურ მიდგომას, სისტემური შეფასება ორი საკვანძო მიმართულებით ხორციელება:

ა) **მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასება**
და

ბ) **სასკოლო კულტურის (სასკოლო კლიმატის, სკოლაში დამკვიდრებული სწავლა-სწავლების კონცეფციის, შეხედულებების, ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების სისტემის სხვადასხვა ასპექტების) შეფასება.**

შესაბამისად, შეფასების სამიზნე მიმართულებები არის არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიური მხარე, არამედ ის ფარული კურიკულუმი, რომელშიც არის ჩართული მოსწავლე.

რა როლი აქვს ახალის სკოლის მოდელში და, ზოგადად, სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა მიღწევების შეფასებას? ამაზე საპასუხოდ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ციტატა: „თუ გვსურს, რომ შეფასება იქცეს პოზიტიურ ძალად განათლებაში, მაშინ ის უნდა განხორციელდეს ჯეროვნად. არ შეიძლება შეფასება გამოყენებული იქნას მოსწავლეების რანჟირების ან განათლების პროცესის კრიტიკისათვის, მისი მიზანი უნდა იყოს განათლების მხარდაჭერა და მისი გაუმჯობესება. ნაცვლად იმისა, რომ „ვასწავლოთ ტესტებისთვის", აუცილებელია შევაფასოთ, „რა ვასწავლეთ" (Lockwood & Mclean, 2014).

„ახალი სკოლის მოდელის" თანახმად, ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის/ქვესაფეხურის დასრულების შემდეგ, ფასდება მოსწავლეთა ცოდნის დონე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ შედეგებთან მიმართებით. ამ მიზნით, ყველა მოსწავლე, რომელიც ასრულებს მეოთხე, მეექვსე და მეცხრე კლასს, წერს სადიაგნოსტიკო წერას ყველა საგანში. მიღებული შედეგების საფუძველზე მუშავდება სკოლის აკადემიური პროფილი, რომელშიც წარმოდგენილია საგნობრივი შედეგების ძლიერი და სუსტი მხარეები, წარმატებული და სამუშაო მიმართულებები.

შეფასების ასეთი ფორმა ერთდროულად არის მიმართული, როგორც მოსწავლის, ასევე სასწავლო პროცესის განვითარებასა და მხარდაჭერაზე. პროფილური ანალიზი საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, სკოლამ უფრო მიზნობრივად შეიმუშაოს თავისი სამოქმედო ხედვა და გეგმა და, მეორე მხრივ, ეროვნულ დონეზე შემუშავდეს როგორც მიზნობრივი ინტერვენციები, ასევე პრევენციული ღონისძიებები.

რაც შეეხება სასკოლო კულტურის შეფასებას, პოზიტიური და მხარდამჭერი სასკოლო კულტურა არა მხოლოდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე, არამედ ხელს უწყობს, მოსწავლეებში მათი სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებასა და სხვებისა და საკუთარი თავისადმი პოზიტიური დამოკიდებულების

ჩამოყალიბებას (DeWit, J, D. & all, 2000). პოზიტიური სასკოლო კლიმატი არის განათლების მნიშვნელოვანი ბირთვი, რადგან ის მოსწავლეებში ავითარებს „ჩვენ“ განცდას, განცდას იმისა, რომ ყოველი ინდივიდი არის ბუნებისა და სოციუმის მნიშვნელოვანი ნაწილი და თანაბრად იზიარებს პასუხისმგებლობას წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე (Hopson, L. M. & all, 2014).

მდგრადი პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნისათვის აუცილებელია, სკოლას გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, სამუშაო მიმართულებები, რაც სწორედ სკოლის საჭიროებების ამომწურავი და მრავალმხრივი კვლევითაა შესაძლებელი.

იდეალურ შემთხვევაში, შეფასების პროცესი უნდა წარმართოს მრავალფუნქციურმა გუნდმა, რომელიც გამოიყენებს შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგიას და გაითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის – მოსწავლეების, პერსონალის, ადმინისტრაციის, მშობლებისა და ადგილობრივი თემის მოსაზრებებს (Novick, B., Kress, J. S., & Elias, M. J., 2002).

ახალი სკოლის მოდელის მიხედვით, სასკოლო კულტურის შეფასების მიზანია შევისწავლოთ სკოლაში არსებული გარემო, ურთიერთობები, დამოკიდებულებები და წარმოდგენები, რომლითაც იმართება სასკოლო ცხოვრება. სასკოლო კულტურის შეფასების მონაცემების გამოყენება საგანმანათლებლო ლიდერებს საშუალებას მისცემს, ჰქონდეთ ჰოლისტური ხედვა სკოლაზე, როგორც ერთიან ორგანიზმზე და ბავშვზე, როგორც ინდივიდზე, მრავალმხრივი პოტენციალით (Cohen, J., & all, 2009).

სასკოლო კულტურის შესწავლის მიზნით დაგეგმილი კვლევა ხორციელდება კვლევის მრავალფეროვანი თვისებრივი მეთოდების გამოყენებით. კერძოდ, ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების საშუალებით ხდება მონაცემების შეგროვება მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან; ასევე, ხორციელდება სასკოლო დოკუმენტებისა და მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზი. აღნიშნული მეთოდოლოგია გვაძლევს საშუალებას, მივიღოთ უფრო ღია ინფორმაცია სამიზნე მიმართულებებზე წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოებისა და შეზღუდული მოლოდინების მიღმა.

ხშირად კვლევის თვისებრივ მეთოდებს უგულებელყოფენ იმ არგუმენტით, რომ შრომატევადი და ინტერპრეტაციულია, ხოლო განზოგადების ფარგლები – შეზღუდული.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება კვლევის მიზნიდან გამომდინარე ხორციელდება და კვლევის კონკრეტული მეთოდი არის ინსტრუმენტი სამიზნე მონაცემების შეგროვებისათვის, მაშინ ამ შეზღუდვებთან დაკავშირებით პასუხი ნათელია: სასკოლო კულტურის შეფასებისას მნიშვნელოვანია, დავინახოთ სკოლაში მიმდინარე პროცესები, ურთიერთობები, რწმენები და დამოკიდებულებები მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის, და ა.შ. თვალით, გვქონდეს წვდომა მათსავე დისკურსზე მათივე ნარატივით. ერთია, როდესაც ჩვენ ველით კონკრეტულ ხედვას, ქცევას, შეხედულებას და ვამოწმებთ, ნამდვილად აქვს თუ არა ადგილი მათ კონკრეტულ გარემოში, და მეორეა, შეისწავლო ის გარემო თავისი ავთენტური მოცემულობით. „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში უპირატესობა სწორედ მეორეს ენიჭება – სკოლა თავისი თვითმყოფადი კულტურით, ავთენტური მოცემულობითა და იქ მიმდინარე პროცესებით არის მნიშვნელოვანი.

სიღრმისეული მეთოდებით მიღებული ანალიზი მრავალმხრივი და დიფერენცირებულია. ის ვერ დაიყვანება სკოლების ზოგად შეფასებაზე, გამოირიცხება სკოლების რანჟირება და მათი შედარება. ყველა სკოლისთვის სამიზნე ცვლილება ინიცირებულია მხოლოდ საკუთარ საჭიროებებზე დაყრდნობით და მათი წარმატების საზომი ინსტრუმენტი მხოლოდ საკუთარი ნაბიჯებია.

კონკრეტული სკოლის თვალით დანახული შეფასება

ახალი სკოლის მოდელის მიხედვით დაგეგმილი შეფასების უკეთ გააზრებისა და თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ, როგორ ფუნქციონირებს იგი სკოლის დონეზე და რა ტიპის უკუკავშირს იღებს სკოლა. ამისათვის ქვემოთ წარმოდგენილი იქნება მოსწავლეთა მიღწევების შეფასებისა და სასკოლო კულტურის შეფასების შედეგების ამსახველი ნიმუშები. მანამდე მოკლედ მიმოვიხილოთ ის მეთოდიკა, რომელიც საფუძვლად უდევს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასებას, ეს არის სოლო ტაქსონომია (SOLO – Structure of Observed Learning Outcome).

სიტყვა „სოლო“ მომდინარეობს ინგლისური აბრევიატურიდან, რაც გულისხმობს დაკვირვებადი სწავლის შედეგების სტრუქტურას (SOLO -Structure of Observed Learning Outcome).

სოლო ტაქსონომია, როგორც დაკვირვებადი შედეგების შეფასების მეთოდიკა, შემუშავდა ჯონ ბიგსისა და კევინ კოლინზის მიერ ჯერ კიდევ 1982 წელს „სწავლის ხარისხის შეფასების მიზნით“. მას შემდეგ გაიარა განვითარების დიდი გზა და დღეს ის საფუძველია ყველა იმ განათლების სისტემისა, რომლის მიზანიც მუდმივი განვითარება და მოსწავლეზე ორიენტირებული განათლებაა.

„სწავლა რაც უფრო წინ მიდის, მით უფრო კომპლექსური და მრავალისმომცველი ხდება. სწავლის დაკვირვებადი შედეგების სტრუქტურა (SOLO – Structure of the Observed Learning Outcome) წარმოადგენს სწავლის შედეგების კლასიფიცირების საშუალებას მათი კომპლექსურობის თვალსაზრისით და შეცდომების დათვლის ნაცვლად, იძლევა მოსწავლის ნამუშევრის ხარისხის (თვისებრივად) შეფასების საშუალებას. სწავლის პროცესში თავდაპირველად ჩვენ ვწვდებით ამოცანის ერთ ან მცირე რაოდენობის ასპექტს (უნისტრუქტურული), შემდეგ მრავალ ასპექტს, მაგრამ ისინი ერთმანეთთან დაუკავშირებელია (მულტისტრუქტურული) , შემდეგ ჩვენ ვსწავლობთ, როგორ უკავშირდება ეს ასპექტები ერთმანეთს და ინტეგრირდება მთელში (მიმართებითი) და ბოლოს, ჩვენ შეგვიძლია მთელი იდეის განზოგადება და მისი სხვა, არადასწავლილ გარემოებებში გამოყენება (გაფართოებული აბსტრაქტი)“ (Biggs, J. B., & Collis, K. F.,2014).

როგორც თავად ტაქსონომიის ავტორების ციტატიდან ჩანს, სწავლა-სწავლების პროცესში ცოდნის დაუფლება პირობითად ორ მოცემულობად არის გაყოფილი: დეკლარაციული ცოდნა, ფაქტებისა და ინფორმაციის ფლობა (უნისტრუქტურული, მულტისტრუქტურული) და გაგება, წვდომა (მიმართებითი და გაფართოებული აბსტრაქტი). სამიზნე დონე სწორედ გაგება-გააზრება, ფუნქციური ცოდნის შეძენაა და არა მხოლოდ დეკლარატიული ცოდნა.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ შეფასების ზემოხსენებული მეთოდიკა უდევს საფუძვლად მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებელ სადიაგნოსტიკო ტესტს. მოსწავლე არ ფასდება ტესტის მიხედვით ერთი კონკრეტული ქულით, არამედ დგება დიფერენცირებული ანალიზი საგნის სამიზნე ცნებებთან მიმართებით სოლო ტაქსონომიით შეფასების დონეზე. მაგალითად, ქვემოთ დიაგრამის სახით მოცემულია ბუნებისმეტყველების ტესტის ჰიპოთეტური შედეგი, რომელიც წარმოვიდგინოთ, რომ კონკრეტული სკოლის ერთიანი შედეგია.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ნიმუში

ბუნებისმეტყველება



განვიხილოთ, რას ეუბნება ეს მონაცემი სკოლას, მასწავლებელს, მოსწავლესა თუ მშობელს?

რადარის ტიპის დიაგრამა აჩვენებს, თუ როგორ ფლობენ მოსწავლეები კონკრეტული საგნის ფარგლებში სამიზნე ცნებებს და რა მკვიდრი წარმოდგენები აქვთ მათთან დაკავშირებით[1]. ნათლად ჩანს, რა მიმართულებებზე არის მეტი სამუშაო განსახორციელებელი (მაგალითად, ამ შემთხვევაში **განსაკუთრებით საყურადღებოა** ისეთი მიმართულებები, როგორიცაა „კვლევა“ და „მოძრაობა და ძალა“). მასწავლებელი, კათედრა და სკოლა იწყებს ფიქრს, როგორ გააუმჯობესოს სწავლა-სწავლების პროცესი ამ მიმართულებებით და ეს თანაბრად ეხება საფეხურის ყველა კლასს. ასეთი ტიპის უკუკავშირი საშუალებას აძლევს სკოლას, პრევენციულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი სწავლების ყველა დონეზე.

სასკოლო კულტურის შეფასების შედეგები მუშავდება თვისებრივად ღია კოდირების მეთოდიკის საშუალებით. მიღებული შედეგები, ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე, კოგნიტური რუკების სახით მიეწოდება სკოლას. შედეგების ინტერპრეტაცია და მათი მეორადი ანალიზი ხორციელდება თავად სკოლის დონეზე (რა თქმა უნდა, ამ პროცესში სკოლას აქტიური მახრადაჭერა აქვს კვალიფიციური ჯგუფისაგან).

1 დიაგრამის მიხედვით, მკვიდრ წარმოგენებზე წვდომას სოლოს დონეების გათვალისწინება უზრუნველყოფს.

მაგალითისთვის განვიხილოთ ორი შედეგის კოგნიტური რუკა[2]:

სასკოლო კულტურის შეფასების შედეგების ნიმუში #1



სასკოლო კულტურის შეფასების შედეგების ნიმუში #2



2 კოგნიტურ რუკებში წარმოდგენილი ინფორმაცია ჰიპოთეტურია და არ ასახავს რომელიმე სკოლის მონაცემს.

აღნიშნულ კოგნიტურ რუკებზე წარმოდგენილია ორი მიმართულება: მოსწავლეთა შეფასების ძირითადი მეთოდები და სწავლა-სწავლების მნიშვნელოვანი ასპექტები. შედეგები შეჯამებულია მონაცემების მოპოვების ყველა დონეზე (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი).

კოგნიტურ რუკებზე ძირითად კატეგორიებს თან ახლავს ტიპური ნარატივების ნიმუშები. მაგ., მოსწავლეთა შეფასების კოგნიტური რუკიდან (ნიმუში #1) ნათლად ჩანს, რომ შეფასებაში წამყვანია სიტყვიერი კომენტარი, სიმბოლოები, განმავითარებელი შეფასება და ინდიკატორების მიხედვით შეფასება. ტიპური ნარატივები გვეხმარება გავიაზროთ, რა იგულისხმება თითოეული კატეგორიის ფარგლებში. აღნიშნული კონკრეტული ნიმუშის ანალიზი გვაჩვენებს, რომ მაგალითად, სიტყვიერი კომენტარი არ ატარებს განმავითარებელ ხასიათს, ის შეფასებითია და თანაც ძალიან ზოგადი. განმავითარებელი შეფასებაც დეკლარატიული ცოდნის დონეზეა დარჩენილი და ვერ ფუნქციონირებს და ა.შ..

მსგავსი კოგნიტური რუკები საშუალებას გვაძლევს, ერთიანად დავინახოთ პროცესები სკოლაში, გამოვავლინოთ ძირითადი სამუშაო მიმართულებები და გავწეროთ სამოქმედო გეგმა მიზნობრივად.

შეფასების პროცესი, ისევე როგორც ნებისმიერი ცოცხალი პროცესი, განვითარებადია. ყოველი ახალი შეფასება, ახალ გამოწვევებსა და კვლევით ფოკუსებს ავლენს. ეს კი არა მხოლოდ სკოლებს, არამედ სისტემასაც მრავალმხრივი განვითარების პოტენციალს უქმნის.

შეფასება ამ ორი მიმართულებით განხორციელდება ყოველწლიურად. სწორედ ეს სისტემურობა და მრავალმხრივობა არის შეფასების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები, რადგან მიზნობრივი დიაგნოსტირება, მუდმივი უკუკავშირი და წინსვლის მონიტორინგი უზრუნველყოფს განათლების სიტემის განვითარებასა და მხარდაჭერას ყველა (ნანო-მაკრო) დონეზე.

სკოლის მართვა

გამოყენებული ლიტერატურა

1. Biggs, J. B., & Collis, K. F. (2014). Evaluating the quality of learning: The SOLO taxonomy (Structure of the Observed Learning Outcome). Academic Press.
2. Cohen, J., Pickeral, T., & McCloskey, M. (2009). Assessing school climate. The Education Digest, 74(8), 45;
3. David & Offord, David & Sanford, Mark & Rye, B. & Shain, Martin & Wright, Robin. (2000). The Effect of School Culture on Adolescent Behavioural Problems: SelfEsteem, Attachment to Learning, and Peer Approval of Deviance as Mediating Mechanisms. Canadian Journal of School Psychology. 16. 15-38. 10.1177/ DeWit,082957350001600102.;
4. Dewey, J. (1959). The child and the curriculum (No. 5). Chicago: University of Chicago press.
5. Hopson, L. M., Schiller, K. S., & Lawson, H. A. (2014). Exploring linkages between school climate, behavioral norms, social supports, and academic success. Social Work Research, 38(4), 197-209. doi:10.1093/swr/svu017;
6. Novick, B., Kress, J. S., & Elias, M. J. (2002). Building learning communities with character: How to integrate academic, social, and emotional learning. ASCD.

ნიკო სილაგაძე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარების კოორდინატორი

სასკოლო კურიკულუმი

რა მნიშვნელობა აქვს სასკოლო კურიკულუმს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საზოგადოების აკადემიური კულტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით? როგორ იქმნება და რას გამოხატავს ის? სტატიის ავტორი საინტერესოდ გვიამბობს, როგორ უპასუხებს ამ კითხვებს „ახალი სკოლის მოდელი“.

შესავალი

საქართველოში განათლების სისტემის წინაშე დასახულ მიზნებს ორი დოკუმენტი – **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები** და **ეროვნულ სასწავლო გეგმა** განსაზღვრავს. პირველი მათგანი აღწერს, თუ როგორ მოქალაქეს უნდა ზრდიდეს ზოგადი განათლების სისტემა, მეორე კი აკონკრეტებს, რა კომპეტენციებს უნდა უვითარებდეს მოზარდს სასკოლო საგნების სწავლა-სწავლება. ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად აუცილებელია:

ა) სკოლებში ამაღლდეს სწავლა-სწავლების ხარისხი;
ბ) ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომი გახდეს ყველა მოსწავლისთვის;
გ) სკოლა იქცეს ისეთ სივრცედ, რომელიც კარგი პიროვნებისა და მოქალაქის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

გამომდინარე აქედან, რეფორმის პროცესში აქტუალობას იძენს შემდეგი კითხვები:

- როგორ გავხადოთ სწავლა-სწავლება ორიენტირებული მასალის სიღრმისეულ გააზრებაზე (და არა ზედაპირულ დასწავლაზე)?
- როგორ გავხადოთ ხარისხიანი განათლება ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი?
- როგორ ვაქციოთ სკოლა სივრცედ, რომელშიც ყველა მოსწავლე თვითრეალიზებულად იგრძნობს თავს?
- როგორ ვაქციოთ სკოლა სივრცედ, რომელიც კარგი პიროვნებისა და მოქალაქის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს?

ქვემოთ განხილულია, თუ რა კეთდება პროექტში „ახალი სკოლის მოდელი" ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად. სტატიისთვის საკვანძო სიტყვაა **სასკოლო კურიკულუმი**, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამივე ზემოაღნიშნული მიმართულებით პროგრესის მისაღწევად.

რა არის კურიკულუმი — კურიკულუმი სხვა არაფერია, თუ არა განვითარების გზა, რომელსაც სკოლა საკუთარ მოსწავლეებს უსახავს (ტერმინი ლათინური სიტყვიდან Currere მომდინარეობს, რომელიც მოძრაობას აღნიშნავს); ის წარმოადგენს პასუხს კითხვაზე — *რას სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს საიმისოდ, რომ ისინი ისეთ მოქალაქეებად იქცნენ, როგორიც საკანონმდებლო დოკუმენტებშია აღწერილი.*

კურიკულუმის არსის უკეთ გასაგებად გავაკეთოთ ასეთი შედარება. წარმოვიდგინოთ ორი მასწავლებელი და მათთან ერთად დაგეგმვის ორნაირი პროცესი. პირველი მასწავლებელი დაგეგმვისას სახელმძღვანელოს სარჩევს მისდევს, მეორე კი თავდაპირველად სვამს შეკითხვას — რა გრძელვადიან მიზანს ემსახურება ჩემი საგნის სწავლა-სწავლება? და შემდეგ საკუთარ პროგრამას იმის მიხედვით ადგენს (ანუ შეარჩევს საკითხებსა და რესურსებს, განსაზღვრავს მოსწავლეთა დავალებებს, არაფორმალურ აქტივობებს და სხვა). მეორე ტიპის პროგრამას კურიკულუმი შეიძლება ვუწოდოთ. ასეთი პროგრამა შემოქმედებითია, ორიგინალურია, მორგებულია მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ის მასწავლებლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების „სავიზიტო ბარათს" წარმოადგენს.

საქართველოს სკოლებში კურიკულუმების შექმნისა და განხორციელების ტრადიცია არ არსებობს (ამ მხრივ, შესაძლოა, გამონაკლისი იყოს კერძო სკოლები). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის აღწერა სილაბუსების, გაკვეთილების გეგმებისა და თვითშეფასების კითხვარების იმედადაა დატოვებული, რომლებიც მხოლოდ საჩვენებელი დოკუმენტების ფუნქციას ასრულებენ. რეალურ სასწავლო პროცესთან და მოსწავლის განვითარების გზასთან მათ საერთო არაფერი აქვთ. საქართველოს სკოლებში კურიკულუმის ფუნქციას ამ დოკუმენტებზე მეტად სახელმძღვანელო ასრულებს, რადგანაც პედაგოგები პუნქტობრივად მიყვებიან მას. თუმცა, რა თქმა უნდა, სასკოლო კურიკულუმისა და სახელმძღვანელოს შედარება სრულიად არასწორია.

პროექტ „ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში, საქართველოს ყველა სკოლა შექმნის და განავითარებს საკუთარ კურიკულუმს, რომელიც იქნება:

- მთელი სასკოლო საზოგადოების, და არა მხოლოდ ერთეული მასწავლებლების, დამოუკიდებელი მუშაობის შედეგი;
- ცოცხალი (და არა თაროზე შემოდებული) დოკუმენტი, რომელიც სასწავლო პროცესთან ერთად ვითარდება;
- სკოლის (მოსწავლეების, პედაგოგების, ადმინისტრაციის) განვითარების რეალური ინდიკატორი.

რატომ არის საჭირო სასკოლო კურიკულუმის წარმოება? რა სარგებლის მოტანა შეუძლია მას განათლების რეფორმის პროცესში? ქვემოთ ამ მხრივ მნიშვნელოვანი რამდენიმე ასპექტია წარმოჩენილი, კერძოდ, კურიკულუმი განხილულია როგორც:

- სასკოლო საზოგადოების შინაგანი მოტივაციის გაღვივებისა და მასწავლებლების პედაგოგიკური პრაქტიკის სრულყოფის საშუალება;
- სასკოლო კულტურის განვითარების საშუალება;
- განათლების სისტემის დეცენტრალიზაციის საშუალება.

სასკოლო კურიკულუმი, როგორც სასკოლო საზოგადოების შინაგანი მოტივაციის გაღვივებისა და მასწავლებლების პედაგოგიკური პრაქტიკის სრულყოფის საშუალება

განათლების რეფორმის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა შინაგან მოტივაციას ენიჭება. თუკი სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად მოსწავლემ,

მასწავლებელმა, დირექტორმა შინაგანი ძალები არ გააააქტიურეს, რეფორმის ყველა ინტერვენციას მხოლოდ შეზღუდული და დროებითი ეფექტი ექნება. საკლასო ოთახის დონეზე მდგომარეობას ვერ ცვლის გარე მოტივაციის გაძლიერების კუთხით გადადგმული ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯებიც კი, როგორიცაა ხელფასების მომატება და კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება. გამომდინარე აქედან, განათლების რეფორმის ამოცანა სასკოლო საზოგადოების წევრების შინაგანი მოტივაციის გაღვივებაა. როგორ უნდა მოხდეს ეს?

> არ უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანისთვის – მოსწავლე იქნება ეს, მასწავლებელი თუ დირექტორი – შინაგანი მოტივაციის გაღვივებას რაიმე ზებუნებრივი სჭირდება. საამისოდ საკმარისია ორი ფაქტორის თანხვედრა:
>
> - ადამიანს უნდა სჯეროდეს, რომ ღირებულ და სასარგებლო საქმეს აკეთებს;
> - უნდა ხედავდეს, რომ რასაც აკეთებს, გამოსდის.

რისი უნდა სჯეროდეთ და რა უნდა გამოსდიოდეთ სკოლაში მოღვაწე ადამიანებს? სკოლის მიზანი მოსწავლის ემოციურ-სოციალურ-კოგნიტურ-ფიზიკური განვითარების ხელშეწყობაა. რეალურად სკოლაში მყოფი ყველა მასწავლებელი კარგად გრძნობს, რომ სკოლა ყოველივე ამას ვერ ახერხებს. დღეს ყველა მასწავლებლისთვის ნათელია სკოლასა და საკლასო ოთახში მიმდინარე პროცესების ფორმალურობა; იმ მეთოდების უძლურება მოსწავლის აღზრდისა და განათლებისთვის, რომელიც ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოიყენება. ამას ზოგჯერ ხმამაღლა ამბობენ, ზოგჯერ სხვას აბრალებენ, ზოგჯერ გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებით ხსნიან, მაგრამ რეალობა მაინც ყველამ კარგად იცის და ეს ყველას ძალიან აწუხებს. მასწავლებლებისთვის ისეთი ინსტრუმენტების შეთავაზება, რაც საგაკვეთილო პროცესებში რეალურ პოზიტიურ ცვლილებებს გამოიწვევს, ცხადია, მათ მოტივაციაზე ძალიან დადებითად აისახება. მთავარია, ეს ინსტრუმენტები გასაგები იყოს, მათი მხრიდან გამოწვეული ეფექტი კი – ხელშესახები.

პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ პედაგოგებს მთელ რიგ მეთოდოლოგიურ გზამკვლევებს სთავაზობს, რაც მათ საგაკვეთილო პროცესების თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად წარმართვაში ეხმარება. მათი წყალობით ხდება პრაქტიკაში კონსტრუქტივისტული პრინციპების რეალიზება (იხ. თამარ ჯაყელის სტატია ამავე ჟურნალში).

ამ ინსტრუმენტების არსი ადვილად იხსნება ჩინური გამონათქვამით: „მითხარი და დამავიწყდება, მაჩვენე და დავიმახსოვრებ, გამაკეთებინე და გავიგებ“. მასწავლებლები რწმუნდებიან, რომ არც მასალის ეფექტურად მოყოლას, არც გაკვეთილის ვიზუალური მასალით გამდიდრებას აზრი არ აქვს, თუკი მოსწავლე თავად არ შექმნის შემოქმედებით პროდუქტს/პროექტს, რომლის წყალობითაც პრაქტიკაში გამოიყენებს ახლად შეძენილ ცოდნას. სწავლა მაშინ არის ეფექტური, როდესაც გაჯერებულია პრაქტიკული აქტივობებითა და მოსწავლის ინიციატივებით. გამომდინარე აქედან, ყველა შესასწავლ საკითხთან მიმართებით პედაგოგები ქმნიან კომპლექსური დავალების პირობას და მასზე მუშაობისას ყველა მოსწავლესთან თანამშრომლობენ. განსხვავება „ახალი“ და „ძველი“ სკოლის მოდელებს შორის ის არის, რომ:

ა) „ახალი სკოლის“ მოსწავლემ სასწავლო საკითხის დაანონსებისთანავე იცის, თუ რა კომპლექსური დავალების შესასრულებლად სჭირდება მისი შესწავლა. მაგალითად, თუკი ის თამარ მეფის შესახებ სწავლობს, იცის, რომ 4-6 გაკვეთილის შემდეგ შესაქმნელი ექნება „მატიანე“, რომელშიც თამარ მეფის მოღვაწეობა მისივე თანამედროვე მოწინააღმდეგე ისტორიკოსის პირითაა გადმოცემული.

> მოდელის ფარგლებში ასე ხდება ყველა კლასში, ყველა საგანში, ყველა შესასწავლ საკითხთან მიმართებით. ყოველი საკლასო აქტივობა თუ საშინაო დავალება კი კომპლექსური დავალების შესრულებაში მოსწავლის დახმარებას ემსახურება.

> კომპლექსური დავალებების ეფექტი უმალ თვალშისაცემია. მოსწავლე, რომელმაც წინდაწინვე იცის, რაში სჭირდება საგნობრივი საკითხის შესწავლა, უფრო მოტივირებული და მობილიზებულია. სწავლა-სწავლება კი ავტომატურად კონსტრუქტივისტულად, ანუ მოსწავლისთვის უფრო საინტერესოდ მიმდინარეობს. კერძოდ:

1. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე აქტიურ, შემოქმედებით პროცესშია (კვლევა, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა და ა.შ.) ჩართული და არ

იმყოფება პასიური მსმენელის როლში **(სწავლა-სწავლების I პრინციპი – მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება: აქტიური სწავლა)**;

2. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლე თანდათანობითი მიდის ახალ ცოდნამდე (ახალი მასალა მას არ მიეწოდება ერთბაშად და მოუმზადებლად) **(სწავლა-სწავლების II პრინციპი – ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით)**;
3. სწავლა-სწავლების პროცესი მოსწავლეს ეხმარება სამიზნე ცნების გარშემო ურთიერთდაკავშირებულ ცოდნათა აგებაში (მას არ მიეწოდება გაფანტულ-დანაწევრებული ინფორმაცია) **(სწავლა-სწავლების III პრინციპი – ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება)**;
4. აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, ვინაიდან პედაგოგი უშუალოდ ეხმარება მოსწავლეებს კომპლექსური დავალების შესრულებაში **(სწავლა-სწავლების IV პრინციპი – სწავლის სწავლა)**;
5. სწავლა-სწავლების პროცესში მხოლოდ თეორიული მასალის დამახსოვრებაზე კი არ კეთდება აქცენტი, არამედ ყურადღება ექცევა პროცედურებსაც და თეორიული მასალის ცხოვრებაში პრაქტიკულ გამოყენებას **(სწავლა-სწავლების V პრინციპი – ცოდნის სამი კატეგორია (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული)**.

შედეგად, მოსწავლეები სიხარულით ერთვებიან სასწავლო პროცესში, რაც გაკვეთილებზე საოცრად პოზიტიურ გარემოს ქმნის. პოზიტივს აძლიერებს ისიც, რომ პედაგოგები გრძნობენ, რომ მათ არც თუ დიდი ძალისხმევის დახარჯვით შეუძლიათ მოიგონონ დავალებები, რომელიც ასე ეფექტურად აისახება მათი მოსწავლეების განვითარებაზე. „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში შექმნილი ინსტრუმენტები, პედაგოგებს პრაქტიკულად ალგორითმებს სთავაზობს ხარისხიანი კომპლექსური დავალებების შესაქმნელად.

ბ) კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ტექნოლოგიებს. დაწყებით საფეხურზე მათ აქვთ ნეთბუქები. ბევრი კომპლექსური დავალება მათი გამოყენებით იქმნება, რაც სასწავლო პროცესს კიდევ უფრო მეტად ინტერაქტიულსა და საინტერესოს ხდის (იხ. ალექსანდრე ასათიანის სტატია ამავე ჟურნალში).

გ) „ძველი“ სკოლისგან „ახალი სკოლის“ განმასხვავებელია ისიც, რომ ახალ მოცემულობაში ყველა მოსწავლე წარმოადგენს საკუთარი კომპლექსური დავალების პრეზენტაციას. კერძოდ:

- აღწერს, თუ რა შექმნა მან;
- ხსნის, რატომ შეასრულა დავალება ამგვარად;
- აკეთებს თვითშეფასებას – რამდენად იყო ეს დავალება ის, რაც მას მასწავლებელმა დაავალა; რაიმეს ხომ არ შეცვლიდა, მუშაობას თავიდან რომ იწყებდეს;
- აანალიზებს, რა ნაბიჯები გადადგა აღნიშნული დავალების შესასრულებლად (მეტაკოგნიცია).

შედეგად, ყველა მოსწავლე მობილიზებულია. სასწავლო პროცესში აღარ არიან გარიყული მოსწავლეები.

სკოლებში ამ ტიპის პროცესების ორგანიზება არავის უჭირს. საქართველოში არცთუ მცირე რაოდენობით არიან პედაგოგები, რომლებსაც მსგავსი აქტივობები პრაქტიკაში განუხორციელებიათ. მათ ეფექტურობასაც ყველა აღიარებს (გრძნობს მაინც). ჩნდება უბრალოდ კითხვები:

- როგორ უნდა მოხერხდეს, რომ ასეთი კომპლექსური დავალებები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყოს და არა ერთეულ გაკვეთილებზე საჩვენებელი ექსპონატი?
- რა ვუყოთ იმ პრობლემას, რომ ერთ საკითხზე ასეთ გაღრმავებულ მუშაობას ბევრი დრო სჭირდება (ერთი კომპლექსური დავალების შესრულებისა და მოსწავლეთა მხრიდან პრეზენტაციისთვის 5-6 გაკვეთილი მაინცაა საჭირო) სახელმძღვანელოში კი ბევრი სხვა საკითხიცაა მოცემული?
- რა ვუყოთ მშობლების პრეტენზიებს, რომლებიც განსხვავებულ სასწავლო პროცესს არიან შეჩვეულნი?
- რამდენად შევძლებთ ასეთი მუშაობის რეჟიმში ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას?
- რა ვუყოთ ხარვეზებს, რომელიც აუცილებლად გამოიკვეთება ასეთ სტილში მუშაობის პირველ ეტაპზე?

- რა ვუყოთ ადმინისტრაციულ დოკუმენტებს, სადაც სასწავლო პროცესი სხვაგვარად აღიწერება?

ანუ პედაგოგები თავად მიდიან შეკითხვამდე: როგორ დავაფუძნოთ სწავლა-სწავლების პროცესი კომპლექსურ დავალებებზე? როგორ შევქმნათ სასწავლო პროგრამა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მოსწავლის სვლა ერთი კომპლექსური დავალებიდან მეორემდე, მეორედან მესამემდე და ა.შ..

სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხის ძიების პროცესში ჩნდება სიტყვა „კურიკულუმი", რომელმაც პედაგოგებს უნდა აჩვენოს, რომ ზემოთ დასმული პრობლემების გადაჭრა არც ისე რთულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. მთავარი ყველაფრის კარგად დაგეგმვა და გააზრება.

საამისოდ (ანუ ზემოთ დასმული პრობლემის გადასაჭრელად) სამინისტრო მათ გამზადებულ ფორმებს სთავაზობს, რომლის დიზაინიც მომხმარებელს კონსტურქტივიზმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის არსის გაგებაში ეხმარება.

როგორ აიგება სასკოლო კურიკულუმი

„ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში, კურიკულუმის შემოთავაზებული ჩარჩოს მიხედვით, სწავლა-სწავლების პროცესი თემების საშუალებით იგეგმება. მაშასადამე, პედაგოგები უარს ამბობენ საგაკვეთილო და კალენდარული გეგმების შედგენაზე და კონცენტრირდებიან სასწავლო თემებზე, რომელთა სწავლა-სწავლებასაც დროის შედარებით ვრცელი მონაკვეთი (მაგალითად, ერთი თვე) ეთმობა. თითოეული საგნის ფარგლებში თემების რაოდენობა სხვადასხვაგვარია. თუკი „მე და საზოგადოებასა" და მუსიკაში წელიწადში სულ სამი თემაა, ქართულ ენასა და ლიტერატურაში თემების რაოდენობა 10-15-ის ფარგლებში მერყეობს. ზოგიერთ საგანში თემები სავალდებულოდაა განსაზღვრული, ზოგიერთში კი არა, თუმცა, თემატური დაგეგმვა ყველასთვის აუცილებელია.

ქვემოთ მოცემული ჩარჩო თემატური მატრიცაა. სასკოლო კურიკულუმი ასეთი თემატური გეგმების ერთობას წარმოადგენს.

საგანი:

თემა:

კლასი:

საათების სავარაუდო რაოდენობა:

სკოლა:

პედაგოგი:

სამიზნე ცნება და ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	საკითხი / საკითხები	საკვანძო შეკითხვა / საკვანძო შეკითხვები	კომპლექსური დავალება / დავალებები შეფასების კრიტერიუმი / კრიტერიუმები
	კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):		შექმენით ..... ნაშრომის საშუალებით ხაზგასმით წარმოაჩინე:

თემატური მატრიცის აღწერილობა – თემატური მატრიცის შევსება საკმაოდ მარტივია. მისი ზედა უჯერების შევსება მექანიკურად ხდება. აქ უბრალოდ იწერება კლასი, სკოლა, პედაგოგის სახელი და გვარი და თემის სახელწოდება. მისი ქვედა უჯრები კი სასწავლო პროცესისთვის უფრო არსებით ნიუანსებს პასუხობს.

პირველ სვეტში იწერება სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც **გრძელვადიანი მიზნების** როლს ასრულებენ. მეოთხე სვეტი კი კომპლექსურ დავალებებს ეთმობა, რომელთა შესრულებაც მოსწავლეებს მოცემული თემის ფარგლებში ევალებათ, დასტურად იმისა, რომ მათ, თემის ფარგლებში სამიზნე ცნების გააზრების თვალსაზრისით, წინ წაიწიეს.

კომპლექსურ დავალებას სამი აუცილებელი თანმხლები ელემენტი ახლავს საკითხის, საკვანძო შეკითხვისა და ინდიკატორის სახით. ყველა მათგანის ფუნქციაა, კომპლექსური დავალება უფრო მკაფიოდ იყოს მიმართული გრძელვადიან მიზანზე:

საკითხი აკონკრეტებს საგნობრივ ცოდნას, რომელიც მოსწავლემ უნდა შეიძინოს;

საკვანძო შეკითხვა განსაზღვრავს, რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

ინდიკატორი კი საგნობრივად აქტუალურ პროცედურულ-მოტორულ უნარებს წარმოაჩენს.

პედაგოგებისთვის საყვარელი შედარება რომ გამოვიყენოთ, თუკი კომპლექსური დავალება „პლანეტაა“, საკითხი, საკვანძო შეკითხვა და ინდიკატორები მისი „თანამგზავრებია“. ყველა ერთად, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, **შუალედური მიზნის** როლს ასრულებს.

გრძელვადიანი მიზნები „ახალი სკოლის მოდელში“ – თემატურ მატრიცაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების ურთიერთმიმართების საკითხს, ვინაიდან მას სასკოლო კურიკულუმზე საუბრისას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

რა მიზნით ვასწავლი? ზოგჯერ ამ შეკითხვაზე ჯეროვანი პასუხის ძიებას საკმარის ყურადღებას არ უთმობენ, მიაჩნიათ რა ეს მეორეხარისხოვან ბიუროკრატიულობასთან წილნაყარ საკითხად. არადა, ამ საკითხთან უამრავი რამაა პირდაპირ დაკავშირებული. მაგალითად, გადატვირთული პროგრამები. როცა მასწავლებლები ზედმიწევნით მისდევენ სახელმძღვანელოებს ან სილაბუსებს – როგორ უნდა შეირჩეს, რომელი საკითხი უნდა ვისწავლოთ ჩაღრმავებით და რომელი გამოვტოვოთ? რაზე გავამახვილოთ ყურადღება კონკრეტული საკითხის ჩაღრმავებული სწავლებისას და ა.შ.. ამ ტიპის შეკითხვებზე პასუხი გემოვნების საკითხად რომ არ დარჩეს, საჭიროა მკაფიო შეთანხმება განათლების მიზნებთან დაკავშირებით.

მიზნების ისე ჩამოყალიბება, რომ მის საფუძველზე შერჩეული საკითხები მასწავლებლებმა სახელმძღვანელოს სარჩევის რეალურ ალტერნატივად დაინახონ, ურთულესი საქმეა. ამ მხრივ, წარუმატებელი მცდელობები საქართველოს განათლების სისტემასაც ახსოვს. როდესაც სისტემაში პირველად გაჩნდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და ამით მკაფიოდ ითქვა, რომ სისტემა იქ აღწერილი მოქალაქის აღზრდაზე მუშაობს, უმალ გაჩნდა შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი აქვთ ამ საქმეში კონკრეტულ საგნებს და საგაკვეთლო აქტივობებს. ალბათ ყველას ახსოვს პირველი და მეორე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოთვლილი უამრავი ინდიკატორი, ან კიდევ ზედმეტი აქცენტები გაკვეთი-

ლის მიზნებთან, ფაზებთან და გამჭოლ კომპეტენციებთან დაკავშირებით, რომლებიც მასწავლებლებმა ვერაფრით მიიღეს რეალურ მიზნებად. „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში მიზანზე ორიენტირების პრობლემა **სამიზნე ცნებებისა** და მათთან დაკავშირებული **მკვიდრი წარმოდგენების** საშუალებითაა გადაჭრილი.

სამიზნე ცნება არის საფეხურის შედეგთან გათანაბრებული ერთეული. თუკი შედეგი წარმოადგენს პასუხს კითხვაზე – რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს, სამიზნე ცნება პასუხობს კითხვას – რა უნდა იცოდეს/რა ცნებებს უნდა ფლობდეს მოსწავლე. სიტყვაში „ცოდნა“, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ სამ კატეგორიაში დამუშავებას და არა ზედაპირულ გააზრებას ან დამახსოვრებას.

ყველა საგანი უამრავი ტერმინისგან შედგება, რომელთა შორისაც იერარქიული კავშირი არსებობს. სამიზნე ცნებები ამ იერარქიის სათავეში დგას და იმ საფუძველს განასახიერებს, რომელსაც დისციპლინა ეყრდნობა.

ცნებებზე დაფუძნებული სწავლება ერთი-ორად აიოლებს მიზანზე ორიენტირებას:

ა) ცნებები საფეხურის მასშტაბით განისაზღვრება, ანუ ისინი სამიზნე ორიენტირად რჩება I-IV, V-VI და VII-IX კლასების ჩათვლით. ისინი ფორმას არ იცვლიან წლიდან წლამდე და თემიდან თემაში. იცვლება მხოლოდ თემები, საკითხები, რომელიც ამ ცნების გააზრებისთვის არის საჭირო;

ბ) სამიზნე ცნებების რაოდენობა ცოტაა. ეს პედაგოგებისთვის კურიკულუმის მოთხოვნებს უფრო მკაფიოს ხდის, მით უფრო იმის ფონზე, რომ პირველი და მეორე თაობის კურიკულუმები ყოველწლიური შედეგებისა და ინდიკატორების სიმრავლით იყო დამძიმებული;

გ) პედაგოგი თავისუფლდება მიზნის ფორმულირების რთული საქმისგან. თემატური მატრიცის პირველი სვეტი პედაგოგებს უკვე შევსებული ხვდებათ. გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ცნება ყველა თემაში მუშავდება, პედაგოგს არ სჭირდება სამიზნე ცნებების ცვლა, მორგება და ადაპტირება სხვადასხვა თემასთან.

დ) მიზნები განსაზღვრულია ცოდნის და არა ქცევების სახით. იკვეთება საკითხების იერარქია. ეს მასწავლებლისთვის უფრო ადვილია, ვინაიდან პირველადი ამოცანა მოსწავლისთვის რაიმეს გაგებინებაა და მხოლოდ ამის შემდეგ დგება დღის წესრიგში ქცევების საფუძველზე რაიმეს დადასტურება;

ამგვარი მიდგომა, ერთი მხრივ, უფრო მკაფიოს ხდის გრძელვადიანი მიზნების არსს, მეორე მხრივ კი, აიოლებს პროგრამისთვის საკითხების სელექციას. პედაგოგის ამოცანა ხდება – კურიკულუმისთვის საკითხები სამიზნე ცნებების მიხედვით შერჩევა.

მიზნობრივი სწავლების თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანი ელემენტია მკვიდრი წარმოდგენები. მათი წყალობით ხდება საფეხურისთვის ცნების მოცულობის შემოსაზღვრა და მისი არსობრივი მახასიათებლების დაკონკრეტება.

მოკლევადიანი მიზნები „ახალი სკოლის მოდელში“ – სამიზნე ცნება, რა თქმა უნდა, სასწავლო პროცესში საკმარისი არ არის. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ის უნდა დაკონკრეტდეს კონკრეტული მიზნების სახით.

„ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში შუალედური მიზნის როლს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოთხეული (კომპლექსური დავალება, სამიზნე ცნება, საკითხი, ინდიკატორი) ასრულებს. ასეთ ვითარებაში სასწავლო პროცესი სხვა არაფერია, თუ არა სვლა კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე.

შეფასება – როგორც ზემოთ აღინიშნა, „ახალი სკოლის მოდელში“ მოსწავლის განვითარების გზა სამიზნე ცნებებისა და კომპლექსური დავალებების საშუალებით იგეგმება. იგივე ელემენტები ასრულებს გადამწყვეტ როლს მოსწავლის განმავითარებელი შეფასებისას. განმავითარებელი შეფასება საქართველოს განათლების სისტემის სუსტი წერტილია. ეს არის მოსწავლეზე ორიენტირების აუცილებელი საშუალება, რის გარეშეც კურიკულუმი ვერაფრით იქნება სრულყოფილი. განსხვავებით განმსაზღვრელი (ნიშნიანი) შეფასებისგან, როდესაც მასწავლებელი მოსწავლის მიმართ ჩასაფრებულ მდგომარეობაშია და ცდილობს აღმოაჩინოს რა **არ იცის** ან რა **არ შეუძლია** მას, განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში, პედაგოგი მოსწავლის დღევანდელ ცოდნას მის წინარე მიღწევებს ადარებს და გამუდმებით იმის მცდელობაშია, აღმოაჩინოს რა არ იცოდა მოსწავლემ გუშინ და რა იცის დღეს, რა არ შეეძლო გუშინ და რა შეუძლია დღეს.

განათლების რეფორმის დიდი ხნის ისტორიის მიუხედავად, ამ დრომდე ვერაფრით მოხერხდა განმავითარებელი შეფასების კუთხით ეფექტური სტრატეგიების გამოძებნა. ამის მიზეზი ის არის, რომ მისი განხილვის პროცესში, როგორც წესი, აქცენტი მეორეხარისხოვან ელემენტებზე (პორტფოლიო, შეფასების რუბრიკები და

ა.შ.) კეთდება, არადა აქ მთავარია გრძელვადიანი მიზანი, რა მიმართულებითაც მოსწავლემ ცოდნა უნდა გაიღრმავოს და ავთენტური დავალებები, რომელიც მოსწავლის ცოდნის სამ კატეგორიაში შეფასების საშუალებას უნდა იძლეოდეს.

„ახალი სკოლის მოდელის“ უპირატესობა ის არის, რომ აქ გრძელვადიანი სამიზნე ობიექტები/ცოდნები, ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების სახით, ძალიან მკაფიოდაა განსაზღვრული, ავთენტური დავალებები (ანუ კომპლექსური დავალებები) კი სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. პედაგოგს, რომელიც სხვადასხვა საკითხითა და კომპლექსური დავალებით სხვადასხვა თემაში ერთსა და იმავე სამიზნე ცნებების ფლობის დონეს ამოწმებს, ისღარჩება, რომ მოსწავლის წინა კომპლექსური დავალება მიმდინარეს შეადაროს და მოსწავლეს კომენტარები ამაზე დაყრდნობით მიაწოდოს.

მოსწავლისთვის კომენტარების თანმიმდევრულად მიწოდებას აადვილებს სოლო ტაქსონომია. ეს არის მსოფლიოში აღიარებული შედეგების გაზომვის სისტემა, რომელიც შესაძლებელს ხდის სამიზნე ცნების გააზრების მიმართულებით მოსწავლის წინსვლის გაზომვას (იხ. ია აფთარაშვილის სტატია ამავე ჟურნალში). პედაგოგმა თითოეულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით მოსწავლის პროგრესი უნდა დაადგინოს.

სოლო ტაქსონომიის დონეები	მასწავლებლის კომენტარი
გაფართოებული	
მიმართებითი	
მულტისტრუქტურული	
უნისტრუქტურული	
პრესტრუქტურული	

სოლო ტაქსონომიას პრაქტიკული თვალსაზრისითაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ეს არის ერთიანი ჰოლისტური რუბრიკა, რომელიც აქტუალურია მთელი საფეხურის განმავლობაში. მასწავლებელს აღარ სჭირდება უამრავი კრიტერიუმის შემუშავება.

ამავდროულად, ის არის პედაგოგიკური პრაქტიკის სრულყოფის საშუალება. თუკი პედაგოგს გონებაში სოლო ტაქსონომიის ერთეულებთან მიმართებით ექნება შეკითხვების არსენალი, ეს მას ძალიან დაეხმარება მოსწავლეებთან კომუნიკაციაში და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებაში.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმის ზემოაღწერილი დიზაინის შექმნის მიზეზი საქართველოს სკოლების საჭიროებებია. აქ მარტივად არის ასახული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისთვის საჭირო ყველა ნიუანსი. მასწავლებელი იოლად იპოვის პასუხს ყველა კითხვაზე:

- რა მიზნით ვასწავლი?
- რა მასალაზე დაყრდნობით ვასწავლი?
- რა მეთოდებსა და სტრატეგიებზე ვმსჯელობთ?
- როგორ ვაფასებ?
- რას ნიშნავს სწავლა-სწავლების თანამედროვე პრინციპები?

ყველა ეს შეკითხვა კოდირებულია რამდენიმე სადისკუსიო საკითხში, რომელიც „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართულ 166 სკოლაში კურიკულუმზე მუშაობის პროცესში იკვეთება:

- არის თუ არა დავალება კომპლექსური?
- საკითხები შერჩეულია თუ არა ცნების შესაბამისად?
- არის თუ არა დასმული შეკითხვა საკვანძო?
- არის თუ არა ესა თუ ის აქტივობა კომპლექსური დავალების შესაბამისი?

ეს არის შეკითხვები, რომელზეც პედაგოგები სკოლებში აქტიურად მსჯელობენ და კამათობენ და ამ კამათისა და დისკუსიის რეჟიმში წინ წევენ დანერგვის რთულ საქმეს.

კურიკულუმზე საუბრისას დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სპეციალისტები ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის 5 დონეს გამოყოფენ:

დანერგვის დონეები	
სუპრა	საერთაშორისო დონე
მაკრო	ეროვნული დონე (განათლების სისტემა)
მეზო	სკოლის ადმინისტრაციის დონე
მიკრო	საკლასო ოთახი/მასწავლებელი/საგნის კურიკულუმი
ნანო	მოსწავლის მიერ მიღწეული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დონე

შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღწერილი თემატური მატრიცის სახით შეიქმნა ერთგვარი „კოინე“, რომლის საშუალებითაც პედაგოგები მსჯელობენ, სკოლისა და საკლასო ოთახის დონეზე რას ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმის შედგენა. შედარებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებში მასწავლებლების მხრიდან მსჯელობის ეპიცენტრი მაკრო და მეზო დონეებზე იყო ორიენტირებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახლის მშენებლობა კედლებიდან ხდებოდა და არა ფუნდამენტიდან.

სასკოლო კურიკულუმი, როგორც სასკოლო კულტურის განვითარების საშუალება

განათლების რეფორმისთვის, სწავლა-სწავლების ხარისხის მსგავსად, გამოწვევაა სასკოლო კულტურაც. სკოლა, აკადემიურთან ერთად, აღმზრდელობითი დაწესებულებაცაა. იგი მოსწავლეს ისეთ გარემოს უნდა სთავაზობდეს, რომელიც მის კარგ პიროვნებად და მოქალაქედ ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. დადასტურებული ფაქტია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები მაგალითის ძალით უფრო ზრდიან მოსწავლეებს, ვიდრე ლექციის რეჟიმში. სასკოლო საზოგადოებას მოსწავლეები, პედაგოგები, ადმინისტრაცია და მშობლები ქმნიან. ამ საზოგადოებას საკუთარი „კონსტიტუცია“ გააჩნია, რომელიც სასკოლო საზოგადოების წევრების ქცევას განსაზღვრავს. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ „კონსტიტუციას“ ფარულ კურიკულუმს უწოდებენ. სასკოლო საზოგადოება/სკოლის „ფარული კურიკულუმი“ ბავშვს უნდა აძლევდეს ზრუნვის, თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და მხარდაჭერის მაგალითს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი არ აქვს სასკოლო კულტურის გაჯანსაღების კუთხით გატარებულ არცერთ ღონისძიებას. ამის ფონზე ზედაპირულადაც კი გამოიყურება პროექტები ბულინგზე, დემოკრატიულ სკოლაზე, ადამიანის უფლებებზე.

საქართველოს სკოლების „ფარულ კურიკულუმს“ სახარბიელოს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. ის ნაკლებად სთავაზობს მოსწავლეებს დადებით ქცევით მოდელებს.

სასკოლო კულტურის განვითარების ერთადერთ გზას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, პროექტში „ახალი სკოლის მოდელი“ სასკოლო კურიკულუმის ხარისხზე არანაკლები ყურადღება მასზე მუშაობის პროცესს ექცევა. აქცენტი კეთდება იმაზე, რომ პედაგოგებმა სასწავლო პროცესი (კომპლექსური დავალებები, აქტივობები) ერთმანეთთან შეთანხმებით დაგეგმონ და განახორციელონ. კერძოდ, სკოლაში მივლენილი მხარდამჭერი ჯგუფი, უპირველეს ყოვლისა, იმას უზრუნველყოფს, რომ დაინიშნოს ჯგუფური შეხვედრები. შეხვედრებზე მონაწილეებს ურიგდებათ თემატური მატრიცები, რომელთა შევსებაზეც ერთობლივად ზრუნავენ. მატრიცების საშუალებით ისინი მომდევნო სემესტრის/წლის სასწავლო პროცესს გეგმავენ, ისე, რომ თან ხედავენ ერთ კონკრეტულ მოსწავლეს, რომელსაც ყველა საგნის კომპლექსურ დავალებაზე უწევს მუშაობა.

მატრიცებზე მუშაობის პროცესი ორ ნაწილად იყოფა. პირველ ეტაპზე პედაგოგები, გრძელვადიანი მიზნების საფუძველზე, მხოლოდ მოკლევადიანი მიზნების ჩამოყალიბებით არიან დაკავებულნი (კერძოდ, სამიზნე ცნებებს უკავშირებენ კომპლექსურ დავალებას საკითხთან, საკვანძო შეკითხვასთან და ინდიკატორთან ერთად). შემდეგ კი იწყებენ დაგეგმილი კურიკულუმის პრაქტიკაში განხორციელებას.

კერძოდ, თემატური მატრიცის (იხ. ზემოთ ცხრილი) შუალედურ თეთრად დატოვებულ ნაწილში წერენ იმ რე-

სურსებსა და აქტივობებს, რომელიც მათ კომპლექსური დავალების შესასრულებლად დასჭირდათ. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალებები შუალედური მიზნებია, ყველა აქტივობა მასთან არის დაკავშირებული. ხაზგასმით აღსანიშნავია ორი გარემოება:

ა) პედაგოგები აქტივობებს კურიკულუმში წერენ მას შემდეგ, რაც ის პრაქტიკაში გამოიცადა (ანუ აღარ იწერება წინასწარ განსახორციელებელ აქტივობათა გეგმები, რომელიც განწირული იყო თაროზე შემოსადებად). სასკოლო კურიკულუმი აღნუსხავს იმას, თუ რა გავაკეთე და არა – რას გავაკეთებ. ეს მნიშვნელოვნად აახლოებს კურიკულუმს რეალურ სიტუაციასთან;

ბ) კურიკულუმზე მუშაობის პროცესში პარალელური კლასის მასწავლებლები მუშაობენ პარალელურ რეჟიმში; ე.ი. ერთობლივად არჩევენ კომპლექსურ დავალებას, მუდმივი მსჯელობა-თანამშრომლობის პროცესში ამუშავებენ მას.

ამდენად, აღარ არის საკმარისი, რომ მასწავლებელმა კარგად ჩაატაროს გაკვეთილი; მას საკუთარი მიღწევების შესახებ საქმის კურსში უნდა ჰყავდეს სხვა პედაგოგებიც. ამ საშუალებით „ახალი სკოლის მოდელი“ მაღლა სწევს თანამშრომლობის თამასას. პედაგოგები რეგულარულად მსჯელობენ, რა გააკეთეს, რა არ გამოუვიდათ, რა და როგორ ასახონ ელექტრონულად.

გარდა პარალელური კლასების მასწავლებლებისა, მასწავლებელი თანამშრომლობს სკოლაში საგნის სხვა მასწავლებლებთან, ვინაიდან მომდევნო წელს უკვე მათი გამოცდილება ექნება გასათვალისწინებელი.

პროექტის ფარგლებში, სასკოლო კურიკულუმის სახით იქმნება ერთიანი დოკუმენტი, რომელზეც სკოლის თითოეული პედაგოგია პასუხისმგებელი.

მთავარი მიზანია, რომ კურიკულუმზე მუშაობამ მასწავლებლები აქციოს ერთიან გუნდად. ეს უნდა იყოს პროდუქტი, რომელთანაც სკოლას საკუთარი იდენტობა ექნება გაიგივებული; რომლის განვითარება და ხარისხიც სკოლის, როგორც ორგანიზაციის, წარმატებულობის მარკერი იქნება.

სასკოლო კურიკულუმი, როგორც დეცენტრალიზაციის საშუალება

პოლიტიკის წარმოების პროცესში დეცენტრალიზაცია ძლიერი იარაღია. საერთო მიზანზე ორიენტირებული ავტონომიური ერთეულები, რომლებიც ნაცნობი კონტექსტებისა და ადგილობრივი საჭიროებების გათვა-

ლისწინებით მოქმედებენ, დიდ ძალას წარმოადგენენ. მათი მონაწილეობით იზრდება როგორც სამოქალაქო მონაწილეობისა და შექმნილი პროდუქტის ხარისხი, ისე მდგრადობაც. თუმცა, განათლების რეფორმის პროცესში დეცენტრალიზაციას მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს ეფექტი, თუკი სისტემაში საერთო მიზნების რაობა ყველას კარგად ექნება გათავისებული.

აქ, რა თქმა უნდა, ზღვარი უნდა გავავლოთ მიზნების ზედაპირულ აღქმასა და არსობრივად გათავისებას შორის. მაგალითად, ზედაპირულად დღეს ყველამ იცის, რა არის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რომ სწავლა მოსწავლეზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ სასკოლო კულტურა უნდა გარდაიქმნას და ა.შ., მაგრამ ძალიან ცოტას აქვს წარმოდგენილი, რას ცვლის ყოველივე ეს საკლასო ოთახის დონეზე. შედეგად, ვიღებთ სიტუაციას, როცა სისტემაში იცვლება რიტორიკა, ის „გეოტექტონიკური პლასტები“ კი, რაზეც სასკოლო ცხოვრება დგას, აბსოლუტურად იგივე რჩება.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი ადასტურებს, რომ განათლების რეფორმირების მთელი ოცი წლის განმავლობაში საკლასო ოთახში არსებითი ძვრები არ მომხდარა. მასწავლებლები კვლავაც ორიენტირებულნი არიან სახელმძღვანელოს სარჩევის ამოწურვაზე და არა გრძელვადიან მიზნებზე; აქცენტს აკეთებენ დამახსოვრებაზე და არა გააზრებაზე; ფორმალურად ავსებენ დოკუმენტებს და ა.შ..

რეფორმატორები ამაში, როგორც წესი, მასწავლებლებს ადანაშაულებენ, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. განათლების რეფორმის მსვლელობისას, დანერგვის პროცესი არასდროს ყოფილა სწორად დაგეგმილი (ამ საკითხზე იხ. მარიამ ჩიქობავას სტატია ამავე ჟურნალში) და გააზრებული. აქცენტი კეთდებოდა მეორეხარისხოვან ეფექტებზე, როგორიცაა, მაგალითად: ინტერაქტიული გაკვეთილი, საგნობრივ მაგალითებს მოწყვეტილი ტრენინგები და ბიუროკრატიული სტილის დოკუმენტები და სახელმძღვანელოები, დამახსოვრებაზე ორიენტირებული გამოცდები. ყველა საუბრობდა, რა არის ცუდი სკოლაში, თუმცა, ექსპერტთა შორისაც კი დისკუსიაც არ ყოფილა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს განახლებული სკოლა.

პროექტის „ახალი სკოლის მოდელი“ ფარგლებში შექმნილი ინსტრუმენტების უპირველესი მიზანი სწორედ მასწავლებლებისთვის და დირექტორებისთვის ამ მესიჯების სწორად მიტანაა. ამ რესურსების დანახვა ყველა მასწავლებელს, ცხადია, ერთნაირად არ უხარია (ცვლილებები ყველას არ უყვარს), თუმცა, მათ არსს ყველა ხვდება და ყველა რეალურად იწყებს ფიქრს, რა სჭირდებათ ყოველივე ამის პრაქტიკულად განსახორციელებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იწყებენ საჭიროებების კვლევას რეფორმის ფარგლებში დასახული მიზნების შესასრულებლად.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი „ახალი სკოლის მოდელი“ საზოგადოებას ჯადოსნური ჯოხის ეფექტს არ ჰპირდება. მისი რეალური ამოცანა საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში იმ ნიადაგის შექმნაა, რომელსაც სკოლის განვითარება დაეფუძნება. სიტყვათშეთანხმებაში „ახალი სკოლის მოდელი“ – „ახალი“ და „მოდელი“ მიემართება პროექტში ჩართულ კონკრეტულ სკოლებს და არა სამინისტროს ინტერვენციას. პროექტი წარმატებით განხორციელებულად მაშინ ჩაითვლება, როცა საქართველოს ყველა სკოლა გაითავისებს განათლების რეფორმის არსს, დაიწყებს საკუთარი საჭიროებების კვლევას იმასთან დაკავშირებით, თუროგორ დანერგონ ეროვნული სასწავლო გეგმა, ანუ:

- როგორ მისცენ ხარისხიანი განათლება მოსწავლეებს;
- როგორ გახადონ განათლება ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისთვის;
- როგორ აქციონ სკოლა სივრცედ, სადაც ყველა მოსწავლე თვითრეალიზებულად იგრძნობს თავს და რომელიც კარგი პიროვნებისა და მოქალაქის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

ამ კითხვებზე პასუხის ძიების პროცესში სკოლები ლოკალურად იპოვიან დასახული პრობლემების გადაჭრის გზებსა და საშუალებებს. თითოეული სკოლა იქნება ერთგვარი ორიგინალური მოდელი იმისა, თუ როგორ უნდა დაინერგოს ეროვნული სასწავლო გეგმა.

სანდრო ასათიანი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ექსპერტი

რა ტექნოლოგიები გამოიყენება „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში

თანამედროვე სკოლა უბრალოდ წარმოუდგენელია ახალი ტექნოლოგიების გარეშე. ავტორი მსჯელობს მათ მნიშვნელობაზე სწრაფად ცვალებად სამყაროში, სწავლა-სწავლების პროცესში მათი გამოყენების მნიშვნელობასა და პერსპექტივაზე; მკითხველს აცნობს ინტერაქტიული საგანმანათლებლო რესურსების პორტალს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, 2018 წელს გამოქვეყნდა ერთი საინტერესო პუბლიკაცია, რომელშიც მომავალში დასაქმების მიმართულებით მოსალოდნელი ცვლილებების ანალიზია მოცემული (The Future of Jobs Report). პუბლიკაცია ვრცელ კვლევას ეყრდნობოდა. ამ კვლევის თანახმად, 2022 წლისათვის ტექნოლოგიები 75 მილიონ სამუშაო პოზიციას გააქრობს; საუბარია იმ პროფესიებზე, რომლის ფარგლებშიც სამუშაოს ადამიანის ნაცვლად მანქანები და კომპიუტერული პროგრამები შეასრულებენ. მაგრამ, ამავე კვლევის მიხედვით, ტექნოლოგიების განვითარება ბევრ ახალ ფუნქციასაც გააჩენს, კერძოდ, პროგნოზირებენ, რომ 2022 წლისათვის 133 მილიონი ახალი პოზიცია გაჩნდება. ტექნოლოგიების განვითარება, მართალია, პროფესიების ნაწილს საფრთხეს უქმნის, მაგრამ, ამავე დროს, ახალ შესაძლებლობებსაც სთავაზობს ადამიანებს. განათლების სისტემის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ ახალი გამოწვევებისათვის მომზადებაა.

ადრე შესაძლებელი იყო, ბავშვები პროფესიისთვის სკოლის ასაკიდანვე შეემზადებინათ. დღეს, სწრაფად ცვალებად გარემოში, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ

რომელ პროფესიებზე იქნება მოთხოვნა მომავალში. უფრო მეტიც – იმის განსაზღვრაც კი ძნელია, რომელი პროფესია გაქრება და რა ტიპის ახალი პროფესიები გაჩნდება. ამიტომ მნიშვნელოვანია, ბავშვების ისეთი უნარებით აღჭურვა, რომელიც დაეხმარება მათ, ადაპტირება შეძლონ სწრაფად ცვალებად გარემოში. ამავე დროს, მომავალი სამუშაო პროცესები წარმოუდგენელია კომპიუტერული ტექნოლოგიების გარეშე და ამიტომ საჭიროა, ახალი თაობა მოვამზადოთ იმ მაღალტექნოლოგიური გარემოსათვის, რომელშიც მას მომავალში ცხოვრება და მუშაობა მოუწევს.

ციფრული რესურსების საშუალებით სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაცაა შესაძლებელი. ტექნოლოგიებს ბავშვები მარტივად უღებენ ალღოს, შესაბამისად, ადრეული ასაკიდანვე ციფრული სამყარო მათთვის მეტად ნაცნობი, საინტერესო და ბუნებრივი სივრცეა. გამომდინარე იქიდან, რომ მთავარი კონსტრუქტივისტული პრინციპია მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით სწავლება, ციფრული ტექნოლოგიები კარგი საშუალებაა მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად. დღეს ბავშვებისათვის კომპიუტერი ძირითადად გასართობი, სათამაშო მოწყობილობაა. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის პროცესში ის მიზნობრივად იქნას გამოყენებული, ერთი მხრივ, სწავლა-სწავლების პროცესის გასამრავალფეროვნებლად, მეორე მხრივ კი – მოსწავლის სააზროვნო უნარების გასავითარებლად.

თავად მასწავლებელიც აღჭურვილი უნდა იყოს დროის შესაბამისი ტექნოლოგიებით, რათა მოსწავლეს დღევანდელი ეპოქის შესაბამისი ცოდნა გადასცეს. მასწავლებლის პროფესია, როგორი უცნაურიც უნდა იყოს, დღეს ისეთივე მაღალტექნოლოგიურია, როგორიც მეცნიერის, ექიმის ან ნებისმიერი სხვა პროფესიის წარმომადგენლის.

„ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში ტექნოლოგიების გამოყენება ორ ძირითად მიზანს ემსახურება:

- **ტექნოლოგიები, როგორც კომუნიკაციის გაადვილებისა და თანამშრომლობის საშუალება** – მასწავლებლების სამუშაო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების, როგორც სამუშაო ინსტრუმენტის ინტეგრირება მნიშვნელოვანია, რათა მათ შეძლონ ინფორმაციის მარტივად შენახვა, საკუთარი საკომუნიკაციო არხების აწყობა, ინფორმაციის კოლეგებთან გაცვლა და გავრცელება;
- **ტექნოლოგიები, როგორც სწავლა-სწავლების ინსტრუმენტი** – თუკი აქამდე ერთგვარი გამოწვევა იყო კლასისა და მასწავლებლის პროექტორით აღჭურვა, დღეს უკვე პროექტორით ჩატარებული გაკვეთილი არავის უკვირს. ახლა გადასადგმელია შემდეგი ნაბიჯი: მოსწავლეები პასიური მაყურებლები კი არ უნდა იყვნენ გაკვეთილზე, არამედ თავად უნდა ასრულებდნენ სამუშაოს კომპიუტერში, ქმნიდნენ კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტს.

ელექტრონული ჟურნალი

აქვე, უნდა ითქვას ელექტრონული ჟურნალის შესახებ – პროცესების ეფექტიანი მართვისა და მასწავლებლებსა და მშობლებს შორის კომუნიკაციის კიდევ უფრო გამარტივების მიზნით, დაგეგმილია ბეჭდური ჟურნალების ჩანაცვლება ელექტრონული ჟურნალით. უკვე შექმნილია გარკვეული ვერსია და იგი პილოტირებას გადის რეფორმაში ჩართულ სკოლებში. ელექტრონული ჟურნალი ერთგვარი ვირტუალური გარემოა, რომელშიც მშობლებს ნებისმიერ დროს შეეძლებათ ნახონ თავისი შვილების შეფასებები და ინფორმაცია მოსწავლის გაკვეთილებზე დასწრების შესახებ. პილოტირება ჯერ დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებში მიმდინარეობს. ჟურნალი მოიცავს განმავითარებელი შეფასების კომპონენტს, რაც სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მით უფრო, დაწყებით კლასებში, სადაც ქულები არ იწერება. ელექტრონული ჟურნალი მასწავლებელსა და მშობელს შორის თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობას იძლევა. გამარტივებული და სწრაფი კომუნიკაციის, ასევე უფრო მეტად სრულყოფილი ინფორმაციის გაცვლის საშუალებით მშობელსა და მასწავლებელს გაუმარტივდებათ მუშაობა მოსწავლეთა განვითარებისა და პროგრესისთვის.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ყოველდღიური სასკოლო ცხოვრების ნაწილი უნდა იყოს, როგორც მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის, ისე სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით. მოქმედ მასწავლებლებს ბევრი საინტერესო და საჭირო კომპიუტერული პროგრამა გადაეცათ; ეს რესურსები, ცხადია, ღიაა და ხელმისაწვდომი ყველა სხვა დაინტერესებული პედაგოგისთვისაც.

ქვემოთ შევეცდებით, მოკლედ აღვწეროთ ამ პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილი და დავურთოთ შესაბამისი ლინკები, რათა სხვა დაინტერესებულმა სკოლებმაც შეძლონ მათი გამოყენება.

OFFICE 365 EDUCATION

Office 365 Microsoft-ის მიერ შემუშავებული პროგრამების პაკეტია, რომელსაც ბევრ ქვეყანაში აქტიურად იყენებს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულება. ამ პაკეტში უამრავი საინტერესო პროგრამა შედის. ქვემოთ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებ ყურადღებას:

OneDrive-ში მასწავლებელს შეუძლია ერთგვარი არქივი შექმნას, სადაც საკუთარი ფაილები უსაფრთხოდ ექნება შენახული. ამგვარად, კომპიუტერის ან ფლეშ დრაივის დაზიანების შემთხვევაში, ფაილები არ დაიკარგება, ვინაიდან ფაილების უსაფრთხოდ შენახვაზე Microsoft-ი იზრუნებს. ამის გარდა, მასწავლებლებს, ამ სერვისის გამოყენების შემთხვევაში, შეუძლიათ მარტივად გააზიარონ კოლეგებთან საკუთარი ფაილები და ჯგუფურად, დისტანციურად იმუშაონ. ვიდეოში, რომელიც ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში ჩართული ერთ-ერთი ქოუჩის მიერ არის შექმნილი, შესაძლებელია OneDrive-ის შესაძლებლობების ნაწილის ნახვა: https://youtu.be/hyLqU78owBw

OneDrive-ს ახალი სკოლის მოდელში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. სწორედ ამ სივრცეში ქმნიან პედაგოგები სასკოლო კურიკულუმებს (იხ. ნიკოლოზ სილაგაძის სტატია ამავე ჟურნალში). მათი ნახვა პროექტში ჩართული სკოლების ყველა მასწავლებელს შეუძლია. კურიკულუმები იდენტური სტრუქტურითა და დიზაინითაა აგებული, რაც პედაგოგებს უმარტივებს ნავიგაციას. გამომდინარე აქედან, პროექტში ჩართულ 165-ვე სკოლას ერთმანეთის პრაქტიკის ნახვისა და გაზიარების საშუალება აქვს. შეიძლება ითქვას, რომ OneDrive „ახალი სკოლის მოდელში“ ერთგვარი „ინტერაქტიული ბიბლიოთეკის“ როლს ასრულებს.

Swey მასწავლებელს ინტერაქტიული პრეზენტაციის აწყობის შესაძლებლობას აძლევს. Maicrosoft-ის კიდევ ერთი პრეზენტაციების სამუშაო პროგრამის, PowerPoint-ისაგან განსხვავებით, Swey-ში აწყობილ პრეზენტაციას ერთგვარი ვებგვერდის სახე აქვს. იგი ინტერნეტის საშუალებით ნებისმიერი კომპიუტერიდან არის ხელმისაწვდომი. ამაპლიკაციის შესაძლებლობებს უკეთ შეგიძლიათ გაეცნოთ წარმოდგენილი ვიდეო თუთორიალის საშუალებით, რომელიც ასევე „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართული ერთ-ერთი ქოუჩის მიერ არის მომზადებული: https://youtu.be/_4flz_o-h3o .

ვსწავლობთ თამაშით

ციფრული საგანმანათლებლო რესურსი „ვსწავლობთ თამაშით“ გამიზნულია დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების მოსწავლეთათვის (განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია პირველი კლასის მოსწავლეებისთვის). ეს რესურსი გამოსახულებისა და ხმების ერთგვარი ბანკია, რომელიც მასწავლებელს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია გამოიყენოს. სხვა კომპიუტერული თამაშებისაგან განსხვავებით, ამ რესურსში არ არის გათვალისწინებული ქულები ანუ რაიმე სხვა სახის შეფასება ან წახალისება. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას – მაგალითად, გამოსახონ მცენარის აგებულება, ბუნებისმეტყველების ფარგლებში . ამ რესურსის საშუალებით, ისინი ჯგუფურად ან ინდივიდუალურად ასრულებენ სამუშაოს. მასწავლებელს შესრულებული სამუშაოს მიხედვით შეუძლია შეაფასოს, რამდენად კარგად გაიგეს ბავშვებმა განვლილი მასალა. რესურსის გადმოტვირთვა ამ ლინკიდან არის შესაძლებელი: http://play.geolab.edu.ge/; ამავე ვებგვერდზეა განთავსებული ვიდეოგზამკვლევი, რომელშიც უკეთ არის ნაჩვენები პროგრამის შესაძლებლობები: http://play.geolab.edu.ge/video.html

აღნიშნული რესურსის შექმნა UNICEF-ის დახმარებით გახდა შესაძლებელი, მასწავლებლებმა მას სწრაფად აუღეს ალღო და ბავშვებისათვისაც მეტად საინტერესო აღმოჩნდა სამუშოს კომპიუტერში შესრულება.

„ახალი სკოლის მოდელის“ პროექტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კომპლექსურ დავალებებს. „ვსწავლობ თამაშით“ I-IV კლასების მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, კომპლექსური დავალებები ციფრული სახით შექმნან ყველა საგნის ფარგლებში. „ახალი სკოლის მოდელში“ იმ ტიპის პროგრამებს, რომელიც მოსწავლეს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის საშუალებას აძლევს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მსგავსი სტილისაა მუსიკალური პროგრამა LMMS. „ახალი სკოლის მოდელის“ ტექნოლოგიების ჯგუფი აგრძელებს მუშაობას ციფრული რესურსების განვითარებაზე სხვა კლასებშიც.

ინტერაქტიული ანბანი

ეს რესურსი საანბანო პერიოდისათვის არის განკუთვნილი. ამ თამაშის საშულებით ბავშვები არა მარტო სახალისო ფორმით შეისწავლიან ქართული ანბანის ასოებს, არამედ თავად მოხაზავენ კიდეც მათ; შესაბამისად, ისინი ადვილად დაიმახსოვრებენ, როგორ უნდა დაწერონ მომავალში ქართული ასოები. ეს რესურსი ამ ლინკიდან შეგიძლიათ გადმოიწეროთ: https://drive.google.com/file/d/1alBoBOX9eQyb0vxCQK9Q-FhkRRuD4PGI/view

სიტყვობანა

ეს რესურსი ბავშვებს ასოებისაგან სიტყვების აწყობაში დაეხმარება და მისი გადმოწერა ამ ლინკიდან არის შესაძლებელი: https://drive.google.com/file/d/1dWegKNRfIQ068oC1nIvfM-_loAf6Tb-6/view

ამ და სხვა მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში შექმნილ youtube-ის არხზე ნახოთ: https://www.youtube.com/channel/UC8bMpclvcxSgZgtnMgz1Jqw

ინტერაქტიული საგანმანათლებლო რესურსების პორტალი

უშუალოდ საგაკვეთილო პროცესისათვის მომზადებული, ზემოთ ჩამოთვლილი რესურსები დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის არის განკუთვნილი, მაგრამ „ახალი სკოლის მოდელი“ ეტაპობრივად ზედა კლასებსაც მოიცავს; შესაბამისად, მიმდინარეობს მუშაობა იმ ელექტრონულ რესურსებზე, რომელიც მომავალში ზედა კლასების მასწავლებლებს დასჭირდებათ საკლასო ოთახში თანამედროვე სასწავლო გარემოს შესაქმნელად. ამ მისამართზე განთავსებული რესურსები ერთგვარი კვლევის შედეგია https://school.emis.ge/, რომელიც, ერთი მხრივ, მოიცავდა უცხოური გამოცდილების გაზიარებას, მეორე მხრივ კი – ელექტრონული რესურსების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ტესტირებას. ამ რესურსებში ბევრი ინოვაციური მიდგომა არის გამოყენებული. მაგალითად, თითოეულ რესურსს ახლავს ჩეთბოტი ანუ ერთგვარი ავტომატური მოსაუბრე. ბავშვს შეუძლია მას საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვა მიწეროს და მყისიერად მიიღოს პასუხი. თითოეული რესურსის შემაჯამებელი ნაწილი კომპლექსური დავალებაა. კომპლექსური დავალების შესასრულებლად მოსწავლემ საკლასო ოთახში თავის თანატოლებთან ერთად გარკვეული ნაბიჯები უნდა გაიაროს, ანუ გარკვეული ცოდნა მიიღოს, შემდეგ კი, მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, კომპლექსური დავალების სახით გარკვეული სამუშაო შეასრულოს – შექმნას პროდუქტი.

მოცემული რესურსები ერთგვარი მაგალითის, ნიმუშის როლსაც ასრულებს და მომავალში სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანიზაციას, გამომცემელს შეეძლება ამ რესურსებში გამოყენებული ინოვაციური მიდგომები ახალი რესურსების შექმნისას გამოიყენოს.

„ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, გრძელდება თანამშრომლობა როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან. Microsoft-თან თანამშრომლობით იგეგმება როგორც ახალი ელექტრონული რესურსების მასწავლებლებისათვის გაცნობა და დანერგვა, ასევე, უშუალოდ სკოლების დახმარება მათი ციფრული კომპეტენციების გასაძლიერებლად.

დღევანდელ გლობალურ სამყაროში, სადაც ტექნოლოგიებმა ქვეყნებს შორის საზღვრები ფაქტობრივად გააქრო, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები სკოლის ასაკიდანვე გაეცნონ და დაეუფლონ იმ ელექტრონულ ინსტრუმენტებს, რაც სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები მათი თანატოლებისათვის არის ხელმისაწვდომი.

თინათინ ცერცვაძე

**საქართველოს დებატებისა
და განათლების ინსტიტუტის
ხელმძღვანელი**

„დებატები“ სრულიად სხვა სახით

როგორ შეიძლება დებატების კულტურა ქართული საგანმანათლებლო სივრცის ორგანულ ნაწილად იქცეს – სწორედ ამ თემას ეძღვნება ეს სტატია, რომლის ავტორსაც ჩვენს ქვეყანაში ხსენებული კულტურის პოპულარიზებისა და დამკვიდრების შესანიშნავი გამოცდილება აქვს.

დღეს „დებატები“ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიტყვაა ჩვენს საზოგადოებაში, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნამდვილი არსი ყველას არ ესმის. ამ სიტყვის ასეთი პოპულარობა შეგვიძლია იმასაც მივაწეროთ, რომ დებატებს, კამათს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ანიჭებდნენ უდიდეს მნიშვნელობას ადამიანები, განსაკუთრებით კი ფილოსოფოსები, რასაც მოჰყვა კიდეც ცნობილი გამოთქმა: „ჭეშმარიტება კამათში იბადება“.

თუმცა, რა ვითარებაა დღეს და რა ტრანსფორმაცია განიცადა „კამათმა“ ჩვენს ეპოქაში? დებატები ანუ კამათი არის ის, რაც ყველა ჩვენგანს ხვდება ყოველდღიურობაში და არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არასდროს უდებატია; თუმცა რა სახით და რა წარმატებით, ეს ცალკე საკითხია. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან განვასხვავოთ ფორმალური და არაფორმალური დებატები. არაფორმალური დებატები არის ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი. ის არ ჯდება არანაირ სტრუქტურაში და არ არის რაიმე წესებით შეზღუდული. გარდა ამისა, თუ ოფიციალური სახე მიეცა, იგი არაცივილურ კამათში გადაიზრდება. არაფორმალური დებატების კლასიკურ გამოვლინებას

წარმოადგენს დღეს საკმაოდ გავრცელებული დემაგოგია და პოპულიზმი, რასაც ხშირად შეუიარაღებელი თვალით მსმენელი ვერც გაარჩევს კონსტრუქციული კამათისგან. ფორმალური დებატები და მისი სწავლება კი რეალურად არაფორმალურის სრული ანტიპოდია.

XX საუკუნის დასაწყისიდან, ამერიკის შეერთებულ შტატებში სავალდებულო გახდა, რომ ყველა პრეზიდენტობის კანდიდატს გავლილი ჰქონოდა ფორმალური დებატების ის სასწავლო კურსი, რომელიც ჩვენც უკვე რამდენიმე წელია აპრობირებული გვაქვს საქართველოში.

ჩვენთვის, საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტისთვის (GIDE), დებატები საგანმანათლებლო ინსტრუმენტის მნიშვნელობას ატარებს და ინერგება, როგორც სასწავლო პროგრამა, რომელიც ავითარებს ყველა იმ უნარს, რაც დაკავშირებულია ორატორობასთან, გუნდურობასთან, დროის მართვასთან, მასალების მოკვლევა/დამუშავებასთან, კრიტიკულ აზროვნებასთან და სხვა.

მისი მთავარი პრინციპი თამაშით სწავლებაში მდგომარეობს. როგორც სკოლამდელი ასაკის ბავშვებს თამაშ-თამაშით ძალიან მარტივად ასწავლიან ლექსებსა თუ უმარტივეს არითმეტიკულ მოქმედებებს, ზუსტად იმავე პრინციპით ისწავლება დებატებიც და მორგებულია სხვადასხვა ასაკის ადამიანებზე, დაწყებული 12 წლიდან.

დებატების სასწავლო პროგრამის განვითარება საქართველოში დაიწყო რამდენიმედღიანი ტრენინგებით და დღეს უკვე სამწლიანი პროგრამის სახითაც კი არსებობს. ის წარმატებით ისწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VII-XII კლასებში. აღნიშნულ კურსს გადიან, აგრეთვე, უმაღლესი სასწავლებლების ყველა ფაკულტეტის სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტები, როგორც დამატებით არჩევით საგანს ან/და დებატების კლუბის სასწავლო პროგრამას.

ფორმალური დებატების სწავლება დატექნიკის სრულად დაუფლება ითვალისწინებს შემდეგ ძირითად აქტივობებს: სხვადასხვა სახის ინტენსიური მეცადინეობა, რომელიც მინიმუმ 60 აკადემიურ საათს მოიცავს, ადვოკატირების პროცესების ფორმალური დებატების ტექნიკით წარმართვა, შეჯიბრებები დებატებში სხვადასხვა საფეხურზე (შიდა, რეგიონული, ნაციონალური და სხვა), სხვადასხვა ფორმატის გასვლითი ღონისძიებები, ბანაკები და საერთაშორისო ფორუმები თუ ტურნირები, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოდებატეებთან ერთად ხდება უკვე ფართო ასპარეზზე გასვლა. ჩვენდა სასიხარულოდ, თითქმის ყოველწლიურად მიგვყავს, სრული დაფინანსებით, სკოლებიდან თუ უმაღლესი სასწავლებლებიდან ახალგაზრდები სხვადსხვა ქვეყანაში დებატების ტურნირებზე.

ამ სასწავლო პროგრამის ძირითადი პრინციპი მდგომარეობს ფორმალური დებატების სხვადასხვა ფორმატის სწავლებაში, რომელიც ითვალისწინებს მკაცრად განსაზღვრულ სტრუქტურას, წინასწარ ორგანიზებულ წესრიგსა და შეთანხმებულ წესებს. გარდა ამისა, სწავლების დროს, უმნიშვნელოვანესია ისეთი ტიპის პედაგოგიური პრაქტიკული აქტივობების განხორციელება, რომელიც ფორმალური დებატების სტრუქტურის თითოეულ შემადგენელ ნაწილზე გავარჯიშებას ემსახურება. ანუ რამდენადაც მარტივი სიტყვაა დებატები, იმდენადვე რთულ, კომპლექსურ და ხანგრძლივ სასწავლო პროგრამას წარმოადგენს ის. შესაბამისად, გვაძლევს საშუალებას თამამად განვაცხადოთ, რომ ის ისეთი სახის უნარებს განავითარებს, როგორიცაა:



აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დებატები არა მხოლოდ ამ კონკრეტულ უნარებს ავითარებს, არამედ პიროვნულ დონეზე ცვლილებებსაც იწვევს. ჩვენ ხშირად გვსმენია სრულიად სხვადასხვა პროფესიის მქონე ძველი მოდებატეებისგან, როგორ დახმარებია მათ ჩვენთან მიღებული გამოცდილება პროფესიულ წინსვლასა თუ პირად ცხოვრებაში. სწორედ ასეთი ტიპის უკუკავშირებმა გვიბიძგა ჩაგვეტარებინა კვლევა, სადაც შევისწავლეთ, როგორ ზეგავლენას ახდენს ერთი სასწავლო წლის დებატების პროგრამა ახალგაზრდების „მე“-ს ხატის ისეთ პიროვნულ

პარამეტრებზე, როგორიცაა თვითშეფასება, თვითმონიტორინგი, თვითკონტროლი, თვითპრეზენტაცია.

ბოლო წლებია, სისტემატიურად სტატისტიკურად აღვრიცხავთ იმ წარმატებებს, რომელსაც ჩვენს პროგრამაში ჩართულები აღწევენ. შესაბამისად, ბოლო 5 წლის მონაცემებით, ამგვარი სურათი გვაქვს:



აღნიშნული შედეგების მისაღწევად, ცხადია უმნიშვნელოვანესია, რომ მას მაქსიმალურად ეფექტიანი სამუშაო პროცესი უძღვოდეს წინ. ამისათვის კი ჩვენი გუნდი თავს არ ზოგავს და უკვე მრავალი წელია ჩართულია, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა სასწავლო ინსტრუმენტისა თუ გამოცდილების მიღებასა და დახვეწაში.

ჩვენთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს არსებული ცოდნის გავრცელება და ახალგაზრდების მუდმივი როტაციის პროცესში ჩართული მთავარი აქტორების, მასწავლებლების გადამზადება/განვითარება. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ვამზადებთ სკოლის მასწავლებლებსა და საგანმანათლებლო სექტორთან დაკავშირებულ განსხვავებული პროფესიის ადამიანებს, იმისათვის, რომ მათ შემდგომში შეძლონ დებატების ტექნიკის სწავლება ლოკალურად – თავის სკოლასა თუ თემში. ყველაზე აპრობირებული მეთოდი არის დებატების კლუბების დაარსება და მათი ხელმძღვანელების მომზადება სკოლების ბაზაზე. ამ საკითხს ჩვენ საკმაოდ ფრთხილად და რუდუნებით ვეკიდებით. პირველ რიგში, ვიწყებთ უკვე კარგად აპრობირებული შერჩევის მექანიზმებით და შემდეგ ვაგრძელებთ მკაცრად გაწერილი გრძელვადიანი ტრენინგებით, სუპერვიზირებითა და მრავალეტაპიანი სასწავლო ქოუჩინგით.

ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით, რომ სასწავლო პროგრამა მეტად რთულია და გრძელვადიანი; შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებლები საკმაოდ ხანგრძლივი გადამზადების კურსს გადიან და მეტად მაღალი კვალიფიკაციის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, სანამ მოიპოვებენ დებატების ტექნიკის მფლობელისა და მასწავლებლის ტიტულს. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელი მასწავლებლები, ერთი მხრივ, პოსტსაბჭოთა სისტემის, ხოლო, მეორე მხრივ, სწრაფად ცვალებადი რეფორმების მსხვერპლნი არიან, გასაგები გახდება, თუ რატომ გვჭირდება დიდი ძალისხმევის ჩადება ისეთი პროგრამის სწავლებაში, რომელიც ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში სულ რაღაც რამდენიმე კვირიან ტრენინგს მოიცავს. ყველა ის უნარი და ტექნიკა, რასაც პირველ ეტაპზე ვასწავლით მასწავლებლებს, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ყველა მოქალაქეს სასკოლო ასაკიდან ვეაქვს გათავისებული.

აქედან გამომდინარე, გაორმაგებული ძალებით ვცდილობთ მივაღწიოთ ჩვენს მთავარ მიზანს – რაც შეიძლება მეტად გავაძლიეროთ პედაგოგთა კორპუსი დებატების ტექნიკის დაუფლების გზით. ვფიქრობთ, რომ ჩვენი პროგრამა, რომელიც მასწავლებლების მომზადებას ითვალისწინებს, ეხმარება მათ ისეთი უნარებით აღჭურვაში, რომელიც უმნიშვნელოვანესია თანამედროვე მასწავლებლისთვის. ამასთან ერთად, პედაგოგებს ეძლევა პროფესიული ზრდის შესაძლებლობა და საშუალება, უხელმძღვანელონ დამატებით აქტივობებს და გაიმდიდრონ პორტფოლიო. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ისინი ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით ერთვებიან პროგრამაში და სიამოვნებით აგრძელებენ თანამშრომლობას, რადგან თვითონ ხედავენ იმ სასიკეთო ცვლილებებს, რასაც ეს სწავლება იძლევა და გრძნობენ იმ კომპეტენციების განვითარებას, რასაც დებატების ტექნიკის სრულფასოვნად დაუფლების შემდეგ ყველა მოდებატე გრძნობს.

დღეს სულ უფრო და უფრო მატულობს იმ ადამიანთა და უწყებათა რიცხვი, ვინც მოგვმართავს იმისათვის, რომ აიმაღლოს ის უნარები თუ კომპეტენციები, რასაც დებატების ტექნიკა ავითარებს, დაწყებული საჯარო გამოსვლებით, დამთავრებული კითხვების დასმითა და ჯგუფების ფასილიტაციით. თუმცა, მე მაინც ვისურვებდი, რომ უფრო მეტი სკოლა და მასწავლებელი ჩაერთოს ჩვენს პროგრამაში, რომ რაც შეიძლება ნაკლებ ზრდასრულთან დაგვჭირდეს მუშაობა, რადგან რაც უფრო მცირე ასაკისაა ადამიანი, მით უფრო ადვილია მისთვის დებატების ტექნიკის დაუფლება, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამის. ამისათვის კი ერთადერთი რამეა საჭირო – ის, რასაც ყველა დამწყებ მოდებატეს ვეუბნებით: მთავარია გინდოდეთ და ყველაფერი აუცილებლად გამოვა!